აკაკის

თ ვ ი უ რ ი

კრებული

წელიწადი მეორე

VII

ივლისი 1899

ქუთაისი
ღამბაშიძის სტამბა Типографія Гамбашидзе
1899

შინაარსი:

პირველი განყოფილება.

	გვ.
I ცოცხალი სურათები. ლექსი აკაკისა.	**1 – 5**
II ალბომში. ლექსი მისივე..	**6**
III განსაცდელი მეფე ერეკლე მეორე-ზედ (ამბავი). (დასას.) ი. ლაზარესძისა	**7 – 16**
IV პროგრამმა ეთნოგრაფიულ და (იური-დიულ ცნობების შესაკრებად. ა. ხახა-ნაშვილისა.	**17-32**
V კინტო. სამ-მოქმედებიანი კომედია-ხუმ-რობა, აკაკისა	**33 – 92**
VI საისტორიო მასალა. ზ. ჭ.-სა. . .	**93 – 96**
VII ევროპის მეაბრეშუმეობა. (გაგრძელება) ს. ქვარიანისა	**97 – 128**

მეორე განყოფილება.

I ჯაფარა ჯაფარაშვილის წერილი როსტომ ერისთავისადმი მინაწერი. წარმოდგ. სიკო კანდელაკის მიერ.. . .	**1 – 8**
II მასალები ქრისტიანობის დაცემის და ისლამის სარწმუნოების გავრცელების ისტორიისა დასავლეთ საქართველოში.	

(გაგრძელება) ზ. ჭ.-სა. . . . **9-32**
III სოფ. ჯუმი. (ზუგდ. მაზრ.) ან ქანდარ-
რიასი . . . . . **33 – 48**

ცოცხალი სურათები.

(ვუძღვნი დ. ა. ბაგრატიონ-დავითისშვილს)

„**თ**უმცა ქალია, მართ ოდენ
ღვთისაგან დანაბადია!..
ლეკვი ლომისა სწორია
ძუ იყოს, გინდა ხვადია!"

–

ასე შეჰკადრა დიდ-მეფეს
ჭიაბერ ბრძენმა-სოგრატმა
და მით გამოსთქვა უტყუვრად
მთლად საქართველოს გულის-თქმა*).

–

მაგრამ რაცა სთქვა, ცოტა სთქვა:
ვერ გამოხატა სავსებით,
ის, ვინც მეტია ამ ქვეყნად
ყოველთა არსთა არსებით.

---

*) ჩვენის აზრით რუსთველმა ვეფხის-ტყაოსანში „როსტევან მეფედ" მეფე გიორგი გამოსახა, თამარის მამა, „თინათინად" – თამარი, „სოგრატ ბრძენად“ – ჭიაბერი და „ავთანდილად" –მხარგრძელი ზაქარია. თამარიც მამის ერთა იყო და ტახტზე აყვანა მისი და გამეფება ჭიაბერმა ურჩია მეფეს. ავტ.

ვინც მამა-კაცი გონებით
და გრძნობით დედათ-სქესია!..
სითბო-სინათლის შენათხზვა
დღიურ მნათობის წესია.

–

გიორგის ნაკვთი, ნამსგავსი,
გმირთ-გმირი, ლომთა-ლომია!
ჰფიქრობს ქვეყანა განკურნოს...
ქვეყანაც მისი მდომია!!

–

ვის არ ჰსურს, ტრფობის ბადეში
რომ მისის ეშხით დაებას?
ვინ არის, თაყვანს რომ არ სცემს
ვით უკვდავებას . . . ღვთაებას?!

–

ყოველი კუთხით მოდიან
მეფე და უფლის-წულები
სიცოცხლე მოაქვთ საკმევლად
და ფიანდაზად გულები.

–

მაგრამ თამარი – „თინათინ",
არავის ათბობს მნახველსა;
გაურჩეველად, თანასწორ
აფენს კი ყველას ნათელსა.

–

ვერ შეარყევენ წყარონი
უფსკრულსა დიდი-ზღვისასა!
ვერავინ შესძრავს ვერც ერთს ძაფს
თამარის გულის-თქმისასა!

–

– 3 –

ზენაა მისი სურვილი
ქვეყნიურ აღმა-ფრენითა!
არც კალმით დაიხატება,
არც გამოითქმის ენითა!!.

–

ამას ყველას გრძნობს მხარგრძელი,
სხივს-ისრით გამსჭვალულია;
სურვილს უსიტყვოდ გულში ჰკლავს,
გრძნობა მით დაფარულია.

–

ჰფიქრობს: ამ გრძნობა-საუნჯეს
სამარეს ჩავაბარებო;
თამარს შევსწირავ სიცოცხლეს,
მით ვიშვებ... გავიხარებო!!.

–

თამარიც სხივს ჰფენს სპასალარს,
ხან-და-ხან შეთინათინებს:
არცა აღვიძებს თვის გრძნობას
და აღარც მისას აძინებს!

–

დაკარგულია იმათთვის
ნაშთი ედემურ-ქონების!
ვინ- იცის: ვისი მეტია
ის მსხვერპლი გრძნობა-გონების?!

–

ეს იცის მხოლოდ სამარემ,
მესაიდუმლემ იმათმა:
ხარბად ჩაჰყლაპა ორივე;
დაჰფარა მათი გულის-თქმა.

–

– 4 –

წაღმა მბრუნავი ქვეყანა,
ზოგჯერ უკუღმაც ჰტრიალებს:
ერთს რომ ქვესკნელში ჩააძვრენს,
სხვას აღმა ააფრიალებს.

–

მზე ჩაგვესვენა... დაბნელდა,
ძლივს ბჟუტავს ჩვენი ლამპარი,
ჩვენი წარსული ჩვენთვისვე
გამხდარა სიზმარ-ზღაპარი.

–

თამარს „თათიად" მორთულსა
ფერ-ცხადად გვიდგმენ სცენაზე,
და ჩვენც მივდივართ სამზერლად,
თვითქოს დიდ-გამოფენაზე.

–

აჰა, ახადეს კრეტსაბმელს...
ოცნებამ შეითამაშა!
მაყურებლები აჟრჟოლდდენ,
დასძახეს „ვაშა!" და „ვაშა!"...

მათ რიცხვში მხოლოდ ორს ვხედავ:
ყურს არ უგდებენ სცენასა,
არც აღტაცებით ტაშს უკვრენ
და არცა სძრავენ ენასა.

–

სხვაგან ჰქრის მათი გონება
საკუთარ მზე და მთვარისა.
ერთია ნაშთი მხარგრძელის,
მეორე თვით თამარისა.

–

თუ იგონებენ წინაპრებს
და მათსა შეთანხმებასა?
გრძნობას უკმევენ სამსხვერპლოდ,
და სწირვენ ქება-ქებასა?

–

რად არ შეუკრავთ ამათაც
წინაპრებსავით ოცნება,
და სხვა-და-სხვა მხრით ორივე
ცალ-ცალკე გაიტყორცნება?!

–

ეჰ, ვინ გამოსცნობს!?.. ქვეყანა
ორ-პირი, ცვალებადია!..
დღეს ჭირისაგან დამხსნელი,
ხვალ დამჭირავი ბადია!..

აკაკი

———

კნეინა მ. ამირეჯიბის ალბომში.

ვნახე ცოლ-ქმარი მე მეგობარი,
ერთმანერთისა შეთანა-მტკბარი,
და გულ-გატეხილს უჩვეულობით
მეგონა მხოლოდ ფუჭი სიზმარი.

–

ხმა-ტკბილ-ნარნარი, ხელთ ეპყრათ ქნარი
მხიბლავდა მღერა გასაოცარი,
მაგრამ მე მაინც, ზე-აღტაცებულს
მეგონა მხოლოდ ტკბილი სიზმარი.

–

მას შემდეგ არი, რომ მეც დამტკბარი
შათ თანავუგრძნობ ვით მეგობარი,
მაგრამ ერთხელვე კი გულ-გატეხილს
ესეც მგონია მარტო სიზმარი.

აკაკი

———

განსაცდელი მეფე ერეკლე მეორეზედ.

დასასრული *)

ერთხელ ერეკლე ქალაქს მობრძანდა და მალი-რაბიმიც თანა ჰყვა. დოვლათ-მირზა ამ ჟამად ტფილისში შეემთხვა, ვაჭრული ტანთ-საცმოთი ბეჭდის თვლებს ატარებდა გასასყიდათ. აქ დოვლათ-მირზა და მალი-რაბიმი უეცრივ შეხვდნენ ერთი-ერთმანეთს. ძველმა ყონაღებმა სუნით იცნეს ერთი-ერთმანეთი და მიესალმნენ ხოშგელდით. მალი-რაბიმმა დოვლათ-მირზა მიიწვია თავისას. გაიარა ხანმა. მეგობრები ერთი ერთმანეთის უნახავად ერთს დღეს არ სტოვებდნენ. ერთხელ როდესაც ძველი მეგობრები ხელახლად შეთვისდნენ და სული სულს გაუერთეს, დოვლათ-მირზამ გაკვრით გაუტარა მალი-რაბიმს თავისი აზრი. მალი-რაბიმმა პირველად რა გაიგო ეს საქმე, თითქო თავზარი დაეცა და ამისათვის დოვლათ-მირზას აზრი ძალიან შორს დაიჭირა. დოვლათ-მირზა უგნური კაცი არ იყო, იმას ძალიან გინსწავლული ჰქონდა კაცის გული და იცოდა, რომ ესეთი საქმე ადვილი გასაბედი არ არის; ამისათვის დააცალა, როჯმ ხანს გაევლო. რამდენიმე ხანს შემდეგ კიდევ გააახლა თავისი აზრი. ამ ჟამად მალი-

---

იხ. „კრებული“, № 6, 1899 წ.

რაბიმმა მოისმინა დოვლათ-მირზას ნათქვამი და ჩაფიქრდა. დოვლათ-მირზამ, რა ნახა თავის მეგობარი ჩაფიქრებული, გულს იმედი მიიცა და სთქვა – „იფიქრე ძმავ! მელა მგლებში როგორ მორიგდება. შენ ერთი ჭკუიანი კაცი ხარ; ჭკუიანს კაცს ყოველთვის ბრიყვი კაცები ახვევიან, ბრიყვები ჭკუიანს ვერ შეეთვისებიან... შენი მფარველი ერეკლე არ არის? ერეკლეს აუარებელი მტრები ჰყვანან; დღეს-არა ხვალ მაგას წაახდენენ. აბა, მაშინ შენი მყოფობა რა იქნება ამ ხალხში? ვინ იცის, ეხლაც რამდენი შურის მძიებლები გყვანან... შენ მე დამიჯერე, ესა დოვლათი აიღე, სიკვდილამდე მეფესავით გაცხოვრებს, და რასაც გეუბნები აასრულე“... – ამ გვარმა სიტყვებმა სრულებით დასცეს მალი-რაბიმის სიმტკიცე. როდესაც ფულებს დახედა, სრულებით

დასძლია ბუნებითმა მიდრეკილებამ და მისცა ყიზილ-
ბაშს სიტყვა თხოვნის აღსრულებისა; ხოლო ძალიან
გააბრთხიღია, ფულები გამოართო და წავიდა. მეორე
დღეს, დილით ადრიან, მალი-რაბიმი გაფითრებული
შემოვარდა დოვლათ-მირზას დუქანში და უთხრა:
„დოვლათ-მირზა, თუ ჩემი მეგობრობა გწამს, ეს ფუ-
ლიც აიღე და აღარც გამიცხადო შენი წადილი, თო-
რემ, თუ გუშინდელი ღამისთანა ერთი ღამეც კიდევ
გავატარე, მეტი საჭირო აღარ იქნება, რომ მან გადა-
მიტანოს“... – დოვლათ-მირზა თუმცა ძალიან შეწუხდა
ამ შემთხვევაზედ, მაინც კიდევ იმედს არ იწყვეტდა და
ამიტომ უთხრა მალი-რაბიმს: – „დინის მადლი მრის-
ხავდეს, ძმაო, თუ მე შენთვის ავი მინდოდეს, ხოლო

შენს ბედსა ჰკარგავ და რომ ინანო, ჩემი ბრალი არ იყოს“.
– მალი-რაბიმი მეტს აღარ დასდგა და შინათკენ გასწია.
იმ დღეს, როდესაც ზემოდ აღწერილი შემთხვევა მოხდა,
მალი-რაბიმისა და დოვლათ-მირზას შორის, მოლარეთ-
უხუცესს მეჯლისი ჰქონდა და მალი-რაბიმიც რასაკვირ-
ველია მიწვეული იყო. მთელს დღეს ამას მოსვენება არა
ჰქონია. ქეიფი დაშლილი ჰქონდა და ამისათვის ღვინო
ცოტა დალია. პირველად კი არაფერი, და როცა სმაში
შევიდნენ და ღვინომ თავი გაუხურა სტუმრებს, მალი-რა-
ბიმს ძალა დაატანეს, მაგრამ ის ქეიფზედ არ იყო და ვერ
დაიყოლიეს. სტუმრებს ამაზედ ჯავრი მოუვიდათ. ერთი
იმათგანი გამოვარდა ჯიხვით ხელში, წითელი ღვინით და
მალი-რაბიმს უთხრა: – „თუ არ დალევ, ზედ შეგასხავ!“
მალი-რაბიმი ამ უპატიობაზედ დიდათ შესწყინდა და უფრო
უარზედ შესდგა. რა მალი-რაბიმის ჯიუტობა ვერ დაამარ-
ცხეს, ჯიხვით წინ წამოსული მიუბრუნდა სტუმრებს და
მაღალი ხმით შეჰყვირა: „ძმობილებო, იცით ეს რატომ
ღვინოს არა სვავს? ერთხელ ეს მაჰმადის რჯულზედ იყო,
ეხლა, თუმცა ქრისტეს რჯულზედ გადმოვიდა, მაგრამ,
უეჭველად, გულში ისევ მაჰმადის სარწმუნოებაზედ არის
და იმის ხათრისათვის ღვინოს არა სვავს“! ეს სიტყვები
ისე ეჯავრა მალი-რაბიმს, რომ იმ დროს, თუ შესძლებო-
და, ყველას თავებს დააყრევინებდა, მაგრამ მალი-რაბიმი
ბუნებით მხდალი იყო და პირის-პირ ვერცა რამის მომ-
ქმედი. მეჯლისის დღე და ღამე იმან ძალიან დიდი შფო-
თით გაატარა. მეორე დღეს, დილით ადრიან, ადგა და
ხდოვლათ-მირზასთან წავიდა. მალი-რაბიმი რომ მივიდა,

დოვლათ-მირზა ჯერ ისევ ქვეშსაგებში იყო; სალამი მის-
ცეს ერთი ერთმანერთსა და მასპინძელმა სთხოვა, რომ
სტუმარი დაბრძანებულიყო. მალი-რაბიმი დაჯდა, მაგრამ,

– 10 –

წინააღმდეგ ჩვეულებისა, არა ლაპარაკობდა. მალი-რაბიმს
სახე ისე გამოცვლილი ჰქონდა, რომ მასპინძელს ეგონა,
ავადმყოფობა რამ მოსჭიდებიაო და ამისათვის მიზეზი ჰკითხა.
სტუმარმა უპასუხა: „რა მაგის პასუხია, ძმობილო, და
შენ რომ საქმეს მეუბნებოდი, ის საქმე ადვილი საქმე არ
არის და ასასრულებლად შეგიძლიან ყოველი საშუალი
მოიპოვო, თორემ მცირე უხერხობა სულით ხორცამდინ
დაგვკარგავს!.. შენ, ძმავ, რაც გითხრა, მხოლოდ ის აას-
რულე და მაგაზედ სრულებით ნუ შესწუხდები; დანარჩენს
ყოველს მე ვღებულობ კისრად. მე, ძმავ, ქალაქში რვა
არჩეული კაცები მყვანან, ურიცხვი ფული მაქვს და ძვირ-
ფასი ქვები; აქ მცხოვრები ყოჩაღები მყვანან, რომელთაც
შეუძლიანთ ოცი კაცის ისე დამალვა, რომ ვერავინ ვერა
შეიტყოს-რა. ამათ გარდა სოფლებში და სხვა ქალაქებში
ბევრი მეგობრები მყვანან. შაჰსა და ხონთქარს ჩვენი
მხარე უჭირავთ. სხვა კიდევ რა გინდა? დოვლად-მირ-
ზა, ვინიცობაა, მე აქ შემიტყონ, ხომ საქართველოში აღარ
დამედგომილება? მაშინ, თუ ირანში წამოსვლას არ ინ-
დომებ, ხონთქართან წაგიყვან და პირველ ალაგს მოვა-
ცემინებ.“ – „ეგ სულ კარგი; ეხლა მე რა უნდა ვჰქნა,
რომ შენი სურვილი ავასრულო?“ – აი, ძმავ! შენ, რო-
გორც იყოს, ერთს დროს ერეკლე მარტოკა შინიდან გა-
მოიყვანე, სეიდაბათში ერთს სახლს გასწავლო, იქ მოიყვა-
ნე. მე ჩემის რვა ამხანაგებით იმ სახლში მოგიცდი და-
მალული. როდესაც ერეკლე იქ შემოვა, ყველანი ზედ
დავესხმებით, შენც მოგვეშველები და ათ კაცს, როსტომ
გმირადაც რომ გადაგვექცეს, მაინც დაგვემორჩილება. იმა-
ვე სახლში ჭა გვაქვს ამოთხრილი, იმას იქვე ჩავფლავთ
და ჩვენც იქავ დავიმალებით და ხანის გასვლის შემდეგ
ჩვენ ჩვენს თავს ვუშველით.“

– 11 –

– ის შენი ამხანაგები სანდო კაცები არიან? –

– დიდი ხნის გამოცდილნი არიან.

– ძმავ, დოვლათ-მირზა, ჩემი სიბრთხილე აღარ გინ-
დოდეს, ჰა! ერეკლე თუნდ ცოცხალიც დავიჭიროთ და

ორმოში ჩავსვათ, მაინც ჩვენ მშვიდობით ვერ გადავრჩებით, ამისათვის უნდა ვეცადნეთ და ის ცოცხალი არ გავუშვათ! ყოჩაღად უნდა მოვიქცეთ... მე შემოვიყვან თუ არა, კარებს მივკეტავ და ეს ნიშნად გქონდესთ, რომ თქვენ მაშინვე წამოეტევნოთ: – მე უკანიდან ხანჯალს ვაძგერებ, თქვენ წინადან და ამითი საქმე გათავდება.

– მაგაზედ თქმა საჭირო აღარ არის. შენ მხოლოდ ერთი მოიყვანე და ნახავ, თუ რა საქმეს მოვახდენ. მალი-რაბიმი ადგა, დაემშვიდობა, ფულები გამოართო და წამოვიდა. რა შინ მივიდა, იფიქრა, თუ რა მოვიგონო ისეთი, რომ ერეკლე გავიტყუო დოვლათ-მირზას სახლამდისო. მთელი დღე ფიქრში გაატარა, მაგრამ ვერა მოაგვარა-რა. საღამო ხანზედ კარები მოკეტა და დოვლათ-მირზასაგან მიღებული ფულები წამოიყარა წინა: სინჯავდა და სთვლიდა. ამ თვლებში ერთი ქვა იპოვა, რომელიც ძალიან საუცხოვო იყო და სთქვა: ამ ქვას დედოფალს წავუღებ, იქნება ამითი რამ გავაწყოო. ამ აზრით ფულები და თვლები ისევ პარკში ჩაჰყარა, სკივრში ჩასდო და შინიდან გამოვიდა. ფულების გასინჯვაში კარგა დრო გაჰპარვოდა, თითქმის ათი საათი გამხდარიყო. ამ დროს მეფე მარტოკა იყოფოდა ხოლმე. მალი-რაბიმი, როგორც შინაური კაცი, დაუკითხავად შევიდა; მეფე და დედოფალი ერთს ოთახში ჰპოვა. მეფესა და დედოფალს შესაბამი პატივი მისცა, მერმე უბიდან ქვა ამოიღო. დედოფალს მიართო და მოახსენა: „დღეს ბაზარში ერთს ყიზილბაშს შევემთხვი, რომელიც ამ ქვას ჰყიდდა. მე ეს ძალიან მომე-

წონა და ჩემი დედოფლის მეტს ამ ქვის ღირსს ვერვის ვერა ვჰპოვი, და ამისათვის გთხოვთ ჩემს მცირეს ძღვენს დასდვათ პატივი და მიიღოთ.“ დედოფალმა მადლობა გადუხადა და თვალი მიიღო. შმდეგ მალი-რაბიმი მეორე ოთახში გაიყვანა და უთხრა: „შენთან ერთი საქმე მაქვს.“ მეფეს ქიზიყიდან წიგნი მოსვლოდა, რომ ლეკები დაგვეცნენო. ერეკლეს ჩვეულებად ჰქონდა, ყველა ამისთანა საქმეს დედოფალს არ შეატყობინებდა, რომ დედოფალი არ შესწუხდესო; ამისათვის მალი-რაბიმი მეორე ოთახში გაიყვანა. „იცი, რა ამბავია, – განაგრძო მეფემ, ყურეს სამასი ლეკი დასცემია, საქონელი და მწყემსები მოუხვეტნიათ და წასულან. ვაქირელებს და საქობოელებს მდევარი დაუძახნიათ და გამოსდგომიან ლეკებს. ლაგოდაღის აღმართში მისწევნიან, ტყვეები და საქონელი

დაუყრევინებიათ, ბევრი ლეკები დაუხოცნიათ, რამდენიმე
დაუჭერიათ და დანარჩენნი გაუქცევიათ. დაჭერილებს ულა-
პარაკნიათ, რომ დაღესტანში დიდი ჯარის ყრილობა არი-
სო, ტფილისს უნდა დაეცნენო და ამისათვის ჯაშუშებიც
დაგზავნილები ჰყავთო. ეხლა ნამდვილად არა ვიცი-რა:
ჯარები შევჰყარო, თუ მოვუცადო“... მალი-რაბიმს ამ
საქმეზედ თავში, ელვასავით, ერთმა აზრმა გაუარა; ნეკი
პირში ჩაიდო და სთქვა: – ჰმ, მაშ რაც მითხრეს, მართა-
ელი იქმნება! –მეფემ რა გაიგო ეს საიდუმლო სიტყვები,
დაუწყო გამოკითხვა. მალი-რაბიმი, თითქო, გართული
დიდი აზრებით, დიდ ხანს მეფეს პასუხს არ მისცემდა.
მემდეგ თითქო ახლად გამოფხიზლებულმა, ჰკითხა მეფეს:
– რა მიბძანეთ? – მეფემ გაუმეორა კითხვა. მალი-რაბიმმა
მოახსენა: – დღეს, ჩემო ცხოვრების მეფევ, ბაზარ-ბაზარ
მივდიოდი და ერთი მოხუცი ლეკი შემხვდა, რომელიც
თეირანში გავიცან. იმან ერთი საიდუმლო მითხრა. მე არ

დავუჯერე, მაგრამ ეხლანდელი თქვენი ნაბძანები რომ
შევიტყე, ის ლეკი არ უნდა სტყუოდეს. იმან სთქვა,
რომ წუხელ აქაურს მეხანჯლე ლეკებთან ერთი ლეკის
ბელადი მოვიდა ჯაშუშადაო; ლეკები ქალაქზედ მოსვლას
აპირობენ, ამან აქაურობა უნდა გასინჯოს და ამბავი წაი-
ღოსო. იმ ბელადსა ჰქვიან ბაქთალ-ბელადიო და თუ არ
დამერწმუნები, წაგიყვან და გიჩვენებო. მაგრამ მე იმ ლეკს
არ ვიცნობდი და ჩემი წასვლა უქმი იქნებოდა. – მალი-
რაბიმმა იცოდა, რომ ბაქთალ ბელადი ერეკლეს ორი წე-
ლიწადი ტყვედ ჰყავდა და ამისათვის ეს არაკი მოიგონა,
რომ ამითი ეგები ერეკლე გაეტყუებინა, და ამაზედ არც
შესცდა. ერეკლეს ლეკის სახელი ეცნო და ამისათვის უთხრა:
– ბაგთალ ბელადს მე ვიცნობ, კახეთში დავატყვევე და ორი
წელიწადი ჩემთან მყვანდა. – მაშ რადგან თქვენ იცნობთ
მაგაზედ უკეთესი არა იქნება რა. ერთ რჩევას მოგახსე-
ნებთ და თუ შეიწყნარებთ, ძალიან სასარგებლო იქნება
ამ შემთხვევაში. მალი-რაბიმმა იცოდა, რომ ერეკლეს
მხნეობა და გულადობა არაფერს არ დაუდგებოდა და ამი-
სათვის მოახსენა: – თუ წამობრძანებას ინებებთ, მე იმ
ლეკის სახლი ვიცი, ჩემი სარკმელიდან მიგიყვანთ და ბე-
ლადს დაგანახვებთ. თუ მართლად ის დასახელებული ლე-
კია, მაშინ იმ სახლს კაცებს დავასხამთ და ლეკს დავი-
ჭერთ და ნამდვილს გავიგებთ, თუ არა და ეხლა რომ კა-
ცები წავიყვანოთ და ის ლეკი არ გამოგვადგეს, ტყვილად

ხალხს ავრევთ და დედაკაცებს გულებს დავუხეთქავთ. მეფე მართალია ამ საქმეს დახლართულად ხედვიდა, მაგრამ ვისაც გულში ბოროტება არა აქვს, სხვის ბოროტებას ძნელად დაიჯერებს. ამისათვის მეფე დასთანხმდა და იფიქრა კიდეც: სადაც წავალ, ჩემი ბევრგზით გამოცდილი მაჯა და ხმალი თან არ მექმნება? მერე მალი-რაბიმს

მხარზედ ხელი დაჰკრა და უთხრა: „აბა, ძმაო, წავიდეთ!“ – მალი-რაბიმი გაუძღვა წინ ერეკლეს და წავიდნენ. რა სასახლეს მიახლოვდნენ, მალი-რაბიმმა მოახსენა მეფეს: – „თქვენ აქ მოითმინეთ, მე შევალ, დავათვალიერებ, რომ თქვენი შებრძანება არ შეგვიტყონ“. მეფემ გარედ მოიცადა და მალი-რაბიმი შინ შევიდა. იმან ნახა, რომ დოვლათ-მირზას გარდა სხვა ყიზილბაშები და ოსმალებიც იქ იყვნენ. იმავე წამს კაცი არბენინა მოსაყვანად და სულ ხუთმა წამმა არ გაიარა, რაც დოვლათ-მირზა მოვიდა, მალი-რაბიმმა ყოველი საჭირო დარიგება მისცა, თითონ გარედ გამოვიდა და მოახსენა მეფეს: „ყველას დასძინებია მასპინძლისა და ბელადის გარდა; ისინი ყალიონებს ეწევიან და, რა გაათავებენ, თითონაც აღარას მოუცდიან“. – მაშ ჩქარა შევიდეთ. – ბრძანა მეფემ. – რომ შებრძანდეთ, სადეთაც სანთლის შუქი დაინახოთ, იქით წაბძანდით“. ამ სიტყვებს შემდეგ მეფე წინ გაიძღოლა და გაემგზავრნენ. ეს სახლი, რომელშიდაც აპირობდნენ შესვლას, დაბალი ძველებური ქვითკირის სახლი იყო; შიგნით ორად გაყოფილი ერთი ოთახი; პირველად რომელშიც უნდა შესულიყვნენ, დაბნელებული იყო და მეორე სახლიდან კი, რომლიდანაც პირველში კარები გამოდიოდა, გამოჰკრთოდა სანთლის შუქი. რა მალი-რაბიმი სახლიდან გამოვიდა, დოვლათ-მირზამ დააწყო, რომ ორი კაცი განათებულს ოთახში წამოწოლილიყვნენ, დანარჩენი ექვსი კაცი ბნელს ოთახში გაარიგა და მეშვიდედ თითონ კუთხეში დადგა ამოღებული ხანჯლით. ბნელს სახლს სამი სანათური და სამი კარები ჰქონდა. ეს კარები ჩადიოდნენ სარდაფში და ზედ ჩამოფარებული ფარდაგები ჰქონდათ. ეს ექვსნი კაცნი, ორ-ორი, ამ ფარდაგებს უკან დაიმალნენ. მეფე და მალი-რაბიმი რომ შინ შემოსულიყვნენ, მალი-რაბიმს უნდა ენიშნებინა დოვლათ-მირზასათვის ერეკლესათვის უკანიდან ხანჯალი ეტაკებინა. დოვლათ-მირზა წინადან წამოაძგერებდა; ამ დროს დანარჩენნიც

უნდა ზედ დასხმოდნენ და საქმე გეათავებინათ. ხოლო მეფე რომ შევიდა,მალი-რაბიმმა შესვლა ვერ გაბედა და გარედ დარჩა. მეფე, რა შუამდისინ მივიდა, უკან მოიხედა და, რა ნახა, რომ მალი-რაბიმი თან არ მისდევდა, მაშინვე გულმა შეუტყო და ხმალი იშიშვლა. სწორედ ამავე დროს დოვლათ-მირზა წამოეტივა. მეფემ ელვარე ხანჯალი დაინახა და შეჰყვირა საზარელის ხმით: – „ჰა! ჰაი, შე მუხანათო!!..“ – ამ ხმაზედ სახლში ერთი საშინელი ფართხალი შეიქმნა: მეორე სახლის კარები შეჯახუნდა და სანთელი გაქრა. ხმის გამოცემის დროსვე მეფემ ხმალი მოიქნია, დოვლათ-მირზას ხანჯალს მოარტყა და ხანჯალი ხელიდან გააგდებინა. რა ერეკლემ ხანჯლის ხელიდან გავარდნა ნახა, თითონაც ხმალი გაუტეევა: ფიცხლავ დოვლათ-მირზას მივარდა, მოსჭიდა ორსავ იღლიებში ხელები, ასწია, ძირს დაახეთქა, მუხლი გულში ჩააბჯინა და ესე იყო! მეფის ხმამ დოვლათ-მირზას ამხანაგებს ასეთი ზარი დასცა, რომ ეგონათ, სახლს მეხი დაეცაო და ამისათვის მეფეზედ მოტეევება კი ვეღარ იკადრეს, ხოლო დაიფანტნენ და თავიანთ თავებს უშველეს. მალი-რაბიმიც იმათ მაგალითს გაჰყვა. პირველს ალიაქოთის შემდეგ სახლში ისეთი სიწყნარე ჩამოვარდა, რომ ჭიანჭველას ხმაურობაც-კი გაიგებოდა. დოვლათ-მირზა ისე გაინაბა, რომ თითქო სული გასძვრაო. ამ დროს მეფემ დოვლათ-მირზას ხელი მოუსო, სარტყელი მოხსნა და მკლავები შეუკრა, მერე ფეხზე დააყენა, პანღური ჰკრა, გარედ გამოაგდო და სასახლისაკენ წამოიყვანა. იმავე წამს მეფემ თავადები და დარბაისლები შეჰყარა და დოვლათ-მირზას ყოველი ფერი გამოჰკითხა. დოვლათ-მირზამ სულ დაწვრილებით უამბო და თავის ამხანაგების ბინა ასწავლა. მეფემ მაშინვე კაცები აფრინა და რვანივე სასახლეში მოაყვანინა. ამ საქმეზედ შეიქნა დიდი ყრილობა. მეფემ ამ ყრილობის წინ დააყენა დოვლათ-მირზა თავის ამხანაგებით და ჰკითხა: – „რა სასჯელს ამოირჩევთ თქვენი დანაშაულის შესაგვარსა?“ „რა სასჯელიც უუსასტიკესი და უუსაშინელესი იქმნება; ამისათვის რომ ჩვენ

თითონ ვგრძნობთ ჩვენ მძიმე შეცოდებასა“ – მიუგეს დამნაშავეთ. მეფემ ინება, რომ ისინი იმ ღამეს საპყრობილეში შეენახათ და ბრძანა: – „ხვალე ღირსს სასჯელს მიიგ ღებთ!“ –მერე გაგზავნა მალი-რაბიმის საძებნელად, მაგრამ

ჯერაც არ იციან, თუ მალი-რაბიმი რა იქნა.

მეორე დღეს დილით ადრიან აბრძანდა ერეკლე მეფე და ხონთქართან ეს წერილი დასწერა:

«ბედნიერო მეფევ!»

„მე არ მეგონა, რომ კაცი ღვთისაგან ამაღლებული და იმის ტაძარზედ მჯდომარე ისე უკადრისად დაეცეს და შეაგინოს პატიოსნება, როგორადაც დასცემულხართ თქვენ! მე ყოველთვის ხატად მქონდა, რომ მეფე, რადგანაც ის არის ყველაზედ მაღლად მდგომარე, ეგრედვე ყველაზედ მტკიცედ უნდა იცავდეს პატიოსნებას, კეთილ-შობილებას და კეთილ-მოქმედებას! ესე ვითრ სამი საგანი უნდა დარჩნენ შეურყევლად, რადგანაც განგება ამას მოითხოვს. ხოლო თქვენ ყოველი ესე დაგივიწყბიათ... ჩვენ მივდივართ ერთიერთმანერთზედ არა იმისათვის, რომ დავარღვიოთ ზემოხსენებულნი ვალდებულებანი, არამედ იმისათვის, რომ გავაუქმოთ ჩვენ შორის ზოგიერთი უთანხმოება! მე არ შემეძლო წარმომედგინა რამ, დამარღვეველი განგების ნებისა: ამისათვის განგება მიმართავს ხელს და ამ შენს დამამდაბლებელს საქმეშიც მან მომიმართა ხელი და დამარღვევინა შენი ქუჩბუდნება!..

თუ ჩემს თხოვნას თქვენს წინაშე პატივი ექმნება, გთხოვთ ამ წიგნის მომტანთ არა შეწუხება არა მირგუნოთ-რა.

ქართველთ ბატონი ერეკლე მეორე“.

ეგეთი წიგნი მისცა დოვლათ-მირზასთან რაც ოსმალოები იყვნენ და გაგზავნა სტამბოლს. ამის ერთი პირიც დოვლათ-მირზას მისცა და თავის ამხანაგებით გაისტუმრა ყიზილბაშების მეფესთან.

ი. ლაზარესძე

პ რ ო გ რ ა მ მ ა

ეთნოგრაფიული და იურიდიული ცნობების შესაკრებად

რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება წერილები, რომელნიც თვალწინ გვიყენებენ მრავალ-ფეროვან მნიშვნელობას საერო პოეზიისას და გვიწვევენ ერის გონებითი ნაწარმოების შემოსაკრებლად. ამ საგანს დიდი ხანია ყურადღება მიექცა დასავლეთ ევ-

როპაში და რუსეთშიაც და გამოკვლეულ იქმნა პროგრამმა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს საერო ნაწარმოების შემკრებელმა. რადგანაც სასურველია, რომ ჩვენში ამ საქმეს მიეცეს ფართო და გაკვლეული მეცნიერებისაგან სწორე გზა, ამიტომ განვიზრახეთ მიგვეწოდებინა საერო ნაწარმოების შემკრებელთათვის პროგრამმა, რომელიც შევადგინეთ რუსული და ევროპიული პროგრამების მიხედვით და დახმარებით. პროგრამმა ეხება ერის ყოველგვარ მხარეს და განსაკუთრებით შემუშავებულია ეთნოგრაფიული და იურიდიული ცნობების შესაკრებად. რა თქმა უნდა, ერთს სოფელში ანუ თემშიც შეუძლებელია თვითეულს პროგრამმაში დაყენებულს კითხვაზედ პასუხის მოპოება და აღნუსხვა. ცნობების შემკრებელი, რომელსაც საფუძვლიანად აქვს გაცნობილი პროგრამმა, ჩასწერს მხოლოდ იმ გვარ ცნობებს, რომელნიც ამა თუ იმ რაიონში აღმოჩნდება, და იმ რიგზედ გამოჰკითხავს მცოდნე პირებს პასუხს აღნიშნულს პუნქტებზედ, როგორც მოსახერხებე-

ლად დაინახავს. საუკეთესო ხელმძღვანელად ეთნოგრაფიული და იურიდიული ცნობების შესაკრებად ჩვენ მიგვაჩნია სოფლის მღვდლები, მასწავლებლები და საერთოდ ის პირნი, რომელნიც დიდი ხნის დაკვირვებით აღჭურვილნი არიან. ამათ მიერ შემობოჭილს მასახღას, რომელიც შეიძლება წარმოიგზავნოს ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში შესამუშავებლად, ექნება მეცნიერისთვის დიდი მნიშვნელობა.

–

ამ პროგრამმის შედგენის დროს დამეხმარა მოსკოვის ქართველი სტუდენტობა, რომელთაც გულითადს მადლობას ვუძღვნი.

ა. ხახანაშვილი.

I. გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი.

1. რა სახელს უწოდებს ტომი თავის თავს, თავის ქვეყანას და მეზობლებს?
2. რას ეძახიან მას მეზობელი ხალხნი?
3. ხომ არ ეძახიან ერთმანეთს მეზობელი ხალხნი სასაცილო და საწყენ სახელებს?

4. რა იცის ტომმა ანუ ხალხმა თავის ჩამომავლობაზედ?
5. არ არის ძველი თქმულება იმაზედ, რომ ტომი ან ცალკე საგვარეულო წარმოსდგა რომელიმე ცხოველისაგან, მაგ. მგლისაგან, ძაღლისაგან და სხვ.
6. ადგილობრივი მცხოვრებნი არიან მკვიდრნი თუ გადმოსახლებულნი? ამის შესახებ არსებობს თუ არა რაიმე ნაწერი წყარო ანუ ზეპირ-გარდმოცემა?
7. აღნიშნეთ დაახლოვებით მაინც რიცხვი და სიხშირე მოსახლ-კარეთა.
8. მთლად უჭირავს ამ ტომს ადგილი თუ მათთან სცხოვრებენ სხვა ტომის წარმომადგენელნიც?
9. აღნიშნეთ სივრცე ადგილისა, რომელიც უჭირავს ხალხს, ასწერეთ ბუნების თვისება, ნიადაგი მიწისა, ჰავა და სხვა დამახასიათებელი თვისებანი ამ ადგილისა.
10. რა ხალხები სცხოვრებენ მის გარშემო და რა დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან?
11. საზოგადოთ, რა თვალით უცქერიან სხვა ტომის და სარწმუნოების კაცს?
12. რაში ჰხედავს ხალხიც თავის განსხვავებას სხვა ხალხისაგან ანუ იმავე ტომის სხვა ნაწილისაგან?

13. ჩასწერეთ სასაცილო ამბები, შაირები, მეტი სახელები და სხვ.
14. არსებობს, თუ არა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის წოდებრივი დაყოფვა?
15. რა სახელები ჰქვიან ამ წოდებათა?
16. არსებობენ გვარეულობაში იმისთანა გარდმოცემანი, რომელთაც აქვთ რამე კავშირი გვართან ან საგვარეულოს მეტ სახელთან?
17. შეადგინეთ გვარების სია და ახსენით, როგორ წარმოსდგა ზოგიერთი მათგანი მაინც.
18. ხშირად იცვლიან თუ არა გვარებს და სად?
19. რა მოსდის გვარს ოჯახის გაყრის დროს?
20. რომელი გვარი უფრო ხშირად გხვდებათ ამ სოფელში?
21. რომელი გვარებია საკუთარი სახელიიდან ანუ პირუტყვთა სახელწოდებიდან წარმომდგარი და ერთნაირი დაბოლოებიანი ხშირია ამ სოფელში?

II. ანთროპოლოგიური ცნობანი.

1. რა გვარი ტანის აგებულობა უფრო ხშირია დასა-
ხელებულს სოფელში?
2. ხშირია ახოვან ტანიანი ადამიანი, ანუ ნამეტანი
მსხვილი, ან ძლიერ მსუქანი და ან მეტად მჭლე
აგებულობის ადამიანი?
3. ამ სოფლის საზოგადოება გაირჩევა თუ არა თვისი
ფიზიკური ძალით და ღონით, და კერძოდ ეს ფიზი-
კური ძალა და ღონე რაში გამოიხატება?
4. რაში გამოიხატება ფიზიკური განსხვავება მამათა და
დედათა სქესის?

5. რომელი ნაწილი ტანისა უფრო ხშირად არის შეუ-
თანსწორებელი და დამახინჯებული ანუ საზოგა-
დოთ რომელი ნაწილის სიმახინჯე უფრო ხშირია?
(მაგ. გძელი ანუ მოკლე კისერი, მსხვილი, დაკვან-
ჭული ფეხები, გაზნექილი ხერხემალი?).
6. ამ სხვა-და-სხვა გვარ აგებულობის უსწორ-მასწორობას
რა სახელებს უწოდებენ?
7. ამ სოფლის მცხოვრებელთა შორის რაგვარი მახინჯო-
ბაა უფრო ხშირი: ბუნებით დაყოლილია იგი, თუ
ძალად, ადამიანის ხელითაა შექმნილი?
8. თუ ადამიანის ხელით არის დამახინჯებული, მაშინ
უნდა იყოს ნაჩვენები, ვისგან და როდის (დაბადე-
ბის დროს, თუ შემდეგ), და რა მიზნით?
შ ე ნ ი შ ი შ ვ ნ ა : სასურველია ფოტოგრაფიულად იყოს გად-
მოცემული ტიპიური წარმომადგენელი ერისა. სურათი
უნდა იყოს აღებული პირდაპირ (en face) და ცალ-გვერ-
დით (პროფილი).
9. მცხოვრებლებს საზოგადოთ რა მოყვანილობის აქვთ:
თავი, პირი, ცხვირი, თვალი, ყური, ტუჩი.
10. საზოგადოთ რა ფერის თვალი და თმა უფრო ხშირია?
11. ხშირია იმისთანა მოვლენა, რომ თმა ერთი ფერისა
იყოს და თვალები კი სულ სხვა ფერისა? (ქერა თმა
და შავი თვალები).
12. შორს-მხედველნი ბევრია, თუ არა? (უნდა იყოს ნა-
ჩვენები თმის ფერი და ძალა შორს მხედველობისა).
13. ბრუციანი, ბრმა, ბეცი ბევრია, თუ არა?
14. რა და რა ფერებს იცნობს ხალხი და რა და რა ფე-
რების სახელები იცის?
15. ხალხის უმეტესობას აქვს თუ არა კარგი ყურთა სმენა?
16. რა ბგერა არ მოსწონთ და რა ხმებს ჰსთვლიან სა-

სიამოვნოდ, დამატკბობელად?

17. არქმევენ თუ არა ადამიანს რაიმე სახელს თვალის, ყურის, ტუჩის (მაგ. დრუნჩიანი), თმის, ცხვირის, ნიკაპისა და წარბის მიხედვით?
18. შეადგინეთ სრული სია მთელი ტანის აგებულობის, სახელებისა, აგრეთვე სია ძვლებისა, სახსრებისა, ნიშნებისა, მეჭეჭებისა და ხორცმეტისა და სხვ.
19. რა გვარი ხმით ლაპარაკობს უმრავლესობა? (წვრილი, ბოხი ხმა).
20. რა სახელებით გაირჩევიან ხმათა კილონი? (წკრიალა, ხრინწიანი, ჩხავანა).
21. როგორ ლაპარაკობენ, ჩქარა თუ ნელა?
22. რა განსხვავებაა ყველა ზემო-მოყვანილ საკითხავების მიხედვით მამათა და დედათა, მოხუცთა და ყრმათა, ტომობის ჩამომავლობით?
23. რა გვარი სიარულის უფრო დამახასიათებელია?
24. დგომის ან ჯდომის დროს როგორ იციან ტანის დაჭერა?
25. ამ შემთხვევაში მამათა და დედათა სქესს შორის არის განსხვავება თუ არა, და აგრეთვე მოხუცთა, ყრმათა და წოდებათა შორის?
26. ხმის და მიხვრა-მოხვრის მიხედვით რა ზედ-მეტ სახელს უწოდებენ ადამიანს?
27. ხალხი რა სიტყვებით გამოხატავს ფიზიკურ ძალას და სისუსტეს, სიჩქარეს და სიზანტეს, სათნოებას და სიბოროტეს? საზოგადოთ რა სიტყვებით აღნიშნავს ადამიანის ფიზიკურ და ზნეობრივ თვისებებს, აგრეთვე ბუნების სხვადასხვა მოვლენას, მაგ.: სინათლის და სიბნელის ძალას, სიშორეს და სიახლოვეს, სიმაგრეს და სიმაბუნეს.

III. სახლი და მისი ავეჯეულობა

1. სახლები ახლო-ახლოა აშენებული, მოშორებულია ერთმანეთზე.
2. ჰიგიენური მდგომარეობა სადგომ სახლისა შეეხამება ადგილობრივს ჰავას, ესე იგი,სადგომი სახლი რიგიანად იფარავს კაცს სიცივისაგან და სიცხისაგან,

თუ არა?

3. უნდა იყოს დაწვრილებით აწერილი მოწყობილობა სადგომ სახლისა: მასალა, რისგანაც შენდება სადგომი სახლი, რა ნაირად შენდება იგი, მისი სიდიდე, სხვა-და-სხვა ნაწილები და მათი დანიშნულება, ეზო, კარ-მიდამო, მისი სივრცე, ეზოში რა შენობები დგას და სხვა.
4. რითი განირჩევა ღარიბი სახლის მოწყობილობა მდიდრათ მორთულ სახლისაგან?
5. კერძოდ თითოეულ შენობებს რა სეხელს უწოდებენ?
6. იციან თუ არა ღობე და, თუ იციან, როგორი?
7. შენობისას რომელ ნაწილს უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ აშენების დროს?
8. იციან თუ არა უბრალო მასალით აშენებული სახლის შემკობა შეღებვით, გამოქანდაკებით, ჩუქურთმით, მხატვრობით და სხვ.
9. აწინდელ ეზოებს, შენობებს ძველებური ხასიათი აძევთ თუ დაეტყოთ ცვლილება, და თუ დაეტყოთ, რა არის მიზეზი ახალ გემოზედ სახლების აგებისა?
10. რა საშუალებას ხმარობენ სინოტიეს თავიდან ასაცილებლად სადგომ სახლებში?
11. რა საშუალებას ხმარობენ ცეცხლის გასაჩენად და შესანახავად? (ხეხვით ხომ არ აჩენენ ცეცხლს?)

12. რა გვარ სანათებს ხმარობენ?
13. რა მასალას სწვავენ?
14. როგორი მოყვანილობა აქვს კერას და ბუხარს და როგორ ა კეთებენ?
15. ვისი ვალდებულობაა ცეცხლის შენახვა?
16. რა ჭურჭელს ხმარობენ ოჯახში?
17. რისგან და როგორ კეთდება ჭურჭელი?
18. რა მოხატულობანი და ნიშნები არიან გამოყვანილი ჭურჭელზე?
19. არიან თუ არა განსაკუთრებული ჭურჭლის მოხელენი?
20. რა იარაღს ხმარობენ ოჯახში? რისგან და როგორ აკეთებენ?
21. რომელი ლითონიდან უფრო ხშირად აკეთებენ იარაღს?
22. როგორ შოულობენ ლითონს?
23. როგორ მდგომარეობაშია საზოგადოთ ლითონის წარმოება?
24. რა იარაღს ხმარობენ თავს დასხმის დროს და აგრე-

თვე მოგერების დროს?

25. არის თუ არა სხვა ქვეყნიდან მოტანილი იარაღები?

26. რა იარაღი მიაჩნიათ ყველა იარაღზე უფრო ძველად? რა იარაღი უფრო მოსწონთ?

27. შეიძლება იყოს რომელსამე იარაღზე ზღაპრული ხასიათის ზეპირ-გარდმოცემა; აგრეთვე შეიძლება იყოს სადმე რამე თქმულება ფარზე, გრძნეულ ისრებზე, ალმასის ნაჯახზედ და სხვა.

28. აქვს თუ არა ხალხს წარმოდგენილი სხვა გვარი იარაღი ნახატებით ან ზღაპრებში. რა იარაღით არიან აღჭურვილნი კერპნი და ავ-სულნი?

28. ხმარობენ თუ არა რომელსამე განსაკუთრებულ იარაღს მსხვერპლის დასაკლავად და ან სხვა შემთხვევის დროს?

29. ჰპოულობენ თუ არა რაიმე იარაღს მიწაში და რა სახელს უწოდებენ ამ გვარ იარაღს. დარჩენილა თუ არა ამაზე რაიმე ზეპირ-გარდმოცემა?

IV. ტანისამოსი

1. რანაირ ტანისამოსს ხმარობენ?
   შენიშვნა: სასურველია გადაღებული იყოს სხვა-და-სხვა ტანისამოსის სურათები.

2. ქალების და კაცების ტანთსაცმელის ფორმა და ხასიათი ერთმანერთში გაირჩევა თუ არა? აგრეთვე მოხუცებულის და ახალ-გაზდის ტანისამოსს შორის რა განსხვავება არის?

3. რა მასალიდან ჰკერვენ ტანისამოსებს? ერთ და იმავე ტანისამოსს ხმარობენ- ზამთარზაფხულ, თუ დროის მიხედვით იცვლიან?

4. გავრცელებულია თუ არა კერვა, ქარგვა, ქსოვა, დაწვნა, ტყავის მოქნა და სხ.

5. ვის ვალდებულობას შეადგენს ტანისამოსის შეკერვა, მომზადება?

6. განსხვავდებიან თუ არა ტანთ-საცმელით გლეხი თავად-აზნაურებისაგან, ანუ მოხელეობის მიხედვით?

7. აქვსთ თუ არა საგარეო და საშინაო ტანისამოსი? დღესასწაულში როგორ ტანისამოსს იცმენ?

8. რა ფერის ტანისამოსი უფრო მოსწონს ხალხს?

9. როგორ იციან ხოლმე ტანისამოსის მორთვა? და რა ნაირია ეს მორთულობა?

10. რომელი სქესი უფრო მისდევს მორთვას?

11. განირჩევა თუ არა ერთმანეთში გათხოვილის და გაუთხოვარის ანუ უმანკოების დამკარგველის ტანისამოსი?
12. რა ტანისამოსს აცმევენ მიცვალებულს? ამ შემთხვევაში ეროვნულ ტანისამოსს შედარებით

ახალ ფორმის ტანისამოსებთან უპირატესობა ეძლევა თუ არა?
13. რა სახელები ჰქვიან სხვა-და-სხვა გვარ ტანისამოსს, მათ ნაწილებს და გაწყობილებას?
14. ტანისამოსის გარდა, რა საშუალებას ხმარობენ სიცივის და სიცხისაგან დასაფარავად? მაგალითად: თუ იციან ქონის წასმა ტანზედ და სხვა?
15. იციან თუ არა თმის გაკრეჭა, მოპარსვა, ამოგლეჯა, პირის მოქნა და სხვა?
16. როგორ იკეთებენ თმას კაცები? ქალები?
17. რა გვარ ფეხსაცმელს ხმარობენ? როგორ? რისგან აკეთებენ მას?
18. რა ხასიათის ქუდები და თავსახურები იციან? (ბოხოხი, ფაფანაკი, ჩაბალახი და სხვ.).
19. იციან თუ არა თმის, წვერის და ბრჩხილების ღებვა? ხმარობენ თუ არა ფერ-უმარულს?
20. ყველა ამისათვის რა ნივთიერებას ხმარობენ?
21. რა საშუალებას ხმარობენ თმის დასამაგრებლად, გასაზრდელად, მოსასპობლად?
22. ადამიანს ასმენ დაღს თუ არა? რა მიზნით ჩადიან ამას?
23. რომელ ტანის ნაწილზე დაასმენ დაღს? უნდა იყოს აღნიშნული, რომელ წოდებაში რანაირი დაღის დასმა იციან? რიცხვი დადიანთა რომლებში უფრო მეტია: მოხუცთა თუ ყმაწვილთა შორის, მამათა თუ დედათა შორის?
24. რა მიზეზით აიხსნება ეროვნული ტანისამოსის დავიწყებ, და გამოცვლა, და რაში მდგომარეობს ეს ცვლილება?

V. სასმელ-საჭმელი:

1. რისას და როგორ ამზადებენ საჭმელს; რომელ

საჭმელს უფრო ხშირად ხმარობენ უბრალო დღეს
და რასა სჭამენ უქმე დღეს?
2. მარილს ხმარობენ თუ არა?
3. რა და რა მარილები იციან, და რომელს უფრო
ეტანებიან? მაგ. შავი მარიღო, ყარსისა, ვეძის
მარილი?
4. მარილს გარდა, სხვა რა მადნეულებს ხმარობენ
საჭმელში (გვარჯილას, შაბს და სხ.)?
5. ეტანებიან საზოგადოდ სანელებლებს, ტკბილეუ-
ლობას თუ არა?
6. ხორცს ხარშვენ თუ სწვავენ? ორივენაირი მზა-
დება დაწვრილებით უნდა იყოს აწერილი.
7. ვისი მოვალეობაა საჭმლის მზადება?
8. საზრდოს (სარჩოს) დამზადება და შენახვა იციან
თუ არა, და თუ ციან, როგორ?
9. პურის საჭმელად დრო აქვთ დანიშნული თუ არა?
დღეში რამდენ ჯერს სჭამენ?
10. სხვა-და-სხვა დროს ჭამას რას უძახიან?
11. რა დროს, რა საჭმელს უფრო ეტანებიან?
12. ცოტას სჭამენ თუ ბევრს? ხარბად თუ არა?
13. რამდენი თავი საჭმელი აქვთ ხოლმე?
14. საჭმელების რიგ-რიგზე და თავ-თავის დროზე მო-
ტანას ყურადღებას აქცევენ თუ არა?
15. იციან თუ არა, რომ ზოგიერთი საჭმელების არევა,
ან რომ ერთი საჭმელი მეორეს უკან არ ვარგა?
16. სტუმრისთვის რომელი საჭმელია უფრო საპატიო?
17. რომელი საჭმელი მიაჩნიათ საუკეთესო, სანატრელ

საჭმელად და რომელია მაჩვენებელი მათი უკი-
დურესი სიღარიბისა?
18. ქალები და ბავშვები მამაკაცებთან ერთად სჭამენ
პურს თუ არა?
19. მამაკაცებს და საზოგადოდ სახლის უფროსებს (სხვა)
ცალკე საჭმელს უმზადებენ თუ არა?
20. ოჯახში ყველას თავთავის კოვზი აქვს თუ არა?
21.რად ერიდებიან სხვის კოვზით ჭამას?
22. რომელ პირუტყვთ უფრო ჰხოცვენ საჭმელად?
23. რას ეძახიან დაკლულ პირუტყვის სხვა-და-სხვა
ასოების ნაწილებს, ან ამ ასოებიდან მომზადებულ
საჭმელებს?
24. იმათი ფიქრით რომელი პირუტყვი, ფრინველი,

მცენარე და სხ. უსუფთაოა და არ იჭმევა (რას იტყვიან ხოლმე ამაზე, როგორ ხსნის ამას ხალხი?)

25. პირუტყვის რომელ ასოებს (ნაწილებს) არა სჭამენ და რაა ამის მიზეზი?
26. გავრცელებულია ხორცეულობის უჭმელობა და რით აიხსნება ეს?
27. რომელი მცენარეა უმთავრესი საჭმელი ხალხისა, და რომელს უჭირავს მეორე ალაგი?
28. რომელ მცენარეებს სჭამენ უმად, და რომლებს ამზადებენ ცეცხლზე ან როგორმე სხვა ნაირად (მწნილად ჩადებით, გახმობით...)
29. რომელ ცხოველებს, მცენარეებს ან იმათ ნაწილებს (ქერქს, ფოთლებს) სჭამენ ხოლმე გაჭირვებაში ან შიმშილის დროს?
30. რა და რა სახელები აქვთ ამ კუთხის ხილს, მწვანილს, ხეხილს, ბაღის და ბოსტნის სხვა-და-სხვა მცენარეებს, მათ ნაწილებს, რომელთაც

საჭმლად ხმარობენ და აგრეთვე რა და რა საჭმელებს ამზადებენ იმათგან?

31. რა სასმელია მათში გავრცელებული და როგორ აკეთებენ?
32. მსხვერპლის მიტანის დროს რა სასმელს ხმარობენ?
33. დამათრობელს, გამაბრუებელს ხომ არას ეტანებიან?
34. ხშირია თუ არა სიმთვრალე, თამბაქოსა და ბურნუთის წევა ან სხვა-და-სხვა ნარკოტიული (გამაბრუებელი) საგნების ღეჭვა?
35. ამით ქალი კაცისაგან, დიდი პატარასაგან და სხვა-და-სხვა წოდებანი ერთმანერთში განირჩევიან თუ არა?
36. სმის ან ბურნუთის და თუთუნის წევის დროს ჩვეულებად აქვთ თუ არა ლოცვის თქმა, წყევა-კრულვა?
37. როგორ დაილოცებიან ხოლმე ვისიმე სადღეგრძელოს რომ სვამენ?
38. რა საშუალებას ხმარობენ მეტისმეტად დამთვრალის გამოსაყენებლად?

VI. ყოფა-ცხოვრება – რა გვარ საქმეს მისდევენ.

1. როგორია ყოფა-ცხოვრება ამ ტომისა, ელია ხალ-
ხი, ერთს ალაგს არის დამყარებული (დამკვიდ-
რებული) ნადირობას მისდევს, საქონლის მოშე-
ნებას თუ ხვნა თესვას?
2. ნადირობა დრო-გამოშვებით ბინის გამოცვლას
ითხოვს თუ არა?

3. ცალ-ცალკე ნადირობენ თუ ჯგუფ-ჯგუფად, ამხა-
ნაგობით?
4. თევზის ჭერას მისდევენ თუ არა?
5. რა და რა სანადირო იარაღი აქვთ და როგორ
იჭერენ თევზს?
6. როგორ აკეთებენ მახეებს, ხაფანგებს, ბადეებს,
ნემსკავებს (წილკავებს)?
7. რა ცხოველებზე ნადირობენ?
8. ზოგიერთი გარეული ცხოველის მოკვლა ან რო-
მელიმე თევზის დაჭერა ხალხში აღკრძალულია, თუ
არა, და თუ აღკრძალულია, რა არის ამის მიზეზი?
9. რა შინაური პირუტყვები ჰყავთ?
10. როგორ ჰხედნიან ან ჰგეშავენ პირუტყვს რომე-
ლიმე განსაკუთრებითი მიზნისთვის?
11. როგორ უვლიან შინაურ პირუტყვს?
12. თუ ტომი ელია და საქონლის მოშენებას მისდევს,
საიდან სად გადასახლდება ხოლმე?
13. როგორ ინახვენ საქონელს, რომ ჭირმა არ გასწ-
ყვიტოს, ნადირი არ დაეცეს ან ქურდმა არ დაი-
პაროს?
14. რა შელოცვები ან ჯადოები იციან ხოლმე ამ
შემთხვევაში?
15. როგორ და რით არჩენენ საქონელს ავადმყოფო-
ბისაგან?
16. რა ღონისძიებას ხმარობენ ხოლმე დიასახლისები,
როცა უნდათ, რომ ძროხამ მეტი მოიწველოს,
ან ქათამმა ყოველ დღე (მეტი) კვერცხი დასდოს?
17. დასაჭურისება ან ყვერულად მომზადება ვისი მოვა-
ლეობაა?
18. დედალს ხომ არ ასაჭურისებენ?

19. ამის შესახებ არის რამე თქმულება, რწმუნება, ნიშნები თუ არა?
20. თავთავის სახელი აქვს თუ არა სხვა-და-სხვა ცხოველის შვილის ყოლას?
21. შინაურ პირუტყვს საალერსო ან სხვა-და-სხვა სახელებს არქმევენ ხოლმე თუ არა?
22. ცხენის ან ცხვრის მოშენებას მისდევენ თუ არა?
23. ფუტკრის მოვლა იციან თუ არა, ან როგორი სკების კეთებაა მიღებული?
24. მისდევენ თუ არა ყაჭის კეთებას?
25. ერთი ბინიდამ მეორეზედ გადასახლების დროს რითი გადააქვთ თავიანთი ავლა-დიდება, ან თვითონ რითი მოგზაურობენ?

26. რა და რა ნაირი აბრეშუმის მოვლას?
27. როგორი თვლები იციან, მთელი გორგოლაჭები თუ სოლებიანი?
28. მძიმე საგნებს ზურგით ქალები ეზიდებიან თუ კაცები, ყმები თუ შინაური პირუტყვი?
29. წყალში როგორ გადიან, ან როგორ გადადიან მთებზე? იციან თუ არა ხიდები?
30. რამდენად არის ხვნა-თესვა გავრცელებული?
31. რას უფრო სთესენ?
32. რა დროს აღარ გადააცილებენ ხოლმე მკა-თესვას?
33. რას შვრებიან თესვის ან რგვის დროს, რომ ყანა არ წახდეს, ან ღვარძლი არ შეერიოს, ან კიდევ რომ კართოფილი კვლებში არ დალპეს და სხვ. რა და რა ადვილად გამოსაყენებელი ცოდნა აქვთ ამისთანა შემთხვევაში?
34. რა შველა აქვს, როცა პურის ყანას ჭია ან კალია დაედება, ან კიდევ თაგვებს, თხუნელებს, თრითინებს

და სხვა მავნებელ ცხოველებს რითი სწყვეტენ?
35. რასა მკიან, რასა სცელავენ და რასა ჰგლეჯენ, რას სთიბავენ? მომკილს, მოთიბულს მაშინვე შეჰკრავენ ხოლმე თუ არა? მომკელი ან მთიბავივე ჰკრავს თუ არა? რას უფრო აკეთებენ ქალები და რას მამა-კაცები?
36. მკის დროს ქარს ზურგს შეაქცევენ ხოლმე თუ არა, რომ ქარმა ყანა წინ წააწვინოს? ნამიან ყანას უფრო მკიან, რომ მოწეულ თავთავს მარც-

ვალი არ გასცვივდეს, თუ არა?
37. პურის გარდა სხვას რასა სთესვენ მინდორში?
38. სხვა-და-სხვა მცენარეებს ყოველ წლივ ერთსა
და იგივეს სთესვენ იმავე მიწაში?
39. რა იარაღი აქვთ ხვნა-თესვისთვის? როგორ აკეთე-
ბენ გუთანს, ფარცხს და სხვა?
40. რომელ პირუტყვს უფრო რჩეულობენ ხვნაში?
რამდენს აბმენ?
41. მიწას პატივს აყრიან თუ არა? რა გვარი პატივის
დაყრა უფრო იციან? სხვა-და-სხვა მცენარესთვის
სხვა-სდა-სხვა პატივი აქვთ თუ არა?
42. რწყავენ თუ არა მინდვრებს?
43. ბაღების და ბოსტნების მოვლას მისდევენ თუ არა?
44. როგორ ხეხილს უფრო რგავენ და რომელი უფრო
ხარობს?

(შემდეგი იქნება)

კ ი ნ ტ ო

სამ-მოქმედებიანი კომედია-ხუმრობა

ა კ ა კ ი ს ა

შენიშვნა

პირველ ხანებში, როცა ქართულ თეატრს ჯერ კიდევ არ ჰქონდა სცენაზე ფეხი მოდგმული, რთული პიესების წარმოდგენა მოუხერხებელი იყო. გარდა გაბუნიასა და საფაროვის ქალისა არტისტი-ქალები არა გვყოლია და ეს გარემოება გვაიძულებდა, რომ პიესებიც მისთანა აგვერჩია ხოლმე, სადაც ქალების როლი ნაკლე იყო. – სეზონი თავდებოდა; უკანასკნელ დღეს გაბუნიას ბენეფისი იყო, მაგრამ რადგანაც რამოდენიმე დღის წინად საფაროვის ქალი ავადა გახდა მოულოდნელად, საბენეფისოდ ამორჩეული პიესის თამაში მოუხერხებელი შეიქნა და ბენეფისი აღარ შედგებოდა. ახალგაზდა ნიჭიერ გაბუნიას ქალს გული დასწყდა და კიდეც უმართებდა: სხვაც რომ არა ყოფილიყოს-რა, მატერიალურად იჩაგრებოდა. დრო აღარ იყო, რომ სხვა პიესა აგვერჩია და ვერც პიესა გამოვნახეთ მის-

თანა, რომ მარტო ერთი ქალი ყოფილიყოს მოთამაშე. ახალგაზდა ნიჭის ყოველთვის თანამგრძნობი ვიყავი და გაბუნიას დაღონებამ მეც შემაწუხა. მეტი ვეღარა მოვახერხე-რა, დავჯექ იმ ღამესვე და გათენებამდე დავსწერე ეს სცენები „კინტო“, სადაც ერთი ქალის მეტი არ არის საჭირო და რომელსაც თვითონ მებენე-ფისე ითამაშებდა. ცენზურამ ნება დაგვრთო მეორე დღესვე და ხელად, სამ დღეში მოვამზადეთ ახალი პიესა. ბენეფისმა კარგად ჩაიარა. გაბუნიას ქალი კმა-ყოფილი დარჩა და მეც მიამა, რომ ნიჭიერ-ახალგაზდა არტისტ-ქალს გული არ დაეჩაგრა. – რადგანაც იმ პიესამ

თავის საკუთარი მოვალეობა აასრულა, მეც ავიღე და შევინახე. არც მისი დაბეჭდვა და არც ხელ-მეორედ წარმო-დგენა გუნებაში აღარ მქონია. წავედი რუსეთში. რუ-სეთიდან რომ ჩამოვბრუნდი, ვნახე, რომ ის პიესა, „კინტო“ სახალხო პიესად გადაქცეულიყო და არა თუ ქალაქებში, სოფლებშიაც კი ადგენდენ. მას აქედ აგერ ოცი წელიწადია, და შეუძლებელია, რომ სხვა-და-სხვა-გან, ქალაქებში თუ სოფლებში, რამდენჯერმე არ წარ-მოადგინონ „კინტო". საკვირველი მხოლოდ ეს არის, რომ დედანი ჩემი პიესის მე მაქვს, პირი არავის გადა-უწერია და საიდან გამოტყვრა? ალბად როლები მია-კერ-მოაკერეს და ისე შეადგინეს. რამდენჯერმე დავს-წრებივარ „კინტო"-ს წარმოდგენას, რომელსაც ჩემი სახელით ადგენენ, და ყოველთვის და ყოველგან სულ სხვა-და-სხვა გვარად წარმოუდგენიათ: ხან აკლებენ და ხან თავისას უმატებენ, ასე რომ მთლიანად, თავიდან ბოლომდე ჩემ დაწერილად ვერ მიცვნია. აი, სწორედ ეს გარემოება მაიძულებს, რომ დავბეჭდო დღეს ის „პიესა". – თუ ეს მიზეზი არ ყოფილიყო, „კინტო“, როგორე ბევრი სხვა ჩემი ნაწერთაგანიც, რომელთაც მხოლოდ დროებითი მნიშვნელობა ჰქონიათ – წარმა-ვალი, ვერ ეღირსებოდა სტამბას და დარჩებოდა მხო-ლოდ „ჩემი თავ-გადასავალი"-ს მასალად.

ავტორი .

მომქმედი პირები:

ილია.
სალომე – მისი ცოლი
ალექსანდრე – სალომეს მეგობარი.
სამსონ – ილიას მეგობრები..
ალმასხანა – ილიას მოსამსახურე იმერელი.
კინტო.
გეო
მანუა კინტოები
თათუზა
და მეზურნეები.

პირველი მოქმედება
–
I-ლი სანახავი:

(მდიდრულად მორთული ოთახი ილიას სახლში. სავარძელში ჩასძინებია ალექსანდრეს).

პირველი გამოსვლა.

ალექსანდრე და ალმასხანა

ალმასხანა (შემოდის. იქით-აქეთ იხედება და რომ შენიშ-ნავს მძინარს) იმე! ქვე დაძინებია აგერ ამ მამა-ცხონებულის შვილს!.. უბოდიშო სტუმარი აპა ეს ყოფილა!! – ჰმ... ქალბატონმა მიბძანა: „მოახსენე, რომ არსა წაბძანდეს... მომიცადოსო და რავა ვქნა ახლა? თუ არ მოვახსენე, იმას ეწყინება, და თუ მოვახსენე, უნდა გავაღვიძო და ვაი თუ ეს და-ლოცვილი გამიწყრეს. ჰე!.. მარა ან კი რა მოხ-სენება უნდა? სად წავა მძინარი? (داააპირებს წასვლას და მერე ისევ მობრუნდება). კი მარა, გამოიღ-ვიძოს და გამეპაროს, მერე ხომ წავხდი კაცი?!. არა შენ... რად ვიზამ ამას?!. თქვენ არ მომიკვ-დეთ, ფეხიც არ მოვიცვალო აქიდან, სანამდი არ გამოიღვიძოს: დავჯდები და ვუყარაულებ. ისე

შევაჩერდები, რავარც გასაწაფავ მიმინოს. (ჯდება

სავარძელში) ვიფ, საყვარელო, რა კარგია დიდ-კა-
ცობა! – დაბძანდი ასე რბილად, თბილად, ნებიე-
რად და იყავი შენთვის, სანამდი არ მოგეწყინოს...
ამაში რომ კაცს ძილი მოუვიდეს, რავა გეიმტყუ-
ნება? თვარა დეეგდები ძაღლივით ხმელ ფიცარზე,
დაგეჟეჟება გვერდები და რაღა თქმა უნდა, რომ
ძილი გაგიტყდება და მამლის ყიულს დაასწრებ
წამოდგომას?!.. ვიფ! საყვარელიო! (იზმორება). ბა-
ტონების სიზარმაცე სულ ამისთანა სკამ-ლოგინე-
ბის ბრალია, მე და ჩემმა ღმერთმა! რომ გინდო-
დეს, მაინც ვერ წაართმევ თავს! (საკრავის ხმა მო-
ესმის) ჩუ! (ყურს მიუგდებს):
„იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო,
გაფუნჩულო, ახალ-ნორჩო, შენ პაწაწინაო!
მაგრე ტკბილად უდარდელად, რამ დაგაძინაო?
დედის მკერდში მიგიგნია შენ ტკბილი ბინაო?
დაიძინე, იავ-ნანა, ვარდო ნანინაო!
აიავ-ნანა, ვარდო ნანა! იავ-ნანინაო!

ალმ. ჰე, ბატონო!.. შვილებიც რომ სხვანაირი ებადე-
ბათ ამ დიდკაცებს: ერთი ამ სიგძე (აჩვენებს თითით)
ბაღანაა და თუ ორპირი „ნანინა“ არ მოახსენეს,
ისე რავა ინებებს დაძინებას! აი ბეჩა, ჩვენი გლე-
ხის შვილები! - ვინ გასცემს ხმას, ბევრიც რომ
იჭყავლონ? ერთს წაურწევენ: „აა-აა-აა-აა..აარ“ და
მიაგდებენ განზე! მარამ რომ ქვე იზდებიან ღვთის
მადლით. (კიდევ მოისმის ნანინა):
დაიძინე, გენაცვალოს შენი მშობელიო!
ძუძუებში ჩაგივლია პაწაწა ხელიო.

შენს ვაშკაცობას მომასწრებს მე ღვთისმშობელიო.
აგცილდეს სხვისი მონობა დამამხობელიო.
თავისუფლების სხივები გულს მოგეფინაო.
იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო.

ალმ. არა, რომ თქვას კაცმა, კაი გასაგონი კი არის
ეს „ნანინა". უნდა დახუჭო თვალები ასე და უგ-
დო ყური. (ხანგრძლივი „ნანინა“):

გაივსე და გაიზარდე პატარა მთვარეო!
შეისწავლე და შეიტკბე სამშობლო მხარეო!
ანუგეშე, სადაც ნახო, მოძმე მწუხარეო!
შვილო, მამულის გულისთვის სისხლიც დაღვარეო!..

ჩვენ ძველებმაც მაგგვარადა მტერი აშინაო...
იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო!...

პაწაწინა იადონო და ვარდის კონაო,
ყური უგდე, დაისწავლე ჩემი ნანინაო!
თვალ-ხილულად დაუკვირდი, იცან ქვეყანა,
რომ გაიგო ამ სოფლისა ცრუ-გამოცანაო,
მაგრამ ჯერ კი დაიძინე, ადრეა განაო?
იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო.

ალექსანდრე (იღვიძებს ალმასხანას ხვრინზე). უჰ! რა ტკბილად ჩამძინებია! ეს პირველი შემთხვევაა, რომ ჩემს ხვრინს გამოვეღვიძებიო (მოისშის ხვრინი) მჰ!? ეს ვინ წამოპლაკულა აქ? ეი! ვინა ხარ შენ?

ალმ. (წამოვარდება უცბად და იფშვნეტს თვალებს) ვუი, ამ ჩემს თავს!.. უკაცრავად შენი ჭირიმე! ჩამყვინ-თებია ცოტა და"...

ალექ. არაფერია, ვინა ხარ ჩემო ძმაო?

ალმ. ალმასხანა გახლავარ, ბატონო!

ალექ. ვინ ალმასხანა?

ალმ. ჰმ!.. ალმასხანა, ბატონო.

ალექ. (თავისთვის: ე რა ცეტი ყოფილა! (ალმასხანას) იმერელი ხარ?

ალმ. აპა ვინ უნდა გახდეთ, ბატონო?!

ალექ. კეთილი! შინაური ხარ თუ გარეული?

ალმ. ფხხხუუუ!..

ალექ. რას იცინი?

ალმ. ხუმრობთ ბატონო და რავა არ გევიცინო?

ალექ. როგორ თუ ვხუმრობ?

ალმ. აპა, ბატონო, გარეული რა... ფხხხუუუ!.. კატა ხომ არა ვარ?!.

ალექ. რას ამბობ, კაცო? მე მინდა შევიტყო, აქაური ხარ, თუ არა?

ალმ. რავა ბატონო: აქაური?

ალექ. ჰო, აქ მსახურებ, თუ სხვაგან სადმე?

ალმ. მივხვდი, ბატონო, მივხვდი!.. აქაური!!.

ალექ. მოსამსახურედა ხარ?

ალმ. აჰ, არა, ბატონო! ლაქიად!!

ალექ. პირველადა გხედავ.

ალმ. კი ბატონო! დიდი ხანი არ გახლავსთ, რაც აქ
გახლავარ.

ალექ. ადრე ვისთან იყავ?

ალმ. ერთ ვაჭარს ვუდექი, ბატონო.

ალექ. ლაქიად?

ალმ. ყოლიფრად, ბატონო.

ალექ. ბევრს გაძლევდა?

ალმ. თუმანს, ბატ ონო, თვეში.

ალექ. აქ?

ალმ. აქ, ბატონო, ხუთად გახლავარ.

ალექ. მერე და თუმანი ხუთ მანეთში გასცვალე?

ალმ. ასე იქნა, ბატონო, და მაინცა და მაინც არ ვნა-
ღვლობ: იქაურ თუმანს აქაური მანათი მირჩევნია,
თუ მართალს მათქმევინებთ.

ალექ. რათა?

ალმ. რათა და მათა, რომ ის თუმანი არკ კი მყოფ-
ნიდა საჭმელში.

ალექ. ჰო, შენი ხარჯით იყავი?

ალმ. არა, ბატონო, მარა სულ ერთი გამოდიოდა:
პურს მისხლობით გვაძლევდენ და ღვინო ზიარებაც
არსად იყო და ხორცი ან თებზი..ვ მარა ან კი რაკა
უნდა მოგახსენოთ? უკაცრავალი პასუხია, მისთანა
მყრალი იყო ხოლმე, რომ ძალიან წუწკი კატა
არ გაუვლიდა სიახლოვეს, თვარა კბილს რავა
დააკარებდა?!. უწმინდური პურის ჭამა ჰქონდათ,
ტფუ!.. ოხრად დარჩეს კაცს იმისთანა სიმდიდრე!..

ალექ. აქ?

ალმ. ჰმ!.. აქ ბატონო? ყელში ამოგვდის... ოხრათ
გვეძლევა ყოლიფერი... ამას გარდაც, ბატონო,
ჩემ საქმეს აქ უფრო ვეწევი.

ალექ. რა საქმეს?

ალმ. განა ფულისთვინ კი არ ჩამოვსულვარ აქ, ბა-
ტონო!.. ასეთი აზნაუშვილი გახლავარ იმერეთში,
რომ თქვენი მოწონებული! წიგნის სასწავლებლად
გიახელი.

ალექ. ლაქიობაში?

ალმ. კი ბატონო. ჩვენში ვინც კი რამე იცის, სულ

ლაქიობაში არა აქს ნასწავლი?

ალექ. ბევრსაც მოასწრებდენ.

ალმ. რატომ, ბატონო? ვისაც კი გულის-ყური ემარ-

ჯვებს იმდენს კიდევ ისწავლის, რომ გაზეთებში
სწეროს და წიგნები გამოსცეს და ვინც ღდღან-
დალაა, არც ის დარჩება ხელ-ცარიელი: სულ
რო არა იყოს-რა, ადვოკატად კიდევ მაინც გა-
მოდგება.

ალექ. მართლა? (იცინის) კარგი დაგემართოს!... მაგ-
რამ თუ მაგრე სურვილი გაქვსთ სწავლის, რა-
ტომ სასწავლებელში არ შედიხართ?

ალმ. კაი შენ! მარა ვინ მიგასუნებია?!.. თუ რუსული
არ იცით, ტყვილა ნუ გაუვლით სიახლოვესო სას-
წავლებელს! და თუ კი ნასწავლი ვიქნები და ყო-
ლიფერი მეცოდინება, მაშინ, მამა უცხონდა, მე
რუსს კი მივეკარო!.. ფრანცუცთან მივალ.

ალექ. რადგანაც მაგისთანა სურვილი გქონია სწავ-
ლის, მოდი ჩემთან და მე გასწავლი.

ალმ. ვაი, ბატონო, ვინ იქნება მაგისი ღირსი!? ადრე
მენახეთ და მცოდნოდა, თქვენ თავს კაცი ვეღარ
მომაშორებდა... მარა, ახლა კი...

ალექ. ახლა რაიო?

ალმ. ქალბატონს ვეღარ ვუღალატებ, შენი ჭირიმე.

ალექ. როგორ?

ალმ. მის ხელში ვარ, ბატონო. შვილივით მზდის...
მასწავლის, რაც შეიძლება!!

ალექ. კარგი სწავლება იცის?

ალმ. ვე! მოგეცათ ღვთის წყალობა! მთლათ მოლა-
ყრუ რომ იყოს კაცი, მაინც შეაგონებს.

ალექ. მაშ, კარგი საქმე მოგსვლია?

ალმ. ღმერთმა კაი მოგცესთ! მარა, ცოტა ახლა ვერ
ბძანდება გუნებაზედ ვაჟბატონის გამოისობით.

ალექ. როგორ?! განა ვაჟ-ბატონი ცუდი კაცია?

ალმ. არა, ბატონო! ღმერთმა კაი მოგცეს, კაი კაცი
ის იყოს, მარა...

ალექ. მარა?

ალმ. მარა ნუ მათქმევინებთ, რომ არაფერი წამცდეს, შენი ჭირიმე

ალექ. არა უშავს-რა! სთქვი!

ალმ. ნუთ! შენი ჭირიმე. ნუ მათქმევინებთ, თვარა არ ივარგებს.

ალექ. რა უჭირს?

ალმ. იჰ, ჩემათ რომ გახმაურდეს შინაური საქმე, მაშინ ხომ გამიტყდება ნამუსი და გამიშრება პირის წყალი! - წყალში თუ გადავვარდები, თვარა ზეზე დასადგომი პირი აღარ მექნება.

ალექ. არა, ნუ გეშინია! არავინ გაგამხელს!..

ალმ. ვაი თუ მცდიდეთ, ბატონო!?

ალექ. არა, ჩემმა მზემ! ეგ როგორ იქნება!

ალმ. აპა, ბატონო, კაცი კარქია, მარა ცოტა პლუტობა დაჩემდა.

ალექ. პლუტობა?

ალმ. კი ბატონო! არ ვიცი ჯადოსხ-ნაქნარია, თუ შელოცვილი, მარამ პლუტობს კი... ძალუან პლუტობს!..

ალექ. როგორ?

ალმ. რავა ბატონო და შინ აღარ დგება წუწკ-კატასავით. ამ დიდებულ-ოჯახს, ამ მდიდარ სუფრას მიატოვებს ხოლმე და გარბის სადღაც საპლუტოთ.

ალექ. რა იცი, რომ საპლუტოთ? ეგებო საქმე აქვს?

ალმ. ვნახე, ბატონო, ვნახე! ჩემი თვალით ვნახე. ამას წინეთ ორთაჭალისკენ გახდით და იქ ვნახე ბაღში.

ალექ. რა ვუყოთ მერე?

ალმ. ჰმ! რავა რა ვუყოთ, შე დალოცვილო?!. ჩამჯდარიყო იქ კოტრებში და ერთი ყოფა ჰქონდა. დაფა-ზურნის ჭიჭყინით ყურთასმენა აღარ იყოს... პლუტებში ისე ირჯებოდა, რავარც კაი შინოურობაში. შორიდან მივაფურთხე და წამოვედი ჩემთვინ. – არა, რავა ეკადრება დიდი-კაცის შვილს პლუტებისა და კოტრების აყოლა?.. მე რომ ერთი უბრალო კაცის შვილი ვარ, მეც არ ვიკადრებ იმას!..

ალექ. მერე?! ქალბატონისათვის ხომ არ მოგიხსენებია?

ალმ. ჰჰ, ბატონო, რა სამახარობლო იქნებოდა... ისეც გულ-გახეთქილია.

ალექ. მაშ, კარგი. ახლა წადი და მოახსენე, რომ აქა ვარ.

ალმ. კი ბატონო. (მიდის; შერე მობრუნდება) თქვენი ჭირიმე, არ გამცეთ კი! არ გამომჭრათ ყელი, თვარა თუ ქალბატონმა გეიგო ეს ამბავი, წაგიხდეს მტერი, მე წავხდე და გავფუჭდე. ისე გამიტყდება ნამუსი, რო კორტოხს აქეთ აღარ დამედგომება!

ალექ. არა! არა! ნუ გეშინიან! ..

ალმ. ჰა! თქვენ იცით! თქვენ ხელშიდა ვარ და... (მიდის, კარებთან შეეფეთება სალომეს, უცბად გახტება განზედ, ვითომ გზას უტევს) ვიჰ! ჩემს თავს!!. (მიდის).

– 45 –

მეორე გამოსვლა

ალექსანდრე და სალომე.

სალომე (მიუახლოვდება)! უკაცრავად, ალექსანდრე, რომ ამდენხანს გაცდევინე! პატარა გამიჭირვეულდა და და ეს-ეს არის ძლივს დავაძინეთ.

ალექ. (ღიმილით) მესმოდა თქვენი „ნანინა", ძილში ჩამესმა! აგრეა, ჩემო სალომე: ქალი რომ დაქმარშვილიანდება, „ნანინაც“ უნდა ისწავლოს და „ძილის-პირებიც“. ერთი შვილებისათვის დასჭირდება და მეორე კი ქმრისათვის. მაგიერად იმასაც „მზეშინის“ ეტყვიან ხოლმე. ასეა... ადვილი არ არის ოჯახობა.

სალ. ადრე მაგრე არ მეუბნებოდი?!..შენ არ ამტკიცებდი, რომ ქალი ოჯახის გვირგვინია და ქმარშვილი კი ქალისათვის სიტკბოებაო?

ალექ. განა, მართალი არ არის?

სალ. ეჰ. ეგ მართალია, მაგრამ ვაი რომ ხან-და-ხან ბოლოში გამწარდება ხოლმე.

ალექ. როგორ? წყალი ხომ არ შემოგპარვიათ შენ და შენს ქმარს, ქალო?

სალ. არც უმისობაა. მეზარება თქმა, მაგრამ ვიღას უნდა შევსჩივლო ჩემი მწუხარება, თუ არა შენ? აგერ რამდენი თვეა, რაც გული აიცურვა ოჯახზედ. ხელი აგვაღო და დასანახავადაც ვეჯავრებით. მისთვის აღარც ცოლია და აღარც შვილი.

ალექ. ახალი რამ მეგონა!.. ეგ ხომ დიდი ხანია ვიცით, მაგრამ, ნუ თუ ამდენ ხანს კიდევ ვერ მოიკლა ჯინი?

სალ. რა ბძანებაა?! თავისას არ იშლის!

ალექ. მერე, შენ ხომ არას ესაყვედურებიó? ეგებო თავს აბეზრებ და ან...

სალ. რა პასუხია! – ჩემგან ალერსისა და მორჩილების მეტი არა უნახავს-რა, მაგრამ რა გამოვიდა?.. რაღაც უცნაური ხასიათები დაიჭირა.

ალექ. ჰმ! იცი, რას გეტყვი: ძალიან კარგადა შვრები, რომ არაფერს ეუბნები! ყოვლად შეუძლებელია, რომ ჭკვიან-ქალს ქმარი ხელიდან წაუვიდეს. სადაც უნდა იყოს, ადრე თუ გვიან, ერთხელაც არის, ოჯახს დაუბრუნდება.

სალ. გენაცვა, როდისღა? სიმრთელე და სიჭაბუკე გარედ დახარჯოს და სნეულება და სიბერე კი შინ დამიბრუნოს?!

ალექ. არა, სალომე. შენი ქმარი იმგვარებთაგანი არ არის! იცი, მაგას რა მოუვიდა? იმ ხანში შეგირთო, რომ ჯერ კიდევ არა ჰქონდა მოკლული ჭაბუკობის ჯინი, და ეგ ისეთი აუცილებელი ვალი რამ არის ადამიანის ბუნებაში, რომ, ადრე თუ გვიან, უნდა გამოსცადოს კაცმა. – ეგეც მალე მოიკლავს მაგ ჯინს, დაგიბრუნდება და უსაყვედუროსა და ალერსიანს რომ გნახავს, გაგიორკეცებს სიყვარულსა და პატივის ცემას.

სალ. სანამდე ეგ საძაგელი სამსონ გვერდში ეყოლება, მე იმედი არ მექნება.

ალექს. როგორ? განა სამსონმა ეგრე ჩაიგდო ხელში?

სალ. რა ბძანებაა. უმისოდ წყალსაც ვერ აქცევს.

ალექ. აქამდი აკი მისი მტერი იყო? – დღეს რაღა მოსჩვენებია?

სალ. დღესაც მტერია, მაგრამ ანგარიში აქვს... უფრო ჩემი მტერობით ირჯება.

ალექ. განა ადრინდელი სიყვარული, მტრობათ შესცვალა.

სალ. იჰ! იმას სიყვარულის რა გაეგება?.. ადრეც ჟინი აბრაზებდა და ახლაც ის აბოროტებს: ჩემთან რომ ვეღარა გააწყო-რა, ახლა უნდა, რომ ქმარი ჩამომაშოროს.

ალ. მართალს ამბობ?.. ეჰე!..

სალ. ქა! ილაჯს მოწყვეტს. დღე ერთია და იერიში ათასი! ვეტყოდი ქმარს, მაგრამ ჯერ ერთი ესა, რომ რა რიგია დედაკაცისაგან ამ გვარად მოქცევა და მეორეც ის, რომ განა ჩემი ქმარი დაიჯერებს იმაზედ ცუდს რამეს?

ალ. ჰმ! ვერა ჰხედავთ იმ საძაგელს?!. ახლა რას აპირობ? კიდევ არ გინდა დამიჯერო, რომ ისე მოიქცე, როგორც მე გირჩევ.

სალ. მეტი რაღა გზაა, უნდა გავბედო და ისე მოვიქცე, როგორც მირჩევ მაგრამ რომ იცოდე, თუ რად მიღირს მე მაგის გაბედვა...

ალ. გაბედე! მაგას შენი ოჯახის ერთგულება მოითხოვს! მაგაზე არავინ დაგძრახავს. და ჯერ შენც ისევ ისე ალერსიანად იყავ იმასთან, როგორც ყოფილხარ; რაც გითხრას, მოუსმინე! ნურას შეამჩნევინებ და იმასობაში ჩვენი აზრიც... (უცბად შემოაღებენ კარებს და შემოვლენ ილია და სამსონ) აი, შენი ქმარიც!..

– 48 –

მესამე გამოსვლა.

ისინივე და **ილია** და **სამსონ.**

ილია. ოჰ, ალექსანდრე! კარგი რომ აქ მაინც მოგასწარ: დღეს სულ შენს ძებნაში ვართ.

ალ. ეე? რა ანბავია?

ილ. მერე გეტყვით (შეხედავს ცოლს).

სალ. (ალერსიანად) მოხვედი?

ილ. (ცივად) ვერა მხედავთ?

სალ. ეგებო პური არ გეჭამოსთ ჯერ? ხომ არ ინე-
ბებთ?

ილ. (უკმაყოფილოდ) რაღა დროს პურის ჭამაა?!

სალ. აბა, იქნება, ჩაი მაინც მიირთვათ?

ილ. (გულ-მოსული) რას ჩაგვაცივდით?! ცოტა ხანს
თავი დაგვანებეთ, თუ შეიძლებოდეს! მოსახსენე-
ბელი რამა გვაქვს.

სალ. ბატონი ბძანდებით (მიდის).

ილია. (წამოვარდება და დადის ჩქარის ბიჯებით) უჰ! „ხომ
არაფერს ინებებთ?" „მობძანდით!" „ბატონი ბძან-
დებით!" უჰ! რა კარგი გასაგონია?..

ალ. რა ამბავია? უქეიფოდ ხომ არა ხარ?

ილ. რაღა ამბავი უნდა იყოს? ვერა ჰხედავ?.. ის, რომ
სიცოცხლე მომბეზრდა!.. უბედური ვარ!.. უბე-
დური!..

ალ. რას ამბობ? ღმერთმა დაგიფაროს!.. ხომ არ გა-
გიჟდი?

ილია. აბა სხვა რაღა დამემართებოდა ჩემი ცოლის
ხელში.

სამ. მართალია, ჭეშმარიტად!

ალ. (გაკვირვებით) ცოლის ხელში?

ილ. დიახ, ცოლის ხელში! ნეტავი გულზედ ქვა შე-
მება და ეგ კი არ შემერთო.

ალ. რას ამბობ?! ძალას ვინ გატანდა?

ილ. სიბრიყვე. მაგის ხასიათებს ეშმაკიც ვერ გაუძ-
ლებს.

სამ. ძნელია!

ალ. რაღაც საშინელება უნდა იყოს! უთანხმოება ხომ
არ შეგიმჩნევია?

ილ. ნეტავი მართლა ეგ იყოს, მეტი არაფერი. ეგ ასე
არ შემაწუხებდა, მაგრამ განა მაგისთანა ლობიო
მოახერხებს კი უთანხმოებას?!. უჰ!..

ალ. მაშ, რა უნდა იყოს? არ უყვარხარ?

ილ. ნეტავი მაგას კი მოვესწრებოდე და!.. რად მინდა
მაგისი სიყვარული?!.

ალ. კაპასია? თავხედობს? არ გემორჩილება? გაწუხებს?
თუ...

ილ. არა! არა! არა! და არა!

ალ. მაშ, რაო?

ილ. ის, რომ უხასიათოა... რად მინდა მაგისთანა ცოლი, რომ ოც-და-ოთხი საათი თვალებში შემომცქეროდეს კატასავით: რა ვუთხრა და რა ვაამოო!... მისმა ალერსმა თავი მომაბეზრა. სიცოცხლე არაფერში არ ეტყობა... რად მინდა მაგისთანა ცოცხალ-მკვდარი ცოლი?!

სამ. და ეს, ჩემის აზრით, მისი ბრალია, რომ ქმარი არ უყვარს. მუდამ ერთნაირობა გულ-გრილობის ბრალია და გულ-გრილობა კი უსიყვარულობამ იცის.

ილ. ხომ გესმისს? ე რას ამბობს სამსონი? იმას რომ

სიყვარული ჰგონია, ის განა სიყვარულია? ისე სასმელ-საჭმელი უნდა უყვარდეს კაცს, ტან-საცმელი და არა ქმარი. გუგულივით მშვიდობიანი ქალები, განა ქალებად ჩაითვლებიან?

ალ. რა ჰქნას, თუ ეგ მისი ბუნებითი ხასიათია?.. თანშობილი!

ილ. და მეც რა ვჰქნა, თუ არ მომწონს ეგ ხასიათები და ვერ შევეთვისე?

ალ. განა ადრე არ იცნობდი?

ილ. მაშინ... მაშინ სხვა იყო. მაშინ შორიდან მომწონდა და ახლა კი ახლოს აღარ მომწონს.

სამ. და ხომ შეიძლება რომ ასე იყოს? კაცი ხომ ყოველთვის ერთს ხასიათზედ არ იქნება: დღეს ერთი რამ მოსწონს და ხვალ. მეორე... მანდ დამნაშავე არავინ არის?

ილ. დიახ. არავინ არის! არც ჩემი ბრალია, რომ მე მისი ხასიათები არ მომწონს და არც მისი, რომ იმას მისთანა ხასიათები აქვს.

ალ. ეგ ადრევე უნდა გეფიქრა, ახლა გვიანღაა!..

ილ. შევცდი და რაღა გაეწყობა! ..

სამ. განა, ერთხელ რომ შესცდება კაცი, აღარ უნდა გაასწოროს ის შეცდომილება? თავისი სიცოცხლე სულ ტანჯვაში და სინანულში როგორ უნდა გაატაროს? არა სჯობიან, რომ ერთხელაც არის გაბედოს და გადარჩეს ჭირს?

ილ. დიახ. პატიოსნება მოითხოვს, რომ არ ვატყუებდე ჩემს ცოლს: მე მისი სიყვარული აღარა მაქვს

და აღარც შემიძლიან იმასთან ცხოვრება. აი, ეს სახლი, ეს კარი, ეს სიმდიდრე, სუყველა ღმერთმა მოახმაროს და ჩემგან კი აიღოს ხელი. ავადაც

დამეხსნას და კარგადაც. თუ მაინცაა და მაინც უნდა, ქვეყნის დასანახავად დავრჩეთ ცოლ-ქმრად და ისე კი ჩვენ-ჩვენთვის ვიყოთ!.. რაც უნდა ჰქნას! ვინც უნდა, ის შეიყვაროს! ნება ექნება!

სამ. აი, პატიოსანია სიტყვა! მეტი რაღა უნდა?

ალექ. მართლა ამბობთ მაგას? მაშ, გადაგიწყვეტიათ კიდეცა?

ილ. დიახ. და მიტომაც გეძებდი, რომ ესეები მეთქვა შენთვის და ეს წიგნიც გადაგეცა მისთვის.

ალექ. რა წიგნია?

ილ. აქ მოკლედ ვეუბნები ყოლიფერს და ვეთხოვები კიდეცა... შენი გაზდილია – შენ აუფრო კარგად აუხსნი და შეაგონებ... ყმაწვილია... მებრალება კიდეც. მაგრამ რა ვჰქნა, რომ მეტი ღონე აღარ არის!..

ალექ. (უკმაყოფილოდ) მე მაგგვარ მახარობლობას ვერ ვიკისრებ!

სამ. მე მიბოძეთ!.. მაგისთანა შემთხვევაში უსიამოვ-ნებას განა როგორ უნდა მოერიდოს კაცი?.. მეგობრის გულისათვის, ეგ კი არა, წყალში ვარ-დებიან.

ალექ. ისემც კარგი დაგემართოს!. . განა არ ვიცი, რომ მეგობრობა გწამს და იცი. მშვიდობით (ეპი-რება წასვლას).

ილ. მომითბინე! მეც მოვდივარ და ერთად წავიდეთ ბარემ (სამსონს) აბა, აი შენ გადაეც და პირა-დაც ყოლიფერი უთხარი. ნურას დაუფიცავ. აუხ-სენი შენებურად!

ალ. მაგაზედ რაღა თხოვნა ეჭირვება?!. თავისებურად აუხსნის!!

სამ. კეთილი! ბატონი ხართ. რაღა ბევრი თხოვნა მე-ჭირვება?!

ილ. მე იქ ბიჭს ვუბძანებ: სალომეს მოახსენოს, რომ

შენთან გამოვიდეს და მოგელაპარაკოს. საქმეს
რომ მორჩე, მოდი, შემატყობინე! ხომ იცი, სადაც
ვიქნები?

სამ. (მარტო) ჰე! თუ ახლაც ვეღარას გავხდი, მერე კი
იმედი აღარაფრის მექნება!.. ფრანცუზები ამბო-
ბენ: „ქორწინება სიყვარულის სამარეა". ეს კი
არა და ცოლის შერთვა კი ჭკუის კუბო ყოფი-
ლა: რა მაგისთანა ჭკვიანი კაცი იყოს, არ შეიძ-
ლება, რომ ცოლის შერთვის შემდეგ არ გამო-
ტვინდეს, ცოტაც არის. თვალები ეხვევათ იმ უბე-
დურებს! – მადლობა ღმერთს, რომ ასეა, თორემ...
თუ ცოლიანებს თვალები არ ჰქონდესთ ახვეული,
მაშინ უცოლოები სულ თავ-პირ ახვეულები იქ-
ნებოდენ.

მეოთხე გამოსვლა.

სამსონ და **სალომე.**

სალომე (მიუახლოვდება მშვიდობიანად) ჩემს ქმარს უნე-
ბებია, რომ მოგელაპარაკოთ და რა გაქვსთ სათ-
ქმელი? არ შეიძლება გვიბძანოთ?..

სამ. (ვითომ შეწუხებით) ჭეშმარიტად, ის უსიამო ამბა-
ვი, რომელიც ჩემგან უნდა გაიგონოთ, ისე მაწუ-
ხებს, რომ სიტყვის თქმა მეძნელება, მაგრამ რა
გაეწყობა. ეს პირველი არ არის, მარტო თქვენ-

ზედ და მასთანაც, რისიც გასწორება აღარ ჰმო-
ხერხდება, ის კაცმა მოთბინებით უნდა მიიღოს!.

სალ. (ჯდება) თუმცა მაგგვარის ბოდიშებით, როგორცა
სჩანს, სასიამოს არას მექადით, მაგრამ, რაც უნდა
იყოს, მზადა ვარ, მოვისმინო! – ბძანეთ!

სამ. აი, აქედან გაიგებთ! (აძლევს წიგნს) ჯერ წაიკით-
ხეთ!

სალ. (კითხულობს) ჰმ!..

სამ. არ გიკვირსთ?

სალ. სულაც არა! ეს ასე უნდა მომხდარიყო!.. ეს
ბოლო აუცილებელი იყო!.. ისიც დიდია ჩემის
ქმრის გულწრფელობისაგან, რომ ამდენს ხანს
დაუფარავს და არა უთქვამს რა... დიახ! მაგრამ

მე მხოლოდ ის მიკვირს, რომ სამოციქულოდ გა-
უხდია საქმე: როდესაც ჩვენ სიყვარული გამოვუც-
ხადეთ ერთმანეთს და ცოლ-ქმრობაზედა პირობა
დავსდევით, თუ კი მაშინ არ დაგვჭირვებია შუა-
კაცი, დღეს რაღა საჭირო იყო? – განა არ შეეძლო
პირად ეთქვა ის, რასაც ამ წერილით მატყობინებს
და ან თქვენის პირით რად მიცხადებს?..

სამ. კაცი საზოგადოდ თავმოყვარეა: სასიამო ტვირთს
თვითონ ეწევა და უსიამოსა-კი სხვასა ჰკიდებს.

სალ. მიკვირს, რომ თქვენ გიკისრნიათ მაგვარი
ტვირთი!..

სამ. მეგობრობას ვეღარ წაუვედი!..

სალ. თქვენ?!. საუცხოვოა! – ხა, ხა, ხა, ხა, ხა!

სამ. რას დამცინით?..

სალ. დაგცინით?! რასა ბრძანებთ? ვის შეუძლიან დას-
ცინოს იმას, ვინც არა თუ ერთი ვინმე მეგობარი,
საზოგადოთ მეგობრობაც უარ-ჰყო საქმით და

სიტყვითაც-კი დასცინის?

სამ. მე მეუბნებით მაგას? ჰმ... რა გაეწყობა... უნდა
მოვითბინო!.. მაგრამ იყო დრო-კი, რომ მაგგვარს
ვერას გამიბედავდენ!..

სალ. უთუოდ როცა არც თქვენ აძლევდით მიზეზს.

სამ. ჰმ... მართალს ბრძანებთ! – კაცი რომ ჭკუას დაჰ-
კარგავს, დაბალი ღობე გახლება; ყველა გადააბი-
ჯებს...

სალ. და სინიდისს, რომ დაჰკარგავს ამაღლდება?

სამ. გააგრძეთ!.. გააგრძეთ... მემართლებით... ყოლიფრის
ღირსი ვარ დღეს, როდესაც ჩემი ქართველური
გულ-წეფელობა ყიზილბაშობაში გავსცვალე. გავ-
ბოროტდი, გავშმაგდი, აღარა მაქვს აღარც მეგო-
ბრობისა და აღარც ამხანაგობის გატანა!.. მაგრამ
არ იცით, ვისი ბრალია?

სალ. ვისი?

სამ. თქვენი!

სალ. ჩემი?!

სამ. დიახ, თქვენი: ერთსა და იმავე დროს მეცა და
ილიაც ორნივ ერთად გიდექით გვერდში... არ-
ჩევანში იყავით შესული. – ის აირჩიეთ და მე

დამგმეთ! – მაგრამ რისთვის? რითა მჯობდა მე ის? თვალ-ტანადათ ვიყავი იმაზედ ნაკლები და ჩემი ახალ-გაზდობა საზოგადოდ სხვაში რამეში ჩამოუვარდებოდა მისას? რაში1მიეცი იმას.ჩემზე უპირატესობა?

სალ. სიყვარულში.

სამ. სიყვარულ!ში? ხა, ხა, ხა, ხა, ხა, და სად არის ის სიყვარული? რა იქნა?

სალ. იყო და აღარ არის.

სამ. მაშ, ძალიან მოკლე ზღაპარი ყოფილა!!. ახლა ხომ ხედავთ, რომ თქვენის წინდაუხედაობით მეც დამტანჯეთ და თქვენი თაკიც გააუბედურეთ; აწ თქვენს ბედსაც უნდა ემდუროდეთ!

სალ. რაღა? დიდხანს ვიყავი მე იმასთან ბედნიერი; ღმერთს ვმადლობდი და ბედს ვემადლიერებოდი! მაინც არ მმართებს უმადურობს გამოჩენა არც ერთზედ! ერთხელ ხომ ბედნიარადა ვგრძნობდი ჩემს თავს!..და საუკუნო არა არის-რაჭ! ყველაფერსა აქვს დასასრული! – მადლობა ღმერთს, რა გაეწყობა!...

სამ. ეგ არის თქვენი აზრი? – არა, არა სჩანს, რომ თქვენ ის გყვარებიათ, თორემ ახლა აგრე გულგრილად ვერ დაუხვდებოდით მაგ შემთხვევას. ახლა-კი ვხედავ, რომ არც ადრე გწამებიათ მისი სიყვარული.

სალ. სცდებით! მჯეროდა და წმინდის გულითაც ვაძლევდი პასუხს . ახლაც რომ მითხრას, დამიბრუნებია სიყვარულიო, უეჭვოდ მივიღებ! – მე კარგად ვხედავდი, რომ მისი სიყვარული ნამდვილი იყო.

სამ. რაო? იმ კაცის გრძნობა, რომლის სიყვარულსაც ასე მალეს მოეკვეცა ფრთები, ნამდვილი იყო... და მე-კი, რომელსაც ადრეც მიყვარდი, ახლაც მიყვარხარ და სამუდამოდაც მეყვარები – ვსტყუოდი?!

სალ. დიახ ი გეჩვენებოდათ!

სამ. მეჩვენებოდა?!

სალ. სწორედ. არ იცით, რომ სიყვარული ორ გვარია? ხან-და-ხან... ძალიან იშვიათად ჩვენ შევხვდებით ხოლმე ისეთ ადამიანს, რომელიც რაღაც ძალა-

უნებურად იტყუებს ჩვენს ყურადღებას, გაცნობი-
სათანავე სული იმის მეგობრობას თხოვილობს,
გული სიყვარულს და ჭკუა ორივეზედ თანხმაა...
ის სურვილი რაღაც სხვანაირია. გინდა რომ გიყ-
ვარდეს დედა-შვილურად, და-ძმურად და ამხანაგუ-
რად. იმ დროს ყოველი პირუტყვული გულის-თქმა
და ვნება მინელებულია. მართალია ამ გვარ სიყ-
ვარულსაც საბოლოოდ ალერსი და ხვევნა-კოცნა
მოსდევს, მაგრამ ის არის სიყვარულის შედეგი
და მიზეზი...

სამ. ეგ ვინ არ იცის? განა ახალი რამ გგონიათ?..

სალ. მომითბინეთ! – ახლა მეორეც ვნახოთ: ხშირად...
ძალიან ხშირად... პირუტყულ გულისთქმის დროს,
შეეყრებით ხოლმე ისეთ ქალებს, რომელთანაც
ალერსი და ხვევნა-კოცნა შეხედვისათანავე მოგინ-
დებათ ხოლმე. თუ მალე, გაუჭირვლად, დააკმა-
ყოფილეთ ის სურვილი, ხომ კარგი: ის შემთხვევა
არაფრად ჩაივლის: თუ გინდა ერთი ჯამი შარბათი
შეგესვასთ!. მაგრამ თუ საწინააღმდეგო რამე გა-
მოგიჩნდათ და მალე ვერ აუსრულეთ სურვილი,
მაშინ-კი კაცის გამხეცებულ თავ-მოყვარებას ცე-
ცხლი ეკიდება და ჟინი სიყვარულად იცვლება;
მაგრამ ის სიყვარულთ, როგორც პირუტყვულ
მოთხოვნილების შედეგი მანამდი ღვივის, სანამ
თავმოყვარეობა არ დაკმაყოფილდება... შემდეგ-კი
უეცრად... ერთ-თავად ჰქრება!...

სამ. არც ეგ გახლავსთ ჩვენთვის ახალი რამ! – დიდ
ხანია ვიცით!..

სალ. არა! ეგ რომ გცოდნოდათ, ისიც გეცოდინება
მაშინ, რომ თქვენი სიყვარული მეორე გვარი იყო
და არის.

სამ. ილიასი?

სალ. პირველი.

სამ. ხა, ხა, ხა, ხა, ხა,ხა, პირველ-გვარი სიყვარული...
გარყვნილ ბუნებაში!.. უხასიათოში... სუსტში!..

სალ. (უცბად) ვისზედ ბრძანებთ მაგაებს?

სამ. ილიაზედ.

სალ. ჰმ... განა მაგის მიზეზი მოგცათ?

სამ. მიზეზი?! განა ცოტაა? ვინ გაჰკიცხა უმიზეზოდ თქვენი სიყვარული, თუ არ იმან... ვინ გაგცვალათ უნამუსო დედაკაცებში...

სალ. (წამოდგება) გეყოფათ!.. მე ნებას ვერ მოგცემთ, რომ ჩემთან მაგრე ილაპარაკოთ ჩემს ქმარზედ.

სამ. დაგავიწყდათ, რომ თქვენი ქმარი აღარ არის?

სალ. არა. ის ჩემს ქმრობაზედ იღებს ხელს და არა ადამიანობაზე... ვინც უნდა იყოს, პატიოსანი კაცი ჩემთვის ერთია; იმაზედ ცუდის თქმას მაინც არავის შევარჩენ. – ჩემი ქმარი გულწრფელი კაცია და პიედაპირი; მისი ავიცა და კარგიც აშკარაა, მაგრამ თქვენისთანა გაიძვერა და ქვეშქვეშა კაცის საქმე-კი სულ სხვა არის. მე თქვენა გთხოვთ, რომ დღეის იქით ჩემსა აღარ გაიაროთ, მით უფრო, რომ ჩემი ქმრის მეგობარი ბრძანდებით!.. (მიდის)

სამ. (მარტო) გაგონილა!.. მე, რომელიც ისე გათამამებული ვარს ლამაზებისაგან, რომ მათი სიყვარული ჩემი ნება მგონია, უნდა ამას ვითმენდე ამ მაიმუნისაგან? მაშ კარგი, ვნახოთ, როგორც უნდა სირცხვილის ჭმევა!..

მეხუთე გამოსვლა

ისვე და **ალმასხანა** (შემოდის დხ ახველებს)

სამ. ჰმ?..

ალმ. ქალბატონმა გაახლოთ ჩემი თავი.

სამ. რაო?

ალმ. რა მოგახსენო ბატონო!

სამ. რად გამოგაგზავნა?

ალმ. ტყვილად ბატონო! ასე!...

სამ. რავა ასე? -

ალმ. ასე ბატონო! – იახელი, რომ კიბეზედ ფეხი არ ჩაუცურდესო.

სამ. რაო?

ალმ. ფეხიო ბატონო! – ფეხი არ ჩაუცურდესო და ჭიშკრამდინაც მიაცილეო, რომ ფეხში ძაღლმა არ

უკბინოსო.

სამ. გაჩუმდი! ნუ წაგიგდია ენა!..

ალმ. რა ვჰქნა ბატონო!.. რა ჩემი ბრალია?! მიბრძანეს ბატონო და...

სამ. ახლა მე გიბრძანებ, რომ ზაეთრე შენთვის.

ალმ. ჯერ სხვას ვახლავარ და როცა თქვენ გიახლებით ბატონო, მაშინ მიბრძანეთ.

სამ. პაშოლ ვონ!..

ალმ. ვერა ბატონო! ჯერ თქვენ პოშოლ და მერე მეც გიახლებით. ასეა ბრძანება.

სამ. (მივარდება) ვის უბედავ მაგას! შე წუწკო, და წუწ-კის შვილო შენა?! სულ კბილებს ჩაგამტვრევ!..

ალმ. (გულ-მოსული) რაო? ვე პლეჩ!.. ვინ გგონივარ მე შენ? ლაქია რომ ვარ თუ? შენისთანა ყაძახები მახლამს იმერეთში!.. რავა გამლახავ, რომ გამლა-ხავ?!. კბილები რავა, მამიშენისაგან მაქ ნასესხები თუ?!. ვაიმე! რა ყოფილა ეს!.. წაბრძანდი ახლავე, თვარა, ქალბატონი ნუ მომიკვდება, ასე გაგიყვან. აქედან, რომ უკანაც არ მოგახედო!.. რავა გაუ-ვიდა თავს, რომ გოვუჩუმდი?.. გაბძანდი! გა!.. (კარებს უღებს და ხედით უჩვენებს)

სამ. (გარბის გულ-მოსულ) კარგი, კარგი და შენს სეირს გაყურებიებ, შე იმერელო, შენ!.. (მიდის)

ალ. (უკან მისძახის) იმერელო?!. შენი დასაწუნარი ვარ შენმა სიცოცხლემ ხწორეფ!.. ქვე არ წოუხდა!.. ბრაწი შენს საქმეს და ბრაწი! (ბრაწს უგზავნის. ფარდა ეშვება)

მ ე ო რ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

პირველი სანახავი:

ლ ხ ი ნ ი ბ ა ღ შ ი

I-ილი გამოსვლა.

ილია, სამსონ, გეო, მანუა, თათუზა

და სხვანი სხედან სუფრაზედ და იმღერიან:

ლოთებო, ნეტავი ჩვენა, ჰარი არალი,
დღეს მოგვეცა შვება-ლხენა თარი არალი,
შემოდგომამან ბახუზი, ჰარ...
საწნახელში ჩააყენა! თარ...

ზოგიერთები. ჰაზარუუუ! . .
სხვები. ჰაზბანდარრრუუუუ!..

გეო. ყმაწვილებო, აბა, აივსეთ! – ეს იმის გულისა... ვისიც გულიდან ეს ლოთიანი სიტყვები ამოღებულა! ალლავერდი.

ყველა. იახშიოლ?

მანუა. იახშიოოოლ! აი, იმის გულის კუნჭულოს სულის ჭირიმე! უთქომს რაღა!

თათუზა. მერე?!. უთქომს და ანგრე რიგად!..

ილია. იცით, ეგ ლექსი. ვისი ნათქვამია?

თათ. კარგად კი უთქომს იმ მამა-ცხონებულის შვილსა და... ლოთიანად!..

ილ. ღენარლის ნათქვამია.

მან. რაო?! ეჰ! ღენარალი კი არა, პოლკოვნიკი არ გინდა!..

ილ. არა გჯერა?

თათ. ეჰ! ხუმრობ კნიაზჯან! ღენარალი ამას რად იტყოდა?!. განა იკადრებდა?!

ილ. როგორ, განა არ ვარგია?

თათ. ვინ. ამბობს?!. ძალიან კარგია, მაგრამ ღენარლის ხელობა არ არის და...

ილ. მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ჰო!

თათ. დალოცვილო, ღენარალი, გინდა პოლკონიკი, ამას იტყვის?.. იმის ხელობა „ნაპლეჩუაა“! ეს იმისთანა კაცის ნათქომი იქნება, ღმერთს რომ უყვარს.

გეო. ეეჰჰ! არ გაათავებ!.. დალოცვილებო, რად აწუხებთ, ვინც უნდა იყოს! უთქომს და მორჩომილა კიდეცა! უცხონდეს მამის სული!.. ტყვილად ჩვენ ჩვენს საქმეს რადა ვსცდებით? (იმღერიან)

„ნოემ რა ერთხელ ინება, ჰარ...

ყურძნის წვენის გემოვნება, თარ...
თვითონ ნუნუას მიუჯდა, ჰარ...
წყალი პირუტყვს დაანება", თარ...

ზოგიერთები. ჰაზარუუ!

სხვები. ჰაზზბანდარრრუუუ!

გეო. აბა, ერთიც კიდევ აივსეთ! ჰო, ეგრე თქვენი კი ჭირიმე!.. როგორც კაცი არ ვარგა, უძმაბიჭოდ, უამხანაგოდ, ისე არც სიმღერა ვარგა უსაზანდროდ!.. ქეიფი არ ექნება!.. ეს მისი სულის იყოს, ვინც საზანდარი მოიგონა და ვინც პირველი ზურნა დაუკრა! ალლავერდი თქვენთან; მეზურნეებო!

ყველა. იახშიოლ! იახშიოლ! იახშიოლ!.

მანუა. (მეზურნეებს) ვა! დაუკარით რაღა! (იმღერიან):

„მაშ მოდით ისევ ღვინითა, ჰარ...
დრო გავატაროთ ლხინითა. თარ...
ქეიფი მაინც მოგვივა, ჰარ...
გოგრითა ვსოთ, თუ ჩინითა! თარ...

–

როს დავესწრათ გაზაფხულსა ჰარ...
ველს დავსხდეთ მწვანით მოსილსა, თარ...
ჩვენ წითელს ღვინოს ვეწაფნეთ, ჰარ...
ვარდი ვანებოთ ბულბულსა, თარი...

(ამ დროს შორე-ახლოდან მოისმის შარმანკის ხმა).

ზოგიერთები. ვა! ეს ვინ ოხრები მოთრეულან აქა, რომ ქეიფს გვიფუჭებენ?! სხვა ადგილი ვეღარ მოუნახავთ?!..

გეო. (მეზურნეებს) აბა, ასწიეთ ერთი, რომ იმათმა ეშმაკის საჭიჭყინომ ხმა ჩაიწყვიტოს! ჰო! თქვენი ჭირიმე! ეგრე! ეგრე!

მანუა. ვა! ვერა ხედავთ, რომ არ ჩუმდებიან?!. მაინც თავისას არ იშლიან!

გეო. არ იშლიან რომელია? აბა, ერთი წავიდეთ იმათ ცხრა-ცხრა ლიტრიანები ვუჩვენოთ და თუ არ წავლენ, ვნახოთ!

ზოგიერთები. აბა, ჰე! ერთი მაგათი (მიაშურებენ.აქ დუდუკა უკრავს. იქ ცოტა ხნის შემდეგ შარმანკის ხმა შესწყდება და კიჟინა მოისმის) ლაზარე! ლაზარე! ეი! ეი! ლაზზარრრეეე! (მობრუნდებიან).

გეო. ძლივს არ გავლალეთ, იმ მამა-ოხრის შვილები!..

ილ. რას ერჩოდით?

გეო. ჩვენ რას ვერჩოდით?.. ჩვენ კი არა ისინი გვიშ-
ლიდენ ქეიფს.

სამ. იმათაც ქეიფი უნდათ.

მან. უნდოდათ რომელია? სხვა ადგილი ვერსად მო-
ნახეს, აქ რომ მოდიან?!

გეო. იმათი საქმე ოტკა და დუქანია... ჩვენ ბაღებში
რა უნდათ... ვირმა რა იცის ხურმა რა ხილიაო!

თათ. მამა უცხონდათ!.. იმ ტუტუცს, იმ ვირსა მოუ-
დევს ზურგზედ ათ-ფუთიანი ზანდუკი, ისიც
უკურტნოთ და აჭიჭყინებს... თავი მოსწონს რაღა!

სამ. მისი ხელობა ის არის.

მან. ხელობა? ვა! ხელით ასე ტრიალი ხელობაა?..
დათვი-კი ვერ იზამს მაგისთანა ხელობას?

თათ. ხელობა?!.. განა ჩვენი დაფა-ზურნაა, რომ ბევ-
რი რამ უნდოდეს? ბრიყვის ხელობაა!.. განა იმას
კარგი რამ ოსტატობა უნდა?!

სამ. განა ჩვენი ზურნა-კი რაღა არის?

გეო. ეჰ! რა ბძანეთ ეგა?! ზურნა და შარმანკა განა
ერთია?

სამ. რატომ არა?

გეო. ერთი ეშმაკისაა და მეორე-კი ღვთის. ჩვენი
დუდუკი ნაკურთხია.

ბლ. ნაკურთხი?

გეო. ვა! მაშ?!

ილ. ვის უკურთხებია? !

გეო. ვა! ქრისტე ღმერთს, გალილიაში.

ილ. (სიცილით) გალილიაში?

გეო. ვა! დალოცვილო! მაგდენ წიგნებს რომ კითხუ-
ლობთ, ეგეც არ იცით? ჩვენი წმინდა სახარება
მაინც აღარ გაგიგონიათ?..

სამ. რაო?

გეო. ეგ ამბავი სულ იქ არის ჩაწერილი.

ილ. რასა ჰბოდავ?

გეო. ვა! ბოდვა რომელია? მაშ ქრისტე ღმერთი
რომ ქორწილში დაესწრო, არ გაგიგონია?

ილ. ეგ კი ვიცი! გალილიაში.

გეო. გალიაში რომელია? რას ამბობ, კნიაზ-ჯან? გალიაში კი არა ოჯახში!.. ღვინოც რომ შემოაკლდა მასპინძელს და მაშინ ქრისტე ღმერთმა უბრძანა, ვენაცვალე მის ძლიერებას, ნუ შესწუხდები, შენ ხათრი ნუ გაქვსო! და წყალი გადაუქცია კახურ ღვინოდ... აბა, მაშინ გაიმართა ლხინი და გამხიარულდენ სტუმრები.

ილ. (იცინის) ჰო, ეგ ვიცი! ვიცი!

გეო. მაშ თუ იცი, აბა, ვინ იყვენ მაშინ იქ დამკვრელები საზანდრები?

ილ. ვინ?

გეო. ვინა და მეზურნეები!...მაშინ ღმერთმა აკურთხა საზანდრების მარჯვენა, დაულოცა თავი და უთხრა: ჯერ სანამ მე აქა ვარ, თქვენც ამ ქვეყანაში იყავით და მერე-კი, სადაც უკეთესი ქყეყანა ნახოთ, იქ წადითო!.. ისინიც ადგენ და ჩამოვიდენ ჩვენ ქალაქში. მასუკან სულ აქ არიან!..

ილ. (იცინის) მართლა? .

გეო. ვა! რას იცინი კნიაზ-ჯან? ჩემი თავის მზემ! სანამდი ქრისტიანობა ქვეყანაზედ არ მოისპობა, არც ზურნის ხმა უნდა გასწყდეს ჩვენს ქალაქში, ამიტომ რომ ნაკურთხია! – შენ-კი, დალოცვილო, შარმანკას ადარებ!.. შარმანკა რომელია?! აი გასწყდეს მისი...

(ხმა მოისმის) ახალი თევზი! ახალი! პა, პა პა, პა! რა თევზია! რა თევზი! (კინტო შემოდია).

ისინივე და კინტო.

კინ. ახალი თევზი! ცოცხალი თევზი! ოჰ!.. კამპანიას გაუმარჯოს (ამოიღებს ფეშტოლიდამ თევზს და უნძრევს ბოლოს. გადაუგდებს კამპანიას) ვიფ! ლხინი გაამოსთ!..

ყველა. გაგიმარჯოს!...მოდი! დაგვეწვიე!..

კინ. კეთილი! (ჯდება).

სამ. ვინა ხარ ძმაო?

კინ. ვა! ვერა მხედავ?!

სამ. გხედავ) მაგრამ შუბლზედ ხომ არ გაწერია ვინც ხარ?!

კინ. ჩემი შუბლი განა ქაღალდი გგონია კნიაზ-ჯან?

სამ. მეც მაგას გეუბნები, რომ არა! გიყურებ, მაგრამ რომ არ მაგონდები.

კინ. არც მე მაგონდებით კნიაზ-ჯან.

ზოგიერთები. მართლია, რომ არსად გვინახივხარ...

კინ. არც მე, ჩემი თავის მზემ.

ილ. მაშ სადაური ხარ?

კინ. საიდამაც უნდა ვიყო, ვარ რაღა?

სამ. კიდეც ეგ არის, გვინდა შევიტყოთ, ვინა ხარ?

კინ. მე ვინა ვარ?.. მე ვარ!..

სამ. ჰმ! ვინ შენ? რა მოხელე ხარ?

კინ. ხელობა? ყოლიფერი ხელობა ვიცი! რაც გინდა, ისა ვარ! გინდ ტერტერაცა ვარ.

ილ. რას ამბობ?

კინ. მაშ გეუბნებით, ყველაფერი ვართქო!.. კინტო ვარ რაღა!..

ლ. (იცინის) დღეს რაღა ხელობას ადგიხარ?

ინ. ახლა?" პეტრეს შეგირდი ვარ.

სამ. როგორ თუ პეტრეს შეგირდი?

კინ. ვა! ის, რომ პეტრე ჩემი ოსტატია!... მიხვდი?

სამ. ვინ პეტრეა?

კინ. პეტრე მოციქული.

ილ. ჯერ პატარა ხარ, მაგრამ დიდათ კი ხუმრობ.

კინ. ხუმრობა რომელია?.. ჩემი სიყრმის მზემ, მართალს ვამბობ! პირველი მეთევზე განა პტრე მოციქული არ იყო? ბადე მისი მოგონილია!.. მაშ მეთევზე-ები ყველა მისი შეგირდები არიან... ეს ერთი ხანია თევზებს ვიჭერ.

სამ. სახელი რა გქვიან მაინც?

კინ. აღარა მაქვს კნიაზ-ჯან!.. მორევში ჩამივარდა და იქ დარჩა! ეჰ კნიაზ-ჯან! ვიყო, ვინც ვიყო!.. მოგიწვევივართ – მეც გწვევივართ; თქვენ მასპინძლე-ბი მე სტუმარი!.. კმარა!.. მე არ გეკითხებით თუ ვინა ხართ...

გეო. კარგია, დაანებეთ თავი, ვინც უნდა იყოს...ჯერ ერთი კარგად სადღეგრძელოები გადავაკვრევიოთ და მერე ამოიდგამს ენათს!.. ალლავერდი შენთან!.. აბა!.. (მიაწოდებს ოთხს ჭიქას ერთად) ჯერ ერთი აზარბარი დალიე, ჩვენთან, გაგვისწორდი!

კინტო. (ჩამოართმევს) იახშიოლ! მაგრამ ჯერ მე არც ტოლიბაში ვიცი და არც თქვენი სადღეგრძელო! მე მოვსულვარ – ჩემი სალოცავებიც თან მომიტანია! ჯერ იმათ მოვრჩები და მერე მეც თქვენთან ვარ.

მაშინ რაც გინდათ ის მიბძანეთ! ხომ გაგიგონიათ სტუმარი მასპინძლის ვირიაო?..

ყველა. კეთილი! მაგრე იყოს.

კინ. ეს ღმერთმა გაუმარჯოს თქვენ კამპანიას ერთობით!.. ალლავერდი ტოლიბაშო.

გეო. იახშიოლ.

კინ. ვა! .მეზურნეები დაყრუებულან?.. ზურნას ენა რად ჩავარდნია?.. ტოლიბაშო ალლავერდი! არ გესმის? აბა მოულხინე ამ სადღეგრძელოს, რაღა?!

გეო. არ კი გითხარ იახშიოლმეთქი?!.

კინ. ვა! მაგის მეტი აღარა ეჭირვება-რა? ეგ არის? მაგას ეძახით თქვენში მოლხენას? ერთი დაუარე! აბა დაუკარით რაღა!.. (გეო გადადის და თამაშობს კინტოურს) ჰოო!... გიცხონდა მამის სული; გცოდნია მოლხენა!.. ეგ მიყვარს აი! ეგრე უნდა ლოთიანად! (გეო ათავებს ლეკურს, თავს უკრავს და ჯდება) ეს ღმერთმა გაუმარჯოს თქვენ საყვარლებს! (ილიას) ალლავერდი თქვენთან კნიაზ-ჯან! აბა ინებეთ, ერთი თქვენც მოულხინეთ ამ სადღეგრძელოს!

ილ. იახშიოლ! მაგრამ რომ არ შემიძლიან?!

კინ. ფეხები გტკივა?

ილ. არა, მაგრამ არ ვიცი?

კინ. ეჰ, არ ვიცი რომელია?.. თქვენი საყვარელი განა ცოცხალია კნიაზ-ჯან! მკვდარი ხომ არ არის?

ილ. როგორ თუ მკვდარი?

კინ. მაშ თუ ცოცხალია, განა შენისთანა კაცი შეუყვარდება?.. (მანუას) მაშ შენთან ალლავერდი! ადე ერთი მოულხინე კნიაზის საყვარელს! – უკაცრავად კნიაზ-ჯან, არ გეწყინოს კი! ლხინია!.. (მანუ

თამაშობს).

– 68 –

მან. კამპანიას გაუმარჯოს! (ჯდება)

კინ. ცხონებული კაკაბუა იტყოდა ხოლმე: „კარგი კაცის დალოცვა მადლია, მაგრამ ცუდი კაცის დაწყევლაც არ არის ცოდვაო.“ ეს ღმერთმა დას წყევლოს, შეაჩვენოს ის კაცი, ვინც მეგობრის გატანა არ იცოდეს!.. ვინც ძმა ბიჭის გულისათვის ან ცეცხლს დაერიდოს ან წყალს და ან პოლიციას შეუშინდეთ (სამსონს) ალლავერდი შენთან კნიაზ-ჯან.

სამ. იაშხიოლ! (თათუზას) აბა, ერთი შენ დაუარე ჩემ მაგიერ!..

კინ. არა, კნიაზ,ამისთანა სადღეგრძელოს მოლხენა კი არა, თვალში ნაცარი უნდა! ნუ ირჯებით!.. ეს ღმერთმა დასაჯოს, შეურცხვინოს ნამუსი და პირი იმას, ვინც მეგობრის ცოლს არშიყობა დაუწყოს. (სამსონს) კიდევ თქვენთან, კნიაზ-ჯან, ალლავერდი!..

სამ. ეჰ! რას ამიტყდი!.. ჩემს მეტი ვეღარავინ დაინახე?!

კინ. ნუ გეწყინება, კნიაზ-ჯან! შენ მომიხვედი ისე ნიშანში! ჰე... მე მოვრჩი! ეხლა თქვენ იცით!.. მეც თქვენს ნებას ვეღარ წაუვალ!..

გეო. მაშ, ეს ღმერთმა გაუმარჯოს შენ საყვარელს! ალლავერდი!..

კინ. იახშიოლ!

მანუა. გყავს კი საყვარელი?

კინ. მაშ?!

თათ. ეგრე პატარას?

კინ. დიდი და ახმახიო, პატარა და ჩახმახიო, არ გაგიგონია?

– 69 –

გეო. აბა, ერთი შენიც ვნახოთ, როგორ იცი საყვარლის მოლხენა.

კინ. სულ ანჩისხატურად რაღა!..(იმღერის)

საყვარლისა ეშხზედა
ღვინო დამილევია!
მის ხსოვნა-სიყვარულში

სულიც დამილევია!

ყველა. ჰადანდანი დანდანი
დარინანა ნი-ნანი!

კინ. მისმა შუქმა დამადნო,
სიცოცხლეც დამწვარია;
დღეს-დღეობით, მზე არის,
ღამ-ღამობით მთვარია!
ადანდანი და სხ.
–
მისი ცეცხლი ამ გულსა
არ ოდეს არ ნელდება;
თუ იმას არ ვუყურებ,
დღე ნათელი ბნელდება.
ადან-დანი და სხ.
–

კინ. „მაშინ ვჰკვდები სევდითა,
სისხლის ცრემლით ვსტირი მე!
სანამ არ მანუგეშებს
იმისი კი ჭირიმე!!.
ჰადანდანი და სხ.
–
საყვარლისა ეშხზედა
ღვინო დამილევია,

მის ხსოვნა-სიყვარულში
სულიც დამილევია...
–

ზოგიერთები. (შეუქაქანებენ) ჰა-ჯან! ჰა-ჯან! ჰა-ჯან!..

გეო. გცოდნია საყვარლის მოლხენა!.. ბარაქალა!..
ეს შენი სადღეგრძელო იყოს, პეტრეს შეგირდო!
ერთი გვითხარ, სადაური ლოთი ხარ და?!

კინ. (იშღერის) „ერთი ვინმე კინტო ვარ,
საყვარელი მეცა მყავს!
ის სულ სხვა ვარდი არი;
სხვის საყვარელს არა ჰგავს!..

ყველა. ჰა-ჯან, ჰა-ჯან, შენი სულისას!..

კინ. შვგვრემანი შავ-თვალა
ეშხის ცეცხლით მწველია!
ბაიყუში ქმარი სძულს,
ჩემი საყვარელია!..

სხვები. აი შენი კი ჭირიმე! ჰა-ჯან, ჰა-ჯან!..

კინ. საცა წავალ-წამოვალ
მაგონდება სულ ისა!
იმას კი ვენაცვალე,
ჰოი მისი სულისა!!

ყველა. ჰაი, შენი სულისა, ჰა-ჯან!..

კინ. დაღამდება თუ არა,
მელის გულის ძფერითა,
მე ჩაუვლი კარ-და-კარ
თარითა და მღერითა.

ყველა. ჰაიჰა! ჰაიჰა!.. შენი გულისა!!

კინ. თუ რომ დრო აქვს შემიხმობს,
აღარ უნდა ვედრება,

ვფიცავ ჩემს საყვარელსა
სხვისი ვერ შეედრება!!
–
ჭირიმე, ჭირიმე, ჭირიმე!
შავ-გვრემანის ჭირიმე!!.
ჭირიმე, ჭირიმე, ჭირიმე!
შავ-თვალ-წარბას ჭირიმე!!.

ყველა. ჰაი, ჰაი, ჰაი, ჰაჯან, ჰაჯან! შენი კი ჭირი-
მე!.. შენი სულისა!..

ზოგიერთ. პროშტი, პროშტი, პროშტი გაამოს!..
პროშტი, მოდი და!..

კინ. პროშტი?! ძალიან კარგი! (ილიას) ალლავერდი
შენთან! პროშტი გაამოს! (ჰკოცნის) რას მოგიწყე-
ნია ვა! თითქოს ცოლ-შვილი დაგკარგოდეს. გამ-
ხიარულდი და!.. (ბეჭებში ხელს ჩაჰკრავს)

ზოგიერთ. პროშტი, პროშტი რიგით! დაუყევი და!..

კინ. მოვდივარ. მოდი აბა, (სამსონს) (მიჩერებია ჯერ
თომ კოცნას უპირებს და მერე კი ხელსა ჰკრავს) გაზი
იქით! ვა!.. რა მუნიანი ყოფილა?.. ამასთან
პროშტს, ძაღლის პროშტი სჯობია!..

სხვები. აჰ, აჰ, ეგ არ იქნება! ეგ არ შეიძლება!.. სა-
ერთო პროშტი!!

კინ. არ იქნება? – ვა! პროშტიც ჩემია და ქეიფიც ჩე-
მი! არ მინდა! ვის რას შევეპუები?..

მან. რას იმადლები ეეე?! – შეინახე, თორემ, შენმა მზემ
დედოფალს მიუტან!..

კინ. ვა! ჩემი საყვარელი დედოფალიც არის და დე-
დოფლების ბატონიც! იმისი კი ჭირიმე!

თათ. კარგი ვინმეც იქნება!..

– 72 –

კინ. ეი! რაში მოგეწონება? ჩუღურეთელი კატუა ხომ
არა გგონია? ან და ავლაბრელი კეკელა?..

გეო. მაშ,შენმა თავის მზემ, დიდი ვინმე კნეინა იქნება!
ყოშებიანი!..

კინ. მაშ! არ იცი, რომ კნეინაა?!

მან. ეეე?! რას ამბობ? მართლა?! მამა გიცხონდა, აბა
სადა დგას! კნეინების უბანში?

კინ. ვა! გეუბნებით და ჩემი სიყრმის მზემ, რომ კნე-
ინაა! იცით სოლოლაკში რომ ერთ სართულიანი
სახლია, წინ პატარა აივანიცა აქვს...

გეო. ეი, ეი! გაჩუმდი და... შენთვის შაინახე... რად
ამჟღავნებ!..

კინ. ვა! განა მომიპარავს თუ?..

სამ. არა უშავს რა! სთქვი, სთქვი!

კინ. იქ ერთი შავგვრემანი კნეინაა...

ილ. შავ-გვრემანი?

კინ. დია, შავგვრემანი ხოლმე! იმას კი ვენაცვალე!
ის არის ჩემი საყვარელი!

გეო. ცხადად თუ ძილში?..

კინ. ძილში რომელია? ჩემია! – გათავებულია და მორ-
ჩომილი.

სამ. (გაიხმობს ალიას განზედ და ეჩურჩულება) არ გესმის?

ილია. ეს რა ამბავია! რას ამბობს?..

სამ. ყური უგდე! (კინტოს) დიდი ხანია, იცნობ?

კინ. შენზედ ადრე! რაში გეკითხება?..

სამ. (ილიას) შენ ცოლზედ ამბობს.

ილ. რა ხუმრობაა!.. როგორ დავიჯერო!..

სამ. ნუ დაიჯერებ, თუ გიყვარდე!.. არ გეუბნებოდი?
გამოვჰკითხოთ ნაღვინევია ყოლიფერს გვეტყვის
(კინტოს) ქმრიანია?

– 73 –

კინ.ერთი პატარა შვილიცა ჰყავს და...

ილ. ცხადია, იმაზედ ამბობს...

სამ. რა ეჭვია?!

მან. ხშირად დადიხარ იმასთან?

კინ. როცა კი დრო მაქვს.

მან. როგორ ტყობილოგ ხოლმე? .

კინ. ერთი ტუტუცი იმერელი ბიჭი ჰყავს...

ილ. რა ჰქვიან იმ ბიჭსა?

კინ. ალმასხანა! ვა! რად გაგიკვირდა? განა სახელიც ტუტუცია? – ის კი ძალიან ტუტუცი რამ არის...

სამ. ახლა?

ილ. ვერა ჰხედავ? ეს რაები მესმის, ნუ თუ?..

გეო. მერე ქრმის არ გეშინია?

კინ. ქმარი?.. მე არც კი მინახავს. ის ერთი ვინმე ტუტუცია თურმე; სულ საქმეებზედ დაეთრევა, შინ კაცი ვერც კი ნახავს. იმან რა იცის თუ იმის თავზედ რა ამბებია?.. ისე კი სძულს ჩემ სალომეს, იმისი კი ჭირიმე, რომ ბაიყუშად მიაჩნია, მაგრამ სხვანაირად კი აჩვენებს თავს. ატყუებს... იმისთანა ოხერს ისე მოუხდება!..

ილ. ჰმ. რათა? რა დაუშავებია?

კინ. ის ოხერი, რათ ირთავდა მისთანა ქალს? იმისთანა ლობიომ რა იცის, რა გაეგება ეშხიანი სიყვარულის? ის ქალი კი ცეცხლია. ერთი გიჟი ვინმეა! ლოთიანი!!. ერთხელ მაგრად ვერ ვაკოცე და ასეთი ალიყული მითავაზა, რომ თქვენი მოწონებული; დღესაც მეწვის ყურის ძირი... ნამეტანია და..

ყველა . (იცინიან) ეჰ, მართლა?

კინ. მართლა, ჩემი თავის მზემ! ერთი სიტყვით არის რაღა!..

ილ. (სამსონს) აჰ, ეს ჩემ ცოლს არა ჰგავს! სხვა ვინმე იქნება, თუ მართალია.

სამ. შენ აგრე გეგონოს.

კინ. იმის ქმარს ერთი სამაგელი მეგობარი თურმე ჰყავს და ის ეარშიყება ჩემ სალომეს... აი ერთი შევხვდებოდე სადმე, მე ვუჩვენებდი იმას არშიყობას!..

გეო. მართლა. შენი საყვარელი-კი რაღას ეუბნება?..

კინ. გააგდო!.. ძაღალადაც არ ჩააგდო!.. ამდენი გვი-

ცინია იმ ღამეს, რომ...

სამ. ეს ვიღაც გიჟია!.. ან და დათვრა და აღარა გაე-
გება რა... ჰბოდავს. კარგი ძმაო, გეყოფა მაგდე-
ნი ტყუილი.

კინ. რაო? ტყუილი რომელია? მტყუანს რა უთხრა?..

სამ. ნუ შეგვაწუხე ტრაბახით. გეყოფა მაგდენი...

კინ. თქვენ რაო, კნიაზ-ჯან, რომ სწყრებით? – გნებავსთ
ერთი ლათაია გითხრათ:

„გულში სწყრებით!
თავში მწყრებით,
ერთს დაგაზელთ და
დასცხრებით!..

სამ. ეი, ეი! ნამეტან ნებას აძლევ შენს თავს! არ იცი
სადა ხარ? ვის უბედავ მაგას?

კინ. ვა! განა აქ ბატონია ვინმე! გაბედვა რომელია?!.

ილ. დაანებე თავი! როგორ გეკადრება მაგის აყოლა?!.

სამ. წაეთერ შენთვის, ვიღაც მოთრეულხარ.. შე
ვირო! ოხერო!..

კინ. ეჰ!.. კნიაზ-ჯან! ვირიცა ხართ და ვირების უსტა-
ბაშიც!.. მოთრეული რომელია?!.

სამ. (მიიწევს) ვის უბედავ მაგას? ვხნა გგონივარ (იჭე-
რენ სამსონს)

კინ. ეჰ! კარგია მამა გიცხონდება!.. სამ ფუთიანი არ
გამომტყუო!! ეგებ უზიარებელიცა ხარ და...

სამ. რაო? რაო? გამიშვით! ერთი გამიშვით!

კინ. (შუაზედ ჩერდება თან, სიცილს იჭერს) აბა გაუშვით,
მოვიდე; ერთი დავაკერო მაგას ჩემებურად. ჰა!..

(ფარდა ეშვება)

მ ე ს ა მ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

პირველი სანახავი:

ისევ ის ოთახი, რომელიც პირველ მოქმედებაში იყო.

I-ლი გამოსვლა.

ალექსანდრე და **ილია**, შემოდიან.

ილ. ახლა?!. რაღას იტყვი?..

ალ. იმას, რომ ეგეები ყველა დიდი სისულელეა!..

ილ. არა გჯერა?

ალ. ჩემის თვალითაც რომ ვნახო, მაშინაც არ დავიჯერებ.

ილ. მაგას ხომ კერპობა ჰქვიან?!.

ალ. მაშ როგორ გგონია შენ? მაგისთანა საქმეს დიდი დამტკიცება უნდა.

ილ. განა ეს კი არა კმარა?

ალ. რას ამბობ?! ერთი ვიღაც გინახავსთ და აჰყოლიხართ, ჯერ ისიც არ იცით ვინ იყო და საიდამ? ეგებო მტრებისაგანაც იყო შემოჩენილი.

ილ. რა ბრძანებაა!.. ვერ გვიცნობდა და ვერ ვიცნობდით!.. მხოლოდ შემთხვევა იყო.

ალ. რა ვქნა? მე მაინც არა მჯერა!.. ულაყბია რაღა!

ილ. მართლა? მაშ კარგი! (მიდის)

ალ. (მარტო იცინის) რა თავ-მოყვარე პირუტყვია კაცი?!. გუშინ არ ურჩევდა სალომეს, მომშორდი, და ვინც გინდა ის შეიყვარეო? დღეს რაღად იკლავს თავს? აკი აღარ მიყვარს ჩემი ცოლიო და თავს ანებებდა!

მეორე გამოსვლა

ისვე და **ილია**, რომელსაც შემოჰყავს **ალმასხანა.**

ილ. ვნახოთ, ახლა რაღას იტყვი?

ალ. რა ამბავია?

ილ. ამას ჰკითხე და გაიგებ!.. (ალმასხანს) აბა, სთქვი: ვინ დაიარება?

ალმ. ყველა, ბატონო, ვისაც კი ფეხი აქვს.

ილ. მაგას არა გკითხავ, აქ ვინ დადის?

ალმ. ვინც დაიარება ბატონო!

ილ. (გულ-მოსული) ოჰ! რა ტუტუცია!.. კინტო დადის აქ თუ არა?

ალმ. რა კვინტოა, ბატონო?

ილ. შეხეთ ამ იმერელს!.. რანაირად ისულელებს თავს!.. იმასა გკითხავ, რასაც დღეს დილასა გკითხავდი!.. გაიმეორე ის ახლაც, რაც მაშინ მითხარი!..

ალმ. მე არაფერი მომიხსენებია ბატონო!.. (მიჩერებია ალექსანდრეს)

ილ. როგორ თუ არაფერი?!. სთქვი, თორემ ეხლავ პოლიციაში გაგაგზავნი.

ალმ. რათა ბატონო? რა დამიშავებია, შენი ჭირიმე?.. (მიჩერებია ალექსანდრეს).

ილ. ამას რას მიჩერებიხარ?

ალმ. რაცხა შინაურობაში მოგახსენე, რა საუცხოოა, ბატონო?!.

ილ. აქ უცხო არავინ არის... თუ იტყვი, საჩუქარს მიიღებ და თუ არა, ციხეში ამოგაყოფიებ თავს.

ალმ. რა ვქნა, ბატონო!.. მეშინია!..

ილ. რისა გეშინიან?

ალმ. ვაი თუ არ ივარგოს და რამე ამიტყდეს, რომ ვსთქვა?

ალ. არა. სთქვი, ნუ გეშინია, არა აგიტყდება რა.

ალმ. სულ ერთია ბატონო, ქალბატონს რომ რამე აუტყდეს ჩემი ბარობით.

ალ. არც იმას!.. იცოდე, რომ ჩვენში დარჩება.

ალმ. აბა, ბატონო, უნდა მოგახსენოთ, რომ მართალია.

ალ. რა არის მართალი?

ალმ. რაც ამათ მოვახსენე.

ალ. რა მოახსენე?

ალმ. ის, ბატონო.

ალ. რა ის?

ალმ. მე ნუღა მათქმევინებთ, შენი ჭირიმე!.. ამათ იციან!..

ილ. არა. შენა სთქვი, თორემ არ დაიჯერებს.

ალმ. აბა, ქვე მაინც ნუ გამამხელთ! ჩემად ნურსად იტყვით! და სწორეფ დადის... ვეღარ დავფიცავ.

ალ. ვინ?

ალმ. ის, ბატონო.

ალ. ვინ ის? არ იტყვი?

ალმ. ის, ბატონო!.. კვინტუა, ბატონო!

ალ. ვინ კინტოა?

ალმ. რა მოგახსენოთ, ბატონო! ქალბატონმა იცის.

ალ. ვისთან დადის ხოლმე?

ალმ. ქალბატონის ოთახში კი შედის და მოგახ-
სენო, ეგება ძიძასთანაც დადიოდეს.

ილ. როგორ შეგყავს ხოლმე?

ალმ. რა ვქნა, ბატონო?.. რა ჩემი ბრალია!? ვერ წა-
უვალ ქალბატონის ბძანებას...

ილ. მაგას არა გკითხავ. რანაირად შემოგყავს ხოლმე.

ალმ. რავა ბატონო და ასე: საღამ-საღამობით, ის ჩვენი
სახლის წინ დადის თარით ღა ბღავილით, თუ ხმა
არ გევეცი, უნდა იცოდეს, რომ დრო არ არის
და კუდ-ამოძუებული წავა ხოლმე შინ.

ალ. და თუ დრო არის?

ალმ. მაშინ ბატონო, მეც აქედან ვუმღერებ ხოლმე და
ის, რავაც კაი ბატონი, ისე შამობძანდება ხოლ-
მე, თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემს თავს.

ალ. დიდი ხანია, რაც დაიარება?

ალმ. რა მოგახსენო, ბატონო!.. მე რომ გიახელით –
დამხვდა!.. კმარა ბატონო მეტს ნუღა მათქმევი-
ნებთ, თვარა წამცდება რამე და არ ევარგება!..

ალ. ჰმ! მაგაზედ მეტი რაღა უნდა წაგცდეს? (სიცილს
იჭერს).

ილ. ახლა მაინც რაღას იტყვი? კიდევ.არა გჯერა?

ალ. ჰმ! აქ რაღაც ეშმაკობა უნდა იყოს! უთუოდ
ეს ბიჭიც მოყიდულია.

ალმ. ეჰ, არა ბატონო! მოყიდული რავა ვარ?!

ალ. სტყუი! და არც შეგრჩება ეგ მოგონება.

ალმ. რავა ვტყუი შე დალოცვილო!.. დღეს დეიგვი-

ანა, თვარა აქამდინაც უნდა მოსულიყო... ჰე
ბატონო! ეჰ!. არ გესმისთ? მისი თარია ბეჯითად?
ა ბატონო! ახლავე ბღავილს მოჰყვება. (ისმის
სიმღერა)
„რომ იცოდე ჩემი გულის დარდები

გეფიცები, ტურფავ შეგიყვარდები და სხ.

ალექ. აჰ?! ეს მართლა რა ამბავია?

ილ. არაფერი!.. ნახავ რაც ამბავია!.. ჩვენ ა იქ შე-
ვიდეთ!.. აბა, ალმასხან! თუ შენი ბედნიერება
გინდა, შემოიყვანე ეხლავ და... არ მიგიხვდეს კი,
რომ აქა ვართ! (შედიან განის ოთახში)

ალმ. კი,ბატონო. (სიმღერა თავდება) (ალმასხან იმღერის)
„ორის ოდელია დელა,
ოდელია დელი ნანინაო და...
კატუნიაო, კატაო!
რას შემოგვჭყავი კარსაო?
გაბედე, ფეხი შამოდგი,
არავინ გეტყვის ვარსაო.
ორის ოდელია და სხ...
მარტოა შენი ციცუნა,
მოგელის მამალ-კატასო!
კრუტუნით გეტყვის მაყრულსა
და წინ დაგიდებს ქადასო!
ორის ოდელია და სხ...
ქოფაკი სხვაგან წასულა,
ის აღარ არის შინაო;
ციცუნი, ციცო, ციცუნი!
მოდი, რამ შეგაშინაო!
ორის ოდელია და სხ...

მესამე გამოსვლა.

ისინივე და **კინტო.**

კინ. გამარჯობა! შინ არის?.. (სიცილს იჭერს) .

ალე. შინ არი, მარა ფთხილად! ფთხილად! ფათარაკი
არ მოგივიდეს შედი, მარა „მალულო ფთხილად
იყავ!" მე ჭიშკართან მოგიცდი და, თუ ვინიცო-
ბაა მოვიდა ვინმე, სიმღერას დევიწყებ და მაშინ
შენ იცი!.. შენებურად შევარდი ლოგინ ქვეშ.

კინ. კეთილი! აი ესეც კიდევ შენ! (აძლევს ფულს და
შედის საწოლში)

ალმ. ჰო, ღმერთმა შენი თავი ნუ მომიშალოს! კაი
ხარ, მარა კაი ყოფაშიდაცა ხარ!

მეოთხე გამოსვლა

ისვე **ალექსანდრე** და **ილია** გამოდიან.

ილ. ახლა ხომ დაინახე!.. არც ახლა გჯერა? კიდევ მე მამტყუნებ?

ალ. გასაკვირალია!.. ახლა კი მჯერა, მაგრამ გამტყუ-ნებით მაინც შენ გამტყუნებ. სულ შენი ბრალია მისი გაფუჭება: მიანებე ყმაწვილ ქალს თავი და... მაგრამ რას ცხარობ, შენ ხომ დიდი ხანია ხელი აიღე იმ ქალზედ? ახლა რაღა გინდა?

ილ. რაღა მინდა? ჰმ! ის რომ საქმე გამოაშკარავდეს.

მე პირშავად აღარ ვჩნდე... ეგ დასაზოგავი აღარ არის!.. ვერ გაიგონე, რომ ჩემზედ უმალ თურმე ისა ჰყოლია და მე კი მატყუებდა. არა, ჩემს გულს ადრევ თურმე უგრძვნია და კი მქონია მიზეზიც იმ გვარად მოქცევის, როგორც ვიქცეოდი... ტყვილად ნუღა მამტყუნებ და მესაყვედურები!.. მინდა, რომ კანონითაც მოვიშორო ეგ მოღა-ლატე.

სალომ. ხმა. ოჰ, შენ კი გენაცვალე, ჩემო სიცოცხლევ! რად იცი ჩემი ტანჯვა? რად იგვიანებ ხოლმე? ლამის შენს ლოდინში სული ამომხდეს! (მოისმის კოცნის ხმა).

ილ. გესმის? აჰ!.. როგო.რ მოგწონს ეს ამბავი?! ხა, ხა, ხა, ხა, ხა, არა გჯერა?!.

კინ. ხმა. საქმეს შემემთხვა და იმან შემიშალა ხელი – სულო-ჯან! შენი კი ჭირიმე... შენი! – (კოცნა) როდის იქნეს, რომ სულ ერთად ვიქნეთ და გა-დავურჩეთ იმ შენ ბაიყუშ ქმარს?..

ილ. ყური დაუგდე!.. ხელ აღებული რომ არ ვიყო, უნდა ერთმანეთზედ დავაკლა ეგენი.

ალ. (სიცილს იჭერს) ოჰ, შენ მამა-პაპურ ჰაზრებზედ გადადიხარ? აკი ნება მიგიცია! რაღასა სთხოვ?

სალ. ხმა. ოჰ, ვინ მოესწრება მაგ ბედნიერ დღეს!.. შენ კი გენაცვალოს ის ოხერი და ის ბაიყუში! იმან რა იცის სიყვარულისა?!. იმას მისი ცივი, თავ-მოყვარული ალერსი სიყვარული ჰგონია... განა მე იმას დავჯერდები?.. მე მინდა მისთანა სიყ-

ვარული, რომ მის ცეცხლში ვიწოდე, ვიდაგებო-
დე, ვიხრუკოდე და ამას ვინ მომიტანს, თუ არ

შენ?! ოჰ, ჩემო მშვენიერო! ჩემო ბედნიერებავ!
(კოცნა).

ალ. ვა, ვა, ვა, ვა! რაები მესმის?!.

სალ. ხმა. როდის იქნება, მოვრჩე განსაცდელს და
გადამარჩინოს ღმერთმა იმ ბაიყუშს?

კინ. ხმა. თუ მეტყვი, შენი კი ჭირიმე, გადაგარჩენ:
სულ გორიდამ ჩამოვიყვან ძმა ბიჭებს, მერე
მისთანებს რო, რო, რო, ჩემთვინ ცეცხლში ჩა-
ვარდებიან! ერთი სადმე შევხვდებით იმ შენს
ქმარსა და გათავდება!.. ხუთი მუშტით ისე გაგი-
სივებთ, როგორც დიდ რუმბს, რომ ხუთმა ხურომ
ხუთ დღეს კუბო ვერ გაუთავოს!..

მეხუთე გამოსვლა.

ისინივე და **სამსონ**, **გეო**, **თათუზა** და მეზურნეები შე-
მოდიან

სამ. აჰ, აქა ხართ? საქეიფოდ მოვდივარ და ჩამოგი-
არეთ. არ წამოხვალ? ის კინტოც ხომ აქ არის...
მაჩხუბარი კინტო?.. თვალი მოვჰკარით რომ აქ
შემოვიდა. ისიც წავიყვანოთ!..

ილ. კარგ დროს შემოგვესწარით. დიახ, ისიც აქ არის,
მაგრამ ჩემთან კი არა! აი იქ!..

სამ. სად იქ?

ილ. სალომესთან! მართალი გამოდგა, ჩემო სამსონ!..

სამ. მე კი არ ვიცოდი! იმას ტყუილი არა უთქვამს რა!..

ალ. არც მეგობრის შესახებ?

სამ. ეგ არაფერია!.. სალომეს მოუტყუებია. ქალებმა
საზოგადოდ მაგრე იციან საყვარლის მოტყუება:
ვითომ და სხვებიც ბევრი მეარშიყებიანო, მაგრამ
შენ კი არც ერთში არ გაგცვლიო!..

ილია. მადლობა ღმერთს, რომ ამ შემთხვევამ თვალე-
ბი ამიხილა! ახლა კი უნდა გამოაშკარავდეს ვი-

სიც ბრალია!

ალ. რას აპირებ?

ილ. იმას, რომ, დეე, ქვეყანამ შეიტყოს, თუ რაც ბძანებულა ჩემი ცოლი.

ალ. ეგ ცუდ-კაცობა იქნება შენის მხრით!

სამ. მაშინ გამოჩნდება ვინც არის მტყუანი. საძაგლობა დიახაც უნდა გამოაშკარავდეს.

ალ. შენ არავინა გკითხავს! (ილიას) შენ არ დაანებე თავი თვითონ მაგ ქალს? შენ არ ურჩევდი, რომ სხვა ვინმე შეეყვარებია? შენ არ შეიძულე?.. და ახლა რაღას ამბობ?

ილ. მე ყველაფერი წინდაწინ შევატყობინე და ეგ კი თურმე მატყუებდა. ამას მე ვერ მოვითმენ!..

სამ. არც მოსათმენია! (თავისთვის) ზოგი ახლა ნახოს, !ირცხვილის ჭმევა თუ კარგია!..

ალ. თქვენი ნებაა, მაგრამ ბოლოს კი სანანებლად არ დაგირჩესთ.

გეო. (ამხანაგებს და მეზურნეებს) ჰე, წავიდეთ! აქ ჩვენი საქმე აღარ არის!!.

ილ. არა, არა! მოითმინეთ! გთხოვთ, რომ მოწმედ დაგვესწროთ...

თათ. დალოცვილო, ჩვენ რა პოლიცია ვართ?

მან. ეე! წავიდეთ ერთი და.. ხათაა!..

სამს. (კარებს ჰკეტავს) არ შეიძლება თქვენი გაშვებ.

გეო. ეჰ! არ შეიძლება რომელია?! შენ რა ჩხუბის თავი ხარ!..

მანუა. ჩემმა მზემ, აქ რომ ერთი რამ ხათა მოხდეს, მაშინ!..

ილ. არა, ჩემო ძმებო! განა არ მიცნობთ?! მაგისთანას არას მოვახდენ!

თათ. მაშ რა გინდა ჰქნა? ჩემმა მზემ, ჩვენთან რომ იმ ბიჭს ხელი ვინმემ ახოს, აქვე თავებს დავიხოცავთ! ცოცხალი აღარ გვინდა!

ილ. რას ამბობთ? განა გიჟი ვარ?!

გეო. აბა, რა გინდა ქნა?.. ცოლი გინდა შეარცხვინო? ჩვენთან რათ არცხვენ კნიაზ-ჯან? გაგვიშვით თორემ, ჩემი თავის მზემ, სულ ფანჯრებს დავამტვრევთ! ხელი აიღეთ ჩვენგან და!

მეექვსე გამოსვლა

ისინივე და **სალომე**

სალ. ქა, რა ხმაურობაა?! ოჰ, სტუმრები!..

ილ. დიახ, სტუმრები... თქვენ გეგონათ, რომ მარტო თქვენა გყავსთ სტუმრები?

სალ. რასა ბძანებეთ, ბატონო?.. რაზედ გარჯილხართ?

ილ. არაფერზედ!.. საქეიფოდ მივდიოდით და ერთი ვინმე დაგვაკლდა. თუ შეიძლებოდეს, უთხარით გამოვიდეს, იმასაც წავიყვანთ.

სალ. რას ამბობთ?

ილ. კარგია! დაფიცვის დრო აღარ არის! გვიჩვენეთ თქვენი მშვენიერი არშიყი!..

სალ. უი! ქა! ეს რა მესმის?! დამთვრალხართ? (ალექსანდრეს) მთვრალები არიან?

სამ. აქ ჯერ მთვრალი არავინ გახლავსთ!.. ეგებო ერთი კი იყოს ვინმე მთვრალი, მაგრამ ისიც მხოლოდ ეშხით და არა ღვინით!..

სალ. ქა! რა ხუმრობაა?!.

ილ. კარგია! რაც აქამდი მოგიტყუებივარ, ისიც კმარა! უთხართ, რომ ნებით გამოვიდეს, ნუღა იმალება.

სალ. ვინა, ყმაწვილო? ქა, მიშველეთ გაგიჟებულა! ექიმს დამიძახეთ თქვენი ჭირიმეთ! (ალექსანდრეს) ვაიმე ეს რა მომსვლია?! მიშველეთ!//

ილ. ვიცით! ვიცით!!. გიჟი ვართ?.. მაშ კარგი, ახლავ შეიტყობენ! (შევარდება საწოლ ოთახში და ცოტა ხნის შემდეგ შეშინებული გამოვარდება) აჰ! ეს რა ამბავია? რა იქნა? სად გაქრა? იქ აღარ არის?!. ამ კარებშივე უნდა გამოსულიყო, სხვა გვარად რომ ვერ წავიდოდა!!.

სალ. რა ვჰქნა?! ვის ეძებთ? ვინ გაქრა?..

ილ. კინტო! შენი საყვარელი!! რა იქნა?

სამ. ეჰ!.. ვერ დაგითვალიერებია! სადმე მიმალული იქნება! მე მოვნახავ! (შედის)

სალ. რა ამბავია! – ეს ხალხი რას დაუგიჟებია?!.

სამ. (გამოდის) მართლა რომ იქ არ არის!.. სჩანს, რომ იქ არ შესულა! სხვაგან სადმე იქნება!..

ილ. კაცო! გეფიცები რომ პირდაპირ იქ შევიდა და

აღარც გამოსულა. აი თუ გინდა ამათა ჰკითხე? – (ალექსანდრეს) იქ არ შევიდა?

ალ. ვინ შევიდა? რას ამბობ?

ილ. ის! კინტო!..

ალ. რას ამბობ? ვინ კინტო? გაგიჟდი?

ილ. კინტო! სალომეს რომ ელაპარაკებოდა.. ჰკოცნიდა!..

სალ. უი, დამიდგა თვალები! რაებს ამბობს?!.

ალ. ხა, ხა, ხა, ხა, ხა! საუცხოვოა! გაგიჟებულა, თქვენმა მზემ.

ილ. კაცო! როგორ თუ გავგიჟებულვარ? შენ მაინც რაღას იტყვი ალმასხანა?

ალმ. რა უნდა მოგახსენოთ, ბატონო?

ილ. შენ ხომ მაინც ნახე?

ალმ. კი, ბატონო, ვნახე!.. სწორეთ ჩემის თვალით ვნახე!..

ილ. უჰ! მადლობა ღმერთს! აი,ბატონო, თუ არა! – სად ნახე? და როდის?

ალმ. კიბის ქვეშ, ბატონო! – დილას...

ალ. კიბის ქვეშ? მარტო?

ალმ. არა, ბატონო, ცხრა ერთად!..

ალ. რას ამბობ,ბიჭო? რა ნახე კიბის ქვეშ?

ალმ. ლეკვები ბატონო!.. იქ მოუგია ჩვენ დიდ მურას! დილას ქალბატონმა მიბძანა ნახეო და ვნახე... ცხრა, ბატონო! ცხრა!... ჯერ თვალი არ ახელიათ!..

ილ. მაგას ვინა გკითხავს! კინტოზედ გელაპარაკებით!..

ალმ. ვინ კვინტოა, ბატონო!

ილ. შენ რომ შეუძეხ და შეიყვანე საწოლ ოთახში,

ალ. ჰმ!.. ხუმრობით, ბატონო, თუ?!

ილ. როგორ თუ ვხუმრობ? განა არ იცი?..

ალმ. იმე! ჯვარი აქაურობას! წმინდა არს! წმინდა არს! გაგიჟებულა!..

ილ. შენც გაგიჟდი?!

ალმ. იმე! მე კი არა, თქვენ ვეღარა ხართ ფარცაგათ, თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემს თავს! სიცხე თუ გაბოდებსთ, თვარა, აპა, რას ბძანებთ უცნაურს?!

ილ. ვა! გაგონილა ამისთანა ამბავი? მეჩვენება?! როგორ თუ მეჩვენება?! განა გავგიჟდი? რამ გამაგიჟა!.. სალომე, შენ მაინც მითხარი, თუ ნამუსი გაქვს: რა იქნა ის კინტო?

სალ. (სიცილით) კინტო?

ილ. ხომ ნახე?

სალ. დიახ! როგორ არ ვნახე?!

ილ. სად არის?

სალ. (გულზედ იდებს ხელს) აი აქ.

ილ. რაო?!.

სალ. მე ვარ ის კინტო!

ილ. შენ?!

სალ. (კინტოურად) მოდი! მოდი! შე პლუტო, შენ! დიდი ხანია აღარ მიკოცნია... ერთი ლოთიანად ჩაგპროშტო!.. მოდი რაღა!..

ილ. სალომე! ჩემო!.. ჩემო... ღირსი არა ვარ შენი სიყვარულის!.. მრცხვენიან.

სალ. არა უშავს რა, მოდი და ის კინტო ნუ მოგიკვდება.

ილ. (მიდის და ეხვევა) ჩემო სიცოცხლევ!. ჩემო სალომე!..

ალ. მიაგენი კინტოს? ხა, ხა, ხა, ხა, ხა!..

გეო. (ამხანაგებს) ვა! ე რა შტუკაა?!

მან. ხედავთ! ვინ ყოფილა კინტო?!

თათ. ჩემმა მზემ, გული მეუბნებოდა რაღაცას, მაგრამ როგორ ვიფიქრებდი და!.. ნამდვილი იყო და!.. ვა, გაგონილა ამისთანა?

ილ. ჩემო სიცოცხლევ! ჩემო სალომე!.. დღეს ვიბადები! დღეს ამეხილა თვალები!

სალ. მაშ ნებას აღარ მაძლევ, რომ ვინც მინდა შევიყვარო? არც ის კინტო. რად გინდებვარ ესეთი ცივ-გული და, უსიყვარულო და ცოცხალ-მკუდა-

რი? აკი არაფერი გრწამდა გუგულივით მშვიდო-
ბიან ქალებისა?!. სხვაში გამცვალე!

ილ. შენ?!. შენ გაგცვალო?! არა, ქვეყანა შენ გენაც-
ვალოს! მე აღარავის დავეძებ: დღეის იქით ჩემი
ლხინი ჩემს გულში იქნება!.. წადით!.. მომშორ-
დით ყმაწვილებო! – მე თქვენი აღარა ვარ! – ხომ
ხედავთ?! .

სალ. არა! მოითმინეთ. მეცა მაქვს სათქმელი: ჩვენს
ქვეყანას ბევრი ჭირი მოდგომია კარზედ, ბევრჯელ
ყოფილა განსაცდელში, მაგრამ ქართველს გული
მაინც არ მოკვდომია!.. მისი გული ხშირად

ლხინს ნდომილობს და უპასუხოდ დაგდება არ
ივარგებს... ჩემი ქმარიც ქართველია, სულითა და
გულით ქართველოს, იმას არ შეუძლიან, რომ
ქეიფი უდროოდ მოიკლას. უთქვენოდ ვიცი ვერ
გასძლებს, და მე თქვენა გთხოვთ, ხანდახან არ
მოაკლოთ ხოლმე ჩემს ქმარს თქვენი სტუმრობა.
მოილხინეთ და მოალხინეთ ხოლმე. ვინც უნდა
იყოს, ჩემი ქმარის მეგობარი, რა წოდებისაც უნდა
იყოს, თუ კი სულითა და გულითაც ქართველია,
ჩემიც სასურველი სტუმარი იქნება. მაგრამ უსინი-
დისოებს კი არ ექნებათ ბინა ჩემს ოჯახში!
(მისჩერებია სამსონს).

ალმ. (სამსონს) თუ მიბრძანებთ კიბეზე ჩაგაცილებთ,
რომ ფეხი არ დაგიცურდესთ!

სამ. სახლიდან მითხოვთ?

ილ. არა, მაგრამ არც'შენთვის იქნება სასიამოვნო
დარჩენა და...

გეო. ოღონდაც ჩემმა მზემ!.. ძალიან პირშავად გა-
მოდის და...

მან. მე და ჩემმა ღმერთმა, იმასთან ჭურის ჭამა ჰარამი
ყოფილა.

თათ. ჩვენგან კი ხელი აიღოს და სადაც უნდა, იქა
სჭამოს!..

სამ. მაშ კარგი! მადლობას მოგახსენებთ. (მიდის)

ალმ. ჯოხი, ჯოხი, ჯოხი!

ყველა. რად გინდა? რად?

ალმ. არაფრად ბატონო! ძაღლის მოსაგერებლად! იმას
მივართმევ, რომ ეზოში ძაღლმა არ უკბინოს.

გეო. ჰე! მაშ ჩვენც მარშით გავაცილოთ ეს კნიაზი.
დაუ კარით რაღა! (მეზურნეები უკვრენ. მიდიან. ფარ-
და ეშვება.

საისტორიო მასალა.

ქართველთ კათოლიკეთა ეპისკოპოზის კათედრის დაწესება ტფილისში, ეპისკოპოზი და პაპის იოანე XXII-ის ბულლა.

I

ამ უკანასკნელს წლებში, ევროპის სხვა-და-სხვა არქივებში აღმოსჩნდა დიდ--ძალი მასალები საქართველოს ერისა და ისტორიის შესახებ და მეტადრე ქართველთ-კათოლიკეების შესახებ. აი ეხლა-ხანად აღმოჩნდა ვატიკანის წიგნთსაცავში მთელი რიგი წერილებისა, რომლებიც ცხადად ამტკიცებენ შემდეგს, რომ საქართველოში ქართველთ კათოლიკეთა რიცხვი ძველადვე ისე გამრავლებული ყოფილა, რომ რომის უმაღლესს სამღვდელოებას ძველადვე დაუნახავს საჭიროდ, რომ თბილისში ეპისკოპოზის კათედრა დაედგინათ და ეპისკოპოზი დაენიშნათ.

ამ საქმის შესახებ ბევრი თათბირი და სჯა ყოფილა ვატიკანსა და აღმოსავლეთის ქვეყნების კათოლი-

კეთა სასულიერო წოდებაში. თბილისში კათედრის დაარსების ცნობა ქართველთ მეფესაც მოხსენდა რომიდგან; მეფემ პატივით მიიღო მოხსენება, სრული ჭეშმარიტება აღიარა ამის განწესებისათვის, და იოანე პაპმან XXII-მ, 1329 წ. თბილისში დააარსა საეპისკოპოზო კათედრა და ეპისკოპოზად დაადგინა იოანე ეპისკოპოზი, წმიდა დომინიკანელების რიგისაგან შემდეგის ბულით:

ბულლა პაპი იოანე XXII-ისა

II

გასაწვრთნავად ქართველთ ერისა ღვთიულის სიტყვითა დამტკიცდა ქ. თბილისს საეპისკოპოზო კათედრა და დაინიშნა ეპისკოპოზად იოანე ფლორენცელი წმიდა დომინიკეს რიგისაგან, როგორც სჩანს შემდეგის წერილითა: პაპი იოანე XXII თავის საყვარელს შვილს იოანე ფლორენციელს ამორჩეულს ეპისკოპოზს თფილისისას:

როგორც გავლილად გავრცელებულა ქრისტეს სარწმუნოება, ისე ახლად ღვთიულ წმიდის სახელის პატივის ცემის მისაგებლად გამოძიებით სხვადასხვა ჯეროვანის მიზეზებისა, ჩვენის ძმებისაგან შეგულიანებულთა,ბოლოს გარდავსწყვიტეთ ჩვენის სამოციქულოს შეძლებითა, რომ განწესებულიყო ჩინებულს თბილისის ქალაქში საეპისკოპოზო კათედრის ადგილი, რომელიც მყოფება საქართველოს სამეფოში. ვინებეთ, რომ ეს თბილისი მომავლად მუდამ საეპისკოპოზო ქალაქად

დარჩეს ჩვენის სრულის შეძლებით და ჩვენის ძმების შეკითხვითა, როგორც ზემოთა ვსთქვით, დამტკიცებით განვისაზღვრეთ,რომ დაარსდეს თბილისის ქალაქს საეპისკოპოზო ეკკლესია და მიეცეს მას ღირსეული ტიტული თბილისის ეპისკოპოზისა.

კვლავ ჩვენც თვალთა თქვენკენ მოვაქცევთ, რომელიც განწესებულხართ მასწავლებლად მოქადაგე ძმად რიგისაგან, მეცნიერი მღვდელი წმინდა წერილებით, რომელიც იცნობთ თქვენ პიროვნულად მაგ ადგილეზის გარემოებათა და საჭიროებათა, რომ მრავალნი მოაქციეთ მღვთიურ სიტყვის ქადაგებით და შესძინეთ იესო ქრისტეს, გაქვსთ კეთილი შური წმიდა სარწმუნოებისა, წმინდა ცხოვრება, კეთილი ყოფა-ქცევა და სიბრძნე სავსე მრავალ ნიჭ-სათნოებითა, როგორც შეტყობილი გვაქვს სარწმუნო მოწმებისაგან, რომელიც გრაცხვენ შემძლე ღირსეულ პირად, მით სრულ სამოციქულო შეძლებითა ჩვენითა შეკითხვისამებრ ძმათა ჩვენთა გადგენთ ზემო ხსენებულის თბილისის ეკკლესიასა ზედა ეპისკოპოზად. გამოძიებისა და ყოვლის-

ფრის განხილვის შემდგომ მიეცა ავინონს XIV ნოემ-
ბერს, წელს 1329-სა.

–

იოანე. ეპისკოპოზი იყო თავის დროის კვალად
ნასწავლი, იცოდა აღმოსავლეთის ენებიც, ნამეტურ
ქართულიც, რომელ ენითაც იგი ესაუბრებოდა ქართ-
ლის მეფეს, სამღვდელოებას და მრევლს. ამ ეპისკო-
პოზმა კარგა ხანს დაჰყო საქართველოში, უკანასკნელ
მიიქცა რომს და ამის მაგიერ სხვა დაინიშნა. მას

შემდეგ საქართველოში ყოველთვის ინიშნებოდენ
რომიდგან ეპისკოპოზები, რომელთა ცნობებს ოდესმე
მკითხველს ვრცლად გავაცნობთ. ეხლა ჩვენ მარტო
სურვილი გვქონდა აღგვენიშნა მხოლოდ ის ჭეშმარი-
ტი ისტორიული მარტივი ცნობა, თუ საქართველოში
როდის განწესდა კათოლიკეთ ეპისკოპოზის კათედრა,
ვინ იყო პირველი ეპისკოპოზი და მან რა ბულლა
მიიღო პაპისაგან.

ზ. ჭ.

ევროპის მეაბრეშუმობა.

(მოკლე განხილვა).
(ვუძღვნი საქართველოს მეაბრეშუმეთა ამხანაგობათ).

გაგრძელება [1])

რაც შეეხება იმ რიცხვს, თუ რამდენი აბრეშუმი მო-
დის კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, ამის შემდეგ
სამწუხაროდ ჩვენ ხელთ არა გვაქვს აქ სტატისტიკური
ცნობანი და თუ ვერწმუნებით ბ-ნ პარიზეს ცნობებს,
გამოდის, რომ კავკასიაში, ე. ი. საქართველოში და ერთ
ნაწილ სომხეთში მოჰყავთ წელიწადში ერთი მილიონი კი-
ღოგრამი ძაფი, ანუ თითქმის 15 მილიონი კილოგრამი პარკი, [2])
(ეს რიცხვი ჩვენ მიგვაჩნია გადაჭარბებულად). ცნობილი
მეცნიერის მაიოს (Maillot)აზრით კავკასიაში მოყავთ 15
მილიონი და 750 ათასი კილოგრამი პარკი (ეს რიცხვი

ხომ კიდევ უფრო გადაჭარბებულია) [3]). ნატალი რონდოს აზრით კი კავკასიაში მოჰყავთ ყოველ'წლობით ხუთი მილიონი კილოგრამი ანუ 330000 კილოგრამი ძაფი, ე. ი. სამჯერ უფრო ნაკლები, ვინემ პარიზეს ცნობანი. უმჯობესია ამ ორ უკიდურესობიდან ავიღოთ საშუალო რიცხვი, რაიცა იზამს ათ მილიონ კილოგრამ პარკს ანუ

[1]) იხ. „კრებული“ № 6.

[2]) იხ. E. Pariset: „Les industries de la soie“ 1890 წ. გ. 200-201.

[3]) იხ. Eugène Maillot: „Lecons sur'Ies vers àsoile du murier“, p.10.

650.000 კილოგრამ ძაფს; ეს რომ ფულად ვიანგარიშოთ მსოფლიო ბაზრის ფასით გამოდის, რომ კავკასიაში მოუყვანიათ თითქმის 26 მილიონ ფრანკის ანუ 10 მილიონ მანეთის საღირალი აბრეშუმი. ეს რიცხვი რომ შუაზე გავჰყოთ მარტო საქართველოს ხვდება ხუთი მილიონის აბრეშუმი. ამ რიგად გამოდის, რომ მეაბრეშუმობა შეადგენს ჩვენში მეურნეობის ერთ უმთავრესს დარგს და აძლევს ხალხს ნივთიერ წარმატებას. მაგრამ ფრიად სამწუხაროდ, თუმც უკვე დაარსდენ ჩვენში ამხანაგობანი, რომელნიც ებრძვიან ჩარჩებს და ყოველგვარ ექსპლუატაციას, მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ვერ ვსარგებლობთ ჩვენის სიმდიდრით და ვჰკარგავთ მას ნახევარ და მესამედ ფასად. აი მაგალითად: ზევით ვსთქვით, რომ კავკასიაში მოჰყავთ 650.000 კილოგრამი აბრეშუმის ძაფი ანუ 40.625 ფუთი. ამის ნახევარი რომ საქართველოს მივსცეთ, გამოდის 20.312½ ფუთი ძაფი, ღირებული მსოფლიო ბაზარზედ 5 მილიონ მანეთად, ე. ი. გირვანქა აბრეშუმი ღირებულა საშუალო რიცხვით ექვს მანეთად, მაშინ როდესაც ჩვენში ნამდვილად კი ჰყიდიან გირვანქა შულო აბრეშუმს ექვს აბაზად, რვა აბაზად, ორ მანეთად და ძლიერ იშვიათად გაიყიდება სამ მანეთად; ამ რიგად საშუალო რიცხვით ჩვენში გაყიდულა გირვანქა აბრეშუმი ორ მანეთად, ნამდვილად კი იგი ღირს ექვს მანეთამდე; ასე რომ სწორედ მესამედ ფასად დაგვიკარგავს ჩვენი აბრეშუმი. ანუ ხუთი მილიონის საღირალი აბრეშუმი გაგვიყიდია ერთ მილიონად და 666 ათას მანეთად და ამ რიგად დაგვიკარგავს ყოველ წლობით სამი მილიონი და 334 ათასი მანეთი.

ახლა ვიანგარიშოთ პკად. საქართველოში მოსულა 10 მილიონის ნახევარი, ანუ ხუთი მილიონი კილოგრამი ე. ი. 12 მილიონი გირვანქა პარკი, ღირებული ხუთ მი-

ლიონ მანეთად. გირვანქა პარკი ღირებულა მსოფლიო ბაზარზედ ორ-აბაზად; [1]) ჩვენ კი ხშირად ვჰყიდით გირვანქა პარკს აბაზად, ხუთშაურად და იშვიათად ექვს შაურად, საშუალო რიცხვით გირვანქა პარკი გაგვიყიდია ხუთ შაურად და ამ რიგად ყოველ გირვანქაში დაგვიკარგავს სამი შაური, ანუ თორმეტ მილიონ გირვანქაზე ერთი მილიონი და რვაასი ათასი მანეთი, თითქმის ორი მილიონი.
აი რა ზიანს გვიშვრება ჩვენი უმეცრება და მსოფლიო ბაზრის ფასების და მოთხოვნილებათა არ ცოდნა! ჩვენი საბრალო მეაბრეშუმე შრომობს დღე და ღამ, ნახევარსა და ორ წილს მის სიმდიდრეს კი სწუწნიან წურბელა ჩარჩები და უცხოელი ვაჭრები. მიუხედავად ამისა ამ ზერე რიცხვებმა ნათლად დაგვიმტკიცეს, რომ პარკად გაყიდვა ბევრად უფრო სახეირო ყოფილა, ვინემ შულო ძაფად; და მართლაც ხალხი ამ ბოლო დროს ეტანება უფრო პარკად გაყიდოს თავის აბრეშუმი. ეს ფაქტიც ფრიად სამწუხაროა; იგი გვიმტკიცებს ჩვენი ტეხნიკის და აბრეშუმის სახვევ მანქანების (ფილატიურის) უვარგისობას.

IV

დავუბრუნდეთ ისევ პირველ საგანს. რომ მივიღოთ მხედველობაში თუ სად რამდენი აბრეშუმი მოსდის, ჩვენ შეგვიძლია იმ ქვეყნებს მივსცეთ ქვემორე სიაში შემდეგი ალაგი:

---

[1]) დღეს საფრანგეთში გირვანქა ხმელი პარკი იყიდება 1 მ. და 50 კ, მაშ გირვანქა ნედლი პარკი ღირებულა ა თ შ ა უ რ ა დ.

	აბრეშუმის ძაფი (კილოგრამი).
ჩინეთი	10.686.000
იტალია	3.000.000
იაპონია	2.662.000
ინდოეთი	1.300.000
ინდო-ჩინეთი	750.000
საფრანგეთი	750.000
სათათრეთ-საბერძნეთი . .	472.000

ცენტრალური აზია	.	.	.	360.000
რუსეთის აზია (კავკასია)	.	.		330.000
				სულ: 20.310.000 [2])

ნატალი რონდოს ანგარიშით 55% მთელი აზიის აბრეშუმისა შამოაქვთ ევროპაში ძაფად და ცოტა პარკადაც; აქ იქსოვება ფარჩეულებად და იგზავნება მთელ ქვეყანაზედ. მასთან საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ევროპაში აბრეშუმის მოყვანა თან და თან მატულობს, აზიაში კი კლებულობს. მაგ., საფრანგეთში ამ 30 წლის წინად მოჰყავდათ 270 ათასი კილოგრამი აბრეშუმი (ძაფი), ახლა კი მოჰყავთ 800 ათასზედ მეტი. იტალიაში მოჰყავდათ 2½ მილიონი კილოგრამი, ახლა კი მოჰყავთ 3½ მილიონზედ მეტი. აესტრო-უნგრეთში მოჰყავდათ 100 ათასი კილოგრამი, ახლა კი მოჰყავთ 300 ათასზედ მეტი და სხ. აზიაში კი იმავე დროს აბრეშუმის მოსავალს ძლიერ უკლია. მაგ., ინდოეთში მოჰყავდათ 2 მილიონი კილოგრამი აბრეშუმი, ახლა კი მხოლოდ 600 ათასი, ცენტრალურ აზიაში მოჰყავდათ ნახევარი მილიონი კილოგრამი, ახლა კი მხოლოდ 300 ათასი, სპარსეთში მოჰყავდათ 2 მილიონი კილოგრამი, ახლა კი 300 ათასი, სათათრეთში

[1]) იხ. L. Vignon: „La soie au point de vue scientifique et d ustriel“, 1890 p. 341.

მოჰყავდათ 800 ათასი კილოგრამი, ახლა კი 350 ათასი. კავკასიაში სულ წინად მოჰყავდათ თურმე ერთი მილიონი კილოგრამი, შემდეგ მხოლოდ 300 ათასი, ახლა ისევ სამჩნევად მატულობს.

ეს მოვლენა აიხსნება მრავალ მიზეზებით, უმეტესად კი აბრეშუმის ჭიის სენის (პებრინის) გაჩენის გამო. ამ სენმა მთელს ევროპას მოუტანა აურცხელი ზარალი და კერძოდ საფრანგეთში დასცა აბრეშუმის მოყვანა თითქმის ხუთჯერ, მაგ., 1854 წელს მოიყვანეს 1.400.000 კილოგრამი ძაფი, 1865 წელს კი მხოლოდ 270.000 კილოგრამი. საფრანგეთის მეცნიერის დიდებულ პასტერის გამოკვლევამ და მის მეთოდით საღი თესლის გადარჩევამ ძლიერ შეამცირა ევროპაში ის საშინელი სენი და კვლავ გააცხოველა ევროპის მეაბრეშუმობა. აზიაში კი ეს ასე არ მოხდა, ხალხის უმეცრებამ და ჩარჩების ვიწრო სიხარ-

ბემ და ანგართ-მოყვარებამ გაავრცელეს აზიაში სნეული თესლი და მოდვეს ყველგან აბრეშუმის ჭირი, რითაც მოუტანეს მშრომელ ხალხს უსაზღვრო ზარალი. ჩვენი კავკასიაც და კერძოდ საქართველო შეიქნა მსხვერპლი ამ ჩარჩთა ვერაგობისა. და თუმც არსებობს ჩვენში ეგრედ წოდებული სააბრეშუმო, სადგური ბ. შავროვის მეთაურობით, მაგრამ სამწუხაროდ არამც თუ იხსნა ამ სადგურმა ხალხი ჩარჩთაგან, პირ-იქით თითონ თავის სნეული თესლის გაყიდვით და გავრცელებით შეიქნა უმთავრესი წყარო ხალხის უბედურებისა, მიუხედავად იმისა რომ აქვთ მრავალი მიკროსკოპები, ირიცხებიან მცოდნედ და მთავრობისაგან ეძლევათ ათი და ასი ათას მანეთის სუბსიდია. საბედნიეროდ ამ ბოლო დროს დაარსდენ ჩვენში მეაბრეშუმეთა ამხანაგობანი, რომელნიც ცდილობენ ებრძოლონ ჩარჩებს, მისცენ ხალხს საღი თესლი და ასწიონ პარკის და აბრე-

შუმის ფასი. ამ მოკლე ხანში ამხანაგობებმა რამოდენიმედ მიაღწიეს თავიანთ მიზანს: ასწიეს პარკის და აბრეშუმის ფასები, დაურიგეს ხალხს საღი თესლი, და ამ რიგად გაამხნევეს ხალხი და გაავრცელეს აბრუშუმის მოყვანა. ეს მოვლენა ფრიად საამოა და საგულისხმო. სასურველია ძლიერ, რომ მთავრობამ და ჩვენმა საზოგადოებამ მიაქციონ ამ ამხანაგობათ შესაფერი ყურადღება და შეეწიონ ზნეობრივ და ნივთიერად შეუწყონ ხელი მათ გამრავლებას, ვინაიდგან მათი მოქმედება მიმართულია ხალხის ეკონომიურად ასამაღლებლად და საბედნიეროდ, რაიც უნდა შეადგენდეს თვით მთავრობის და ინტელიგენციის ინტერესს.

აქვე საჭიროა შევნიშნოთ ერთი საგულისხმო მოვლენა, ე. ი. აბრეშუმის ფასის დაცემა მსოფლიო ბაზარზედ. რომ არ მივიღოთ მხედველობაში ძველი ხანა, როცა ჩინეთის აბრეშუმი იყიდებოდა ოქროს ფასად და ავიღოთ მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნე, ვნახავთ, რომ მსოფლიო ბაზარზედ წლის განმავლობაში აბრეშუმის ფასი დაცემულა 50-62%-დე. აი მაგალითი:

ერთი კილოგრამი.	1868 წ. ღირებულა.	1885 წ. კი	ფასი დაცემულა
საფრანგეთის ორგანსენი (ქსელის ძაფი)	152% ფრ.	61½ ფრ.	60%
იტალიის ორგანსენი (ქსელის ძაფი)	138 „	61 „	56%
საფრანგეთის ტრამის ძაფი (ჩასაქსოვი)	138 „	58 „	58%

იტალიის ტრამის ძაფი (ჩასაქსოვი)	124½ „	57 „	58%
საფრანგეთის შულო აბრეშ.	132½ „	56 „	58%
ჩინეთის „ „	73½ „	37 „	50%
იაპონიის „ „	103½ „	39½ „	62%

[1]) იხ. L. Vignon: „La soie an point de vue scientifique et industriel“ 1890 p. 45 – 346.

აი კიდევ ცნობანი, რომელნიც გამოაქვეყნა ლიონის მეაბრეშუმეთა ინდიკატმა: [1])

ერთი კილოგრამი სხვა და სხვა გვარი აბრეშუმი	1876 წ.	1889 წ.	1884 წ.	1888 წ.
ორგანსენი (ქსელის ძაფი)	ფრანკი	ფრანკი	ფრანკი	ფრანკი
საფრანგეთის	115-125	69-71	63-65	60-62
პიემონტის	113-118	68-70	62-64	62-64
იტალიის	102-110	62-64	56-58	57-59
ტრამის ძაფი (ჩასაქსელი ძაფი)				
იტალიის	100-108	60-62	55-57	56-58
ჩინეთის	76-83	51-53	45-47	49-52
გრეჟი (უმი შულო ძაფი)				
იტალიის	100-105	53-58	50-52	48-50
ჩინეთის (ცატ-ლის)	71-73	41-42	37-38	40-41
ჩინეთის (კალინგის)	57-62	34-37	32-35	34-36
ჩინეთის (კანტონის)	100-110	50-51	41-42	44-45
იაპონიის	100-110	55-57	51-53	50-51

ეს სტატისტიკური ცნობანი გვამხელე., რომ წლიდან წლამდე აბრეშუმის ფასი საერთოდ დაცემულა 40-50%-მე; [2])1880-დან 1884-მდე მხოლოდ

[1]) „BuIletin des soies et de soieries,“ Lion.

[2]) ეს მოვლენა აიხსნება მით, რომ ჩინეთ, როცა ჭიას სენი გაუჩნდა და მოსავალი შემცირდა, აბრეშუმის ფასმა ძლიერ აიწია; აროდესაც პასტერის გენიოსურმა მოგონებამ კვლავ აღადგინა დაცე-

4 – 10%-დე. 1888-ში კი პირიქით ფასებს თითქო აუწევია, მაგრამ აიწია მხოლოდ შედარებით იმ ქვეყნებში, სადაც ფილატიური უფრო განვითარდა და მით ძაფის ღირსება გაუმჯობესდა, რის გამოი, ეჭვი არაა მოემატა ფასიც; ეს მოხდა მაგ., ჩინეთსა და იტალიაში. პირიქით საფრან-

გეთის და იაპონიის აბრეშუმი კიდევ დაწეულა ფასებში 3-4%-დე. ეს რიცხვები აშკარად გვიმტკიცებენ აბრეშუმის ფასის თან და თან დაცემას მსოფლიო ბაზარზედ.

V

ახლა ვიკითხოთ, თუ რისგან შესდგება მეაბრეშუმობა. იგი იყოფა ორ დიდ ჯგუფად: 1. აბრეშუმის მოყვანა და დამზადება, ე. ი. თესლის მომზადება და შენახვა, გამოჩეკა, ჭიის აღზრდა და მოვლა, პარკის გახმობა და ძაფის ამოხვევა, ანუ ფილატიური. 2. აბრეშუმის ინდუსტრია, ე. ი. მულინაჟი ანუ ძაფის დართვა-დაგრეხა, ტეინტური ანუ ძაფის გამოხარშვა და შეღება, ტისსაჟი ანუ ფარჩეულის ქსოვა; თვით ტისსაჟი ისე გართულდა ამ ბოლო დროს, რომ იყოფა რამდენიმე ნაწილად, მაგ. დევიდაჟი, კანეტაჟი, ურდისაჟი, პლიაჟი, ტისსაჟი, ფინისაჟი, აპრეტი, სახეების და სახეების დამზადება და სხ. განვიხილოთ ცოტა ახლოს პირველი ჯგუფი:

1. აბრეშუმის თესლის მოემზადება და შენახვა. უწინდელ დროში საყოველთაოდ, ახლა კი მხოლოდ აზიაში,

---

მული მეაბრეშუმობა და კვლავ მოიყვანეს ისევ უხვად, აბრეშუმის თასი ამის მიხედვით სამჩნევად დაეცა და დავიდა წინანდელ დონეზედ.

ა ვ ტ ო რ ი.

აბრეშუმის პეპლებს ადებინებენ თესლს ქაღალდზე ან ჭინჭზე, ახვევენ ერთად და ინახვენ სადმე ოთახის კუთხეში ან ყუთში. ისინი არ იკვლევენ მას სნეულ პეპლებისაა ეს თესლი თუ საღის, ან რაგვარი ჰავა, სითბო-სიცივე და სინესტე ეჭირვება თესლის შენახვას. ამაების არ ცოდნამ მოსდვა ქვეყანას აბრეშუმის ჭირი, ეგრეთვე მეტის სითბო-სიცივით ან მეტის სინესტით უფუჭდებათ თესლი. ამგვარი მოვლენა ერთობ ხშირია. ამას მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება ევროპის შეგნებულმა ერებმა და დააარსეს საზოგადოებანი, ამხანაგობანი, სააბრეშუმო სადგურები და ლაბორატორიები, რომელთა მიზანია სხვათა შორის დაამზადონ აბრეშუმის საღი თესლი და შეინახონ იგი გაზაფხულამდე შესაფერ ალაგას. ამ დაწესებულებათა მეთაურებად არიან მცოდნე პირნი, რომელნიც პასტერის

მეთოდით მიკროსკოპით იკვლევენ ან პეპლების წრბოლს (ხშირად), ან პირდაპირ თესლს, და ტყობილობენ სნეულია იგი თუ საღი. [1]) სნეულს სპობენ და საღს აგროვებენ კოლოფებში. ამგვარ გადარჩეულ თესლს ჰქვია ცელულიარუელი თესლი. თესლის შემნახველი ჰავა არ უნდა იყვეს არც მეტად ნესტიანი, რომ არ გაუჩდეს თესლს ობი და არ წახდეს, არ უნდა იყვეს არც ხმელი, რომ არ გამოშრეს თესლი, არც თბილი, რომ არ გამოიჩეკოს უდ-

---

[1]) ამისათვის სათესლე პეპლებს სმენ ცალ-ცალკე მარმაშის პაწია ტომსიკებში და აკრავენ თავს. პეპელა დებს კვერცხებს და კვდება. აიღებენ ამ პეპლებს ცალ-ცალკე, გასრესენ წყალში თიხის ქვიჯაში, დააწვეთებენ ორ-სამ ალაგს მათ წვენს შუშაზედ და შინჯვენ მიკროსკოპით. თუ საღი აღმოჩნდა, მის თესლს ინახვენ და თუ სნეულია, თესლს სპობენ. სნეულ პეპელას წრბოლში მოსჩანს (მიკროსკოპში) ხშირად აურაცხელი პაწია წოწოლა მჭვირვალე სხეულები, რომელნიც წააგავან ჭიანჭველას კვერცხებს (ფორმით). ეს კი იმის ნიშანია, რომ პეპელა შეპყრობილია(და მასთან მისი თესლიც) საშინელი სენით, პ ე ბ რ ი ნ ი თ. ავტორი

როვოდ, და არც ძლიერ ცივი, რომ არ დაიხოცოს შთანასახი. თესლის შესანახად საუკეთესოდ ითვლება ოდნავ მშრალი და გრილი მთის ჰავა და მართლაც ამ გვარ ალაგებში საფრანგეთში უკვე არის დაარსებული თესლის შესანახი ოთახები ანუ სადგურები (Ies chambres d'hibernation) მაგ., არდეშში. იტალიამ ამ მხრივ გადააჭარბა საფრანგეთს და თესლის შესანახი სადგურები მოაწყო საშრობ-საგრილებელ მანქანებით (machines frigorifiques), რის გამო ფრიად კარგად ინახება თესლი.

2) თესლის გამოჩეკა. რაც შეეხება თესლის გამოჩეკას ესეც ითხოვს საჭირო ცოდნას. ერთი რომ, თესლის გამოჩეკა უნდა შეეხამოს თუთის ფოთლის გაშლას, რათა მით ჭიას ჰქონდეს საზრდო:) მეორე – თესლის გამოჩეკა უნდა იყვეს ნორმალური, ე. ი. რაც შეიძლება თანასწორი. ეს გამოჩეკა უნდა გათავდეს ორ-სამ დღეში მაინც, რომ მით ერთი მეორეს ძლიერ არ ჩამორჩენ ჭიები, რაიცა ართულებს მოვლას და აფერხებს საქმეს. თუ კი გვსურს, რომ თესლი თანასწორად გამოიჩეკოს, იგი უნდა გავაჩეროთ ან თბილ ოთახში ან წყლით სათბობ ყუთებში, რომელთაც ეწოდება ინკუბატორი ანუ კასტელე (caste-Let). ჩინეთში კაი ხანია არსებობს თესლის საჩეკი თბილი ოთახები; საფრანგეთში ოლივიეს დროს გამოსაჩეკ თესლს ატარებდენ ქალები უბით და ათბობდენ თავის სხეულით.

შემდეგ თესლს დაუწყეს თბობა ფურნეებში და ბოლოს მხოლოდ აბბატ სოვაჟს მოუვიდა აზრად აღერაცხა თესლის საჩეკად საჭირო სითბო და სწორედ ამ დროიდან, რო-გორც საფრანგეთში, ისე დანარჩენ ევროპაში იმართება თესლის საჩეკი თბილი ოთახები და კასტელები. თესლის საჩეკი ტემპერატურა დანდოლოს აჰყავს ერთ გრადუსიდან ყოველ დღე თითო გრადუსით ვიდრე 22 გრადუსამდე

რეომიურის თერმომეტრით. ჰაბერლანდტს კი სითბო აჰყავს ერთბაშად 6 გრადუსამდე, აჩერებს 8 დღეს; შემდეგ აჰყავს 8 გრადუსამდე და აჩერებს კიდევ 8 დღეს, შემდეგ 10^0-დე და აჩერებს 4 დღეს; მერე 12^0-დე და აჩერებს ისევ 4 დღეს, მის მერე ორ დღეს 16^0-დე, ორ დღეს 18^0-დე და ორ დღეს 20^0-დე, ასე რომ 30 დღის შემდეგ თესლი თითქმის ერთბაშად იჩეკება. ეგრეთვე საჭიროა ვიცოდეთ, რომ გამოსაჩეკი თესლი უნდა იყვეს რაც შეიძლება თხლად მობნეული ქაღალდზე, რომ ჭიები გამოიჩეკონ თანასწო-რად, ერთი მეორე არ შეაწუხონ და ადვილად ისუნთქონ. დრო გამოშვებით თესლი უნდა აირივ-დაირიოს. ერთ გრამ თესლში ირიცხება 1200 – 2000-დე კვერცხი (თეს-ლი) (იმის მიხედვით თუ რა ჯიშისაა) ანუ ერთ მისხალში 5000 – 8000-დე.

3. ჭიის აღზრდა და მოვლა. ჩვენ აქ არა გვაქვს დრო და ალაგი შევჩერდეთ ამ საგანზედ და განვიხილოთ იგი ვრცლად; ვიტყვით მხოლოდ მოკლედ: ერთად ერთი სა-უკეთესო საზრდო შინაურ აბრეშუმის ჭიისა არის თუთის ფოთოლი. არას დროს ეს ფოთოლი სოვლად არ უნდა მიეცეს ჭიას; იგი უნდა იყვეს მშრალი, საკმაოდ ახალი (ერთი-ორი დღისა), არას დროს კი ძველი და გამხმარი. ეგრეთვე არც ახლად მოკრეფილი ფოთოლი უნდა მიეცეს ჭიებს; ერთი-ორი დღე მაინც უნდა გააჩეროთ, გააშროთ, მისცეთ ოთახის სითბო და ისე დაურიგოთ. მესამე კანის გიმოცვლამდე ჭიებს ფოთოლი უნდა მიეცეს დაჭრილი, შემდეგ კი მთელი. მასთან საზრდო უნდა მიეცეს ბლო-მად, ხშირად და თანაბრად. თან ბუდნაც უნდა ეცვა-ლოს მალ-მალ. აბრეშუმის ჭიას მეტად სძაგს უწმინდურება, ამიტომ როგორც ოთახი, ეგრეთვე ლოგინი უნდა იყვეს სუფთა. თანაც ერთად უნდა იზრდებოდენ მხოლოდ ერთი

ხნის ე. .ერთად გამოჩეკილი ჭიები და არა სხვა და სხვა ხნისანი; მასთან ისინი არ უნდა იყონ მჭიდროდ დაყრილ-ნი, თან თემპერატურაც უნდა ჰქონდეთ თანატოლი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აბრეშუმის ჭიას არ უყვარს არც ცივი ტაროსი და არც სიცხე; ხშირი წვიმები და ელვა-ქუხილი ხომ მისი დამღუპველია! მის ნეტარებას შეადგენს თბილი ჰავა და კარგი დარები. დღეს ევროპაში აბრეშუ-მის ჭიის საზრიანი აღზრდისათვის არსებობს სპეციალური შენობანი ანუ მანიანერები (magnanerie) სხვა და სხვა სისტემისა: მაგ. სისტემანი სევენესი, დანდოლოსი, დარ-სესი და სხ., რომელნიც დაყოფილია ფიცრებით სართუ-ლებად, შიგვეა ჰაერის საწმენდი ვენტილიატორები და სათბობი ბუხრები. ჭიის ლოგინად კი ხმარობენ დახვრე-ტილ ქაღალდებს.

აბრეშუმის ჭიის სნეულებანი. აბრ. ჭიის უმთავრეს სე-ნებად ითვლებიან: მუსკარდინი, ჰებრინი. ფლაშერი და გრა-სერი.

ა. მუსკარდინი (la muscardine) ჭიის უუძველესი სე-ნია. პირველად იგი აღმოაჩინა ვალისნერიმ 1725 წელს. ამ სენით შეპყრობილი ჭია უეცრივ კვდება. თუმც გარე-გნობით არ ეტყობა, მაგრამ დამკვირე თვალი აქაც შე-ატყობს, რომ მუსკარდინიანი ჭია ზანტდება და ეძლევა ოდნავ ვარდის ფერი. 1835 წელს დოქტორ ბასიმ ახსნა, რომ მუსკარდინი წარმოსდგება ერთგვარ თვალთ-უხილავ (მიკროსკოპიულ) სოკოდან, რომელსაც უწოდა ბოტრიტის ბოსტიანა (BotritiS Bostiana). ამ სენისათვის არავითარი წამალი არაა მოგონილი. ხოლო ამ სენით შეპყრობილ ჭიებს განაშორებენ ოთახებში მყოფ სხვა ჭიებისაგან, დაუ-კეტენ კარებს დაუცობენ ყოველ ჭიჭიტანას, რომ გო-გირდის გაზი არ გავიდეს ოთახიდან და უხრჩოლებენ ბლომად

რამდენჯერმე გოგირდს, რომ მით ამოხოცონ სნეული ჭიები და მასთან მოსპონ ის სენიც, რათა აღარ გადვიდეს სხვებზედ ან არ გაჩნდეს ხელმერედ. მემკვიდრეობით ეს სენი არ გადადის, რადგან მით შეპყრობილი ჭია კვდება ან პარკის გაკეთებამდე ან პარკშივე და არას დროს პეპ-ლად არ იქცევა.

ბ. პებრინი (Ia pebrine). ეს საშინელი სენი პირველად აღმოაჩინა მენევილმა 1849 წელს. ამ სენით შეპყრობილი ჭია აღარ იზრდება, რამდენიმე დღის შემდეგ მისი კანი ფორაჯდე-ბა გარედან შავად, შიგნით სხეულში კი უჩნდება აურაცხელი

მიკროსკოპიული წოწოლა სხეულები. ბევრი ჭია ამ რიგად იხოცება, ბევრიც კი აკეთებს პარკს (თუ ჭია დასრულებულია). ამ რიგად ეს საშინელი სენი გადადის მემკვიდრეობით, ე. ი. თესლით, რის გამო საოცარი სისწრაფით მოედვა მთელ ქვეყანას და მისცა აურაცხელი ზარალი. მარტო ერთ საფრანგეთში პებრინმა დასცა პარკის მოსავალი 26 მილიონ კილოგრამიდან 4 მილიონამდე. აურაცხელი მწარმოებელნი ჩაყარა გაჭირვებაში და სასოწარკვეთილებაში, მაგრამ ადამიანის გენიოსობამ და მეცნიერებამ ამასაც უპოვეს საშუალება. ეს ქებული მეცნიერი გახლდათ უკვდავი პასტერი. მან 1865 – 1869 წლებში გამოიკვლია და შეისწავლა ეს საშინელი სენი და აღმოაჩინა საშუალება, რითაც იხსნა დაღუპვისაგან მსოფლიო მეაბრეშუმობა. პასტერმა ნახა, რომ პებრინიან ჭიაში ეგრეთვე თესლში და პეპლებში იმყოფება თვალთ-უხილავი წოწოლა სხეულნი, ანუ მიკრობები, რომელნიც აჩენენ ამ სენს. ამიტომ, თუ ჩვენ მიკროსკოპით გავსინჯავთ სათესლე პეპლების წრბოლს ან თვით თესლს, ადვილად შევნიშნავთ იმ მიკრობებს. ამრიგად სნეულ პეპლებსა და თესლს მოვსპობთ საღს კი შევინახავთ, მასთან იმ სად-

გურებს, სადაც ჭიას გაუჩნდა პებრინი, რამდენჯერმე ვუკმევთ გოგირდს, გავასუფთავებთ და მით არამც თუ შევამცირებთ ამ საშინელ სენს, არამედ ერთიანად ვიხსნით მისგან თავს. აი ეს დიდებული პრინციპი, ეს მაღალი აზრი დაედვა საფუძვლად პებრინთან ბრძოლას! მართლაც დღეს ამის შემწეობით ევროპამ და კერძოდ საფრანგეთმა კვლავ გაშალეს ფრთები და გაავრცელეს მეაბრეშუმობა.

გ. ფლაშერი (la flacherie). ეს სენიც საკმაო ზარალს იძლევა მსოფლიო მეაბრეშუმობაში; იგი ხშირად უჩნდება ჭიას, როცა ცახზედაა ასული და ჰკლავს ან ზედვე ან პარკში. ამ რიგად ჭია ვერ ჰქმნის შთამომავლობას და სენი ვერ გადადის მემკვიდრეობით. ხშირად ეს სენი ისე ვრცელდება, რომ ერთ დღეს სპობს მთელ ოთახის ჭიებს. ამ სენით შეპყრობილი ჭია ფრიად მისუსტებულია, უგუნებო, უშავდება გარე კანი და ეძლევა მყრალი სუნი. პასტერმა აღმოაჩინა ამგვარი ჭიის წრბოლში აურაცხელი მიკროსკოპიული სხეულნი ანუ კიბრიონნი. სამწუხაროდ დღემდე არავითარი საშვალება არაა მოგონილი ამ სენის წინააღმდეგ ჰფიქრობენ, რომ ეს სენი თითქო ფოთლებიდან ჩნდებოდეს. ფრიად სასურველია, რომ ის ოთახი, სა-

დაც ეს სენი გაჩნდა, ძლიერ გასუფთავდეს და ეკმიოს ბლო-
მად გოგირდი. ფლაშერს ძლიერ წააგავან კიდევ სამ-გვა-
რი სნეულებანი: ა. არპიანი (vers arpians on gattinés),
ბ. ლუსეტი ((დეს ლუცეტტეს) და კლერეტი((des klairettes).
რომელთა საშუალებაც ჯერ არაა აღმოჩენილი.

დ. გრასერი. (სისუქნე, la grasserie). ეს ჭირი იძ-
ლევა მეაბრეშუმობაში ყველაზე ნაკლებ ზიანს. მისი შემ-
ქნელი მიზეზი დღემდე არ იციან, არც მისი ექიმობა.
შეატყვეს მხოლოდ, რომ იგი ვრცელდება ცივი ჰავის და
სინესტის გამოი ეს სენი უჩნდება ჭიას ხშირად, როცა იგი

დიდ კანშია ამოსული, ან როცა ცახზედ ადის. ამგვარ
ჭიას გარეგნობით ეძლევა ყვითელი ფერი, ზანტდება და
უშვებს მოყვითლო წრბოლს. მეცნიერმა ბოლმა აღმოა-
ჩინა ჭიის წრბოლში პაწია მიკროსკოპიული სხეულნი
(Ies corps polyédriques). ჰფიქრობენ ვითომც გრასერი
უნდა იყვეს არც გადამდები არც მემკვიდრეობითი. მიუ-
ხედავად ამისა უმჯობესია, თუ სადმე ეს სენი არსებობს
იქაური პარკები არ იყვეს შენახული სათესლედ, არამედ
მოხმარებული აბრეშუმად. ცნობილი მაიო ჩვენს ყურად-
ღებას აქცევს კიდევ ერთ სენზედ, რომელიც ფრიად გა-
ვრცელებულია აღმოსავლეთში და მეტადრე იაპონიაში.
ამ სენს ეძახიან უჯის (oudji) იგი მწერია, დებს პაწია
კვერცხებს თვით ფოთოლზედ, რომლებიც შეჰყვება ხოლმე
ჭამის დროს აბრეშუმის ჭიას, იჩეკება მის მუცელში,
ხვრეტს და გამოდის გარედ. ხან პარკში კლავს ჭიას,
ხვრეტს პარკს და გამოდის; ამ რიგად სამჩნეო ზარალს
აძლევს მეაბრეშუმეთ. [1])

რაც შეეხება ფიზიკურსა და ქიმიურ მოძღვრებას
პარკის და აბრეშუმის ძაფის შესახებ, ჩვენ. ამაზედ აქ ვერ
შევჩერდებით, რადგან იგი მეტად სპეციალურია; ვიტყვით
მხოლოდ, რომ პარკის კანი შესდგება საშუალო რიცხვით
25-30% წებოდან (gomme) და 70 – 75% ბეწვიდან
(fibroïne); მასთან წებო ბევრად მეტი აქვს პარკის კანის
გარე ნაწილს, ვინემ შიგნივას. მასთან სცვნეს ისიც, რომ
ევროპის აბრეშუმის ბეწვები განსხვავდებიან აზიის აბრე-
შუმისაგან. მაგ., აზიის აბრეშუმის ბეწვი უფრო წმინდაა,
ნაკლები მაგარი და ნაკლები მსახრე (élastique), ვინემ
ევროპისა. აი შესადარებელი ციფრებიც:

---

[1])იხ. Eugène Maillot: „Lecons sur les vers á soie du murier“

p. 187.

აბრეშუმი	ევროპისა	აზიისა
საშუალო სიწმინდე .	30,6	26,6
სიმაგრე	9,6	7,4
სიმსახრე	12,5	1,003
საშუალო ტიტრი . . .	0,146	0,132

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არამც თუ სხვა და სხვა ჯიშების, თვით ერთისა და იმავე პარკის ბეწვი არაა თანატოლი; პარკის ზეითა (გარე) კანის ბეწვი ყველაზედ უფრო მსხვილია, ეს ბეწვი კი წვრილდება რამდენი პარკი უფრო ირღვევა და კანი უთხელდება. ამის ცოდნას ფილატიურში დიდი მნიშვნელობა აქვს მეტადრე თუ სურთ, რომ თანატოლი ძაფი ამოიღონ.

4. აბრეშუმის ამოხვევა ანუ ფილატიური (დევიდაჟი – dévidage). აბრეშუმის ამოხვევაში არამც თუ ევროპამ თვით აზიამაც (ჩინეთმა და იაპონიამ) წასდგა დიდი ნაბიჯი. იქ ვეღარ ნახავთ იმ სამუხელს, რითაც დღემდე მუშაობენ ჩვენში ქალები და ახვევენ ტლანქს, მსხვილს და უსწორმასწორ ძაფს, რომლის ფასი ფრიად დაცემულია მსოფლიო ბაზარზედ. ევროპის სამუხელი, ანუ უკეთ ფილატიური რთული და სრული მანქანაა. იგი ახვევს ერთბაშად 6 – 12 ძაფს, რომლებიც იხვევიან სამი პარკიდან, ხუთიდან, ათიდან და სხვ., იმის მიხედვით თუ რა სისხოს ძაფი უნდათ. ამრიგად ამოხვეული ძაფი თითქმის თანასწორია მთელ თავის სიგრძეზედ, სუფთა, მრგვალი და სირმასავით ბრწყინვალე და ნაზი, რის გამო დიდ ფასშიაც იყიდება.

საბედნიეროდ კავკასიაშიდაც შამოიღეს უკვე ევროპიული ფილატიურები. აბრეშუმის ამოსახვევი ქარხნები უკვე გახსნეს ნუხაში სომხებმა. ხონსა და კუხში უკვე დააარსა ამგვარი ფილატიურის ქარხნები კუხის მეაბრეშუმეთა ამხანაგობამ პატივცემულ მოღვაწის ნ. წე-

რეთლის მეთაურობით. ფრიად სასურველია, რომ ევროპიული ფილატიურები ბლომად შემოვიდეს ჩვენში, რომ მით მაინც წავდგათ წინ ერთი ბიჯი და პარკის ან ყოვლად სამაგელ ძაფის ნაცვლად ვუგზავნოთ ევროპას (თუ ჩვენ ვერ შევჰქნით ჯერ ფარჩეულობის ქარხნებს) შვენი-

ერი, სუფთა, თანასწორი და სირმეული ძაფი და მით ვი-
ღოთ ერთი ორად და ერთი სამად მეტი ფასი. საუკეთე-
სო ფილატიურად ევროპაში ითვლება მანქანა ლეონ კა-
მელისა (Léon Camel); ამ მანქანით შეიძლება ამოიხვეს
ერთბაშად 12 მაფი, ყველასთვის კი საკმარისია მხოლოდ
ერთი ქალi. ეგრეთვე ამერიკელმა ინჟინერმა სერელმა
მოიგონა ავტომატიური ფილატიური, რომელსაც უსა-
თუოდ დიდი მნიშვნელობა ექნება. აბრეშუმის ღირსებაში
(ამოხვევის დროს) წყალსაც დიდი როლი აქვს, მაგ., წვი-
მის და საერთოდ ლბილი წყალი ძლიერ ხსნის აბრეშუმის
წებოს და ამოხვევის დროს უკარგავს აბრეშუმს ღირსე-
ბას, მწარმოებელს კი აძლევს სამჩნევ ზარალს, მაშინ რო-
დესაც კირნარი, მკვრივე წყალი იძლევა შვენიერ ღირსე-
ბის აბრეშუმს, ე. ი. სუფთას, ნაზოვანს და მოელვარეს.
ამ მოვლენას კაი ხანია მიაქციეს ევროპაში ყურადღება
და ბევრს ალაგს საფრანგეთ-იტალიაში, სადაც არ მოი-
ძებნება შესაფერი წყალი, ხელოვნურად ურევენ კირსა და
სხვა გვარ მარილებს და ამზადებენ შესაფერ თვისების
წყალს.

მეტი არ იქნება ვსთქვათ, რომ ახვევენ უსათუოდ ხმელ
პარკებს და არა ნედლს. ჰკლავენ ჭიას და ახმობენ კი ბევრ
რიგად, მაგ. მზეზე, ცეცხლზე, ორთქლით, მხურვალე ჰაე-
რით და სხ. ევროპაში დღეს პარკის სახმობად და ჭიის
სახოცად სპეციალური სადგურებია და მოწყობილებანი,
სადაც ორთქლით ან რაიცა უმჯობესია, მხურვალე ჰაერით

ხოცვენ ჭიებს; თვით პარკს ხშირად ურევენ, აშრობენ ან
გარედ ჩრდილში ან ოთახებში. ჭიის დახოცის და პარკის
გახმობის მიზანი ისაა, რომ პირველი, პარკიდან ჭია პეპ-
ლად არ გამოვიდეს და ამრიგად არ დახვრიტოს, არ გა-
აფუჭოს პარკი, მეორე კი, გამხმარი პარკი კარგად ირღვე-
ვა. ხეობაში პარკს ძლიერ აკლდება სიმძიმე; ორთას შუა
რიცხვით სამი გირვანქა ნედლი პარკი იძლევა ერთ გირვანქა.
ხმელ პარკს, ოთხი გირვანქა ხმელი პარკი კი იძლევა ერთ
გირვანქა ძაფს და მეოთხედ ყაჭს ანუ დომფალას
(ე. ი. პირველად თავზედ ამოხვეულ გლახა ძაფს).

დღეს ყველაზედ უკეთ განვითარებული ფილატიუ-
რი არის საფრანგეთსა და იტალიაში; ფილატიურის სა-
უკეთესო, ქარხნები ბლომადაა ვალანსში, არდეშში და
ლომბარდიაში [1]). ამ ბოლო დროს იაპონიასა და ჩინეთ-
შიდაც გაუმჯობესეს ძლიერ ფილატიური, ეგრეთვე სირია-

ში, საბერძნეთში და ახლა კავკასიაშიდაც მართავენ ევროპიულ სისტემის ფილატიურებს. დროც არის!

VI

ახლა, სანამ გადვიდოდეთ აბრეშუმის ინდუსტრიაზედ, ვგონებ, არ იქნება მეტი ვსთქვათ ორიოდე სიტყვა იმ ნარჩიელაზედ, რაც რჩებათ მანიანერში, ფილატიურში და მულინაჟში. მანიანერში, ე. ი. აბრეშუმის ჭიის აღმზრდელ სახლებში რჩება კარგა ბლომად გაფუჭებული, დახვრეტილი ან დაუსრულებელი პარკები ფილატიურ-

---

[1]) არდეში და ვალანსი საფრანგეთშია, ლომბარდია კი იტალიაში. ავტორი

ში რჩება თავზედ ამოხვეული ცუდი დომფალა ძაფი, მულინაჟში კი, ე. ი. ძაფის სართველ-საგრეხელ ქარხანაში რჩებათ ნაბურდალა ძაფი. ყველა ამათ საერთოდ უწოდებენ დეშეს, ე. ი. ნარჩიელას (déchet). ყოველივე ამას აქვს ბაზარი და მოხმარებაა მათგან აკეთებენ აბრეშუმის მსგავსს ძაფს, რომელსაც ჰქვია შაჰი (chappe), ე. ი. ყაჭის ძაფი. ამან გამოიწვია ევროპაში მთელი ინდუსტრია და დაარსდა მეტადრე ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და შვეიცარიაში მრავალი ქარხნები. რომ ვსთქვათ, ამ ნარჩიელას არც ისე დაცემული ფასი აქვს მსოფლიო ბაზარზედ. მაგ. ერთი კილოგრამი გაფუჭებული ხმელი პარკი იყიდება 5 – 8 ფრანკად, ერთი კილოგრამი დომფალა ძაფი კი ღირს 7 – 10 ფრანკი. სტატისტიკა გვამხელს, რომ მთელს ევროპაში ყოველ წლობით კეთდება და შედის ხმარებაში $3^1/_2$ მილიონი კილოგრამი შაპი, ე. ი. ყაჭის ძაფი. ეს რიცხვი საკმაოდ დიდია და ღირსი ყურადღებისა.

იქნებ მკითხოთ, თუ რად უნდათ ეს ყაჭის ძაფიო? მას ხმარობენ ბევრს რამეში; ნუ დავივიწყებთ, რომ იგი ისევ აბრეშუმის ძაფია, მასავით მაგარი, ხოლო ბევრად უფრო ტლანქი; არა აქვს ის სინაზე და ელვარება რაც ნამდვილ აბრეშუმს; ამიტომ ყაჭის ძაფს ხმარობენ შალ-აბრეშუმებში, მისგან ქსოვენ აურაცხელ იაფფასიან ფარჩეულს ავეჯისათვის, ხმარობენ ტრამად (ჩასაქსოვად). მდარე ხავერდებში, პლიუშებში და ლენტებში, მისგან

ქსოვენ ბუზმენტებს, ფულარს, ბახრამას (franges), ზორ-
ტებს (cordonnets) ურევენ ბამბაში და ქსოვენ ჩით-აბრე-
შუმს და ათას სხვა რამეს. ამიტომ ყაჭისთვის არსებობს
ცალკე ფილატიურები, ცალკე მულინაჟი, ტენტური და
ტისაჟი. ერთი სიტყვით მან გამოიწვია სულ ახალი გან-
საკუთრებული ინდუსტრია.

რონდოს ანგარიშით მთელს აზიაში მოდის ყოველ
წლობით 250 მილიონი კილოგრამი ნედლი პარკი, რაი-
ცა უდრის 75 მილიონ კილოგრამ ხმელ პარკს. აქედან
ერთი მესამედი, ე. ი. 25 მილიონი წამხდარი პარკი და
დომფალა ძაფი რჩება დეშეთ, ეს დეშე ჩინეთ-იაპონიიდან
მოდის ყოველ წლობით ევროპა-ამერიკაში 3$^{1}/_{2}$მილიონი
კილოგრამი. აქედან ხმარობენ:

ინგლისი		800.000	კილოგრამს
შვეიცარია	.	850.000	„
საფრანგეთი	.	850.000	„
გერმანია	.	330.000	„
იტალია	.	230.000	„
ავსტრია	.	130.000	„
ამერიკული შტატები	.	100.000	„
ბელგია	.	80.000	„
რუსეთი	.	30.000	„
	სულ	3.400.000	„

აბრეშუმის სიძვირემ და დიდმა ბაზარმა აღუძრეს
მრავალთ სურვილი შეექმნათ უბრალო საშუალებით ხე-
ლოვნური აბრეშუმი. ზოგმა მიაქცია ყურადღება მცე-
ნარეებს და მართლაც ნახეს, რომ ჩინეთში და აზიის სხვა
ქვეყნებში არსებობს ერთგვარი მცენარე, რომელსაც უწო-
დებენ რამს ანუ ჩინეთის ჭინჭარს; რაკი ერთჯერ დაირ-
გვის, ეს მცენარე იქცევა ბუჩქად, ძლებს 40-60 წლამ-
დე და ყოველ წელს ითიბება 2-3-ჯერ და 4-5-ჯერაც
კი, თუ ლამიანი ადგილია; ამ რიგად მისი მოსავალი მე-
ტად დიდია. მისი კანი იძლევა მართლაც შესანიშნავ ძაფს,
რომელიც სიმაგრით, სინაზით და ელვარებით თითქმის

არ ჩამოუვარდება ნამდვილ აბრეშუმს. ხოლო ამ მცენა-
რეს აქვს ფრიად დიდი ნაკლი: მალე ხმება და ამიტომ
კანის გაცლას სჭირდება დიდი დრო და თხოვილობს დიდ
ხარჯს. და თუ დაასველეთ მცენარე და ისე გააცალეთ
კანი, მაშინ ჰკარგავს იგი აბრეშუმის თვისებას. დღემ-
დე მისი კანის გამცლელი ადვილი მანქანა არაა მოგონი-
ლი, რაიცა დიდათ აფერხებს ამ ყოვლად სასარგებლო
მცენარის კულტურას.

მიუხედავად ამისა მრავალმა განათლებულმა ევრო-
პიელმა მოისურვეს შეექმნათ ხელოვნური აბრეშუმი ქი-
მიურად. მრავალმა ანალიზებმა უკვე გვაჩვენეს თუ რის-
გან შესდგება აბრეშუმის ძაფი და აბრ. ჭიის წრბოლი
(საქსოვი წვენი); თუ კი ეს ვიცით, აღარ უნდა იყვეს
ძნელი, რომ კაცმა შეაერთოს ქიმიურად აბრეშუმის შე-
მადგენელი ნივთიერებანი, შეჰქმნას კოლლოდიუმი (წებოს
მსგავსი სითხე), გაიყვანოს წვრილ მილებში, გააშროს და
აქციოს აბრეშუმის ძაფად. მართლაც აღმოჩნდა საფრან-
გეთში ერთი მეცნიერი, გვარად შარდონე (M. de Chardo-
Nnet), რომელმაც შეჰქმნა ქიმიურად ხელოვნური აბრე-
შუმი. მან აიღო ბამბა, გახსნა იგი აზოტის სიმჟავეში,
შეჰქმნა ამ რიგად ნიტრო-ცელულოზა, რომელიც გახსნა
65% ალკოჰოლ-ეთერში და გააკეთა ამ რიგად კოლო-
დიუმი, რომელიც გაატარა წვრილ ბუსუსა სოლინარებში
და გარდაქმნა ძაფად. ეს ძაფი თავის ელვარება-სინაზით
არ განირჩევა ნამდვილ აბრეშუმიდან, ხოლო არა აქვს
ის სიმსახრე და სიმტკიცე. თანაც სიცხის გამო ხმება ძლი-
ერ და წყდება ადვილად. ეს საოცარი ცდა შარდონებ
მოახდინა პირველად საჯაროდ პარიზის სამეცნიერო აკა-
დემიაში 1889 წელს. ამ ჟამად, რამდენადაც ვიცით, შარ-
ნუკვე გაუმართავს ქარხანა საფრანგეთის ერთ პაწია

ქალაქში და ჰქმნის ზეშო თქმულ მეთოდით აბრეშუმის ძაფს,
რომელიც ალაგ-ალაგ უკვე შემოვიდა ხმარებაში. ამ რი-
გად შარდონეს მიერ ქიმიურად მოგონილი აბრეშუმი წარ-
მოადგენს დიდ ინტერესს და თუ ცოტად გააუმჯობესა
მან იგი, მაშონ შეუძლია გაუწიოს დიდი მეტოქეობა ნამ-
დვილ აბრეშუმს და ძლიერ დასცეს მისი ფასი მსოფლიო
ბაზარზედ.

VII

თვით აბრეშუმის ვაჭრობაც ევროპაში საგულისხმოა. როგორც ჩვენში შვრებიან, ისე ევროპიელი არას დროს არ იყიდის აბრეშუმს. ყოველი აბრეშუმი, პარკია იგი, უბრალო შულო, თუ დართულ-დაგრეხილი ან გამოხარ-შულ-შეღებილი ძაფი, მან უსათუოდ უნდა გაატაროს ეგ-რედ წოდებულ კონდისიონში(Conditions de soie). იქ აბ-რეშუმს შეამოწმებენ სპეციალისტები, განიხილვენ მექა-ნიკურად, ფიზიკურად და ქიმიურად ყოველივე მის ღირ-სებას თუ უვარგისობას და მისცემენ „ხარისხს“ (ტიტრს – titre) რის გამო ეძლევა აბრეშუმს გადაწყვეტილი ფასი. ამ რიგად არც მყიდველი ტყუვდება და არც გამყიდველი.

ახლა ვი კითხოთ, თუ რაა ეს კონდისიონი. როგორც ვიცით, აბრეშუმი ბევრნაირია. განსხვავდებიან ერთი-მეო-რისაგან სინაზით, ელვარებით, სიმაგრით, სიმსახრით, ძა-ფის სითანასწორით, სისხო-სიწმინდით, წებოს სიმრავლით და სხ. ყველა ამაებს დაწვრილებით შეტყობა უნდა და, იმისდაგვარად კარგი მხარეები სჭარბობს თუ ცუდი, აბრე-შუმის ფასიც მატულობს ან კლებულობს. გარდა ამისა

რადგან აბრეშუმი ძვირია, ბევრი უსინიდისო გამყიდველი წონისათვის აბრეშუმში ურევს შაქარს, ზეთებს და სხვა მრავალ ორგანიულ და მინერალურ ნივთიერებათ. ყველა ამაებს ეჭირვება შეტყობა და განშორება. ეგრეთვე რაიცა ფრიად საგულისხმოა, აბრეშუმი ითვისებს (ისვავს) ჰაერი-დან კარგა ბლომა წყალს (წყალს ურევენ ეგრეთვე), ასე რომ ხმელს ჰავაში ან გვალვიან დარებში აბრეშუმს ნაკ-ლები წონა აქვს (რადგან შიგ ნაკლები წყალია), ავდარ-ში ან ნესტიან ჰავაში კი იგივე აბრეშუმი სიმძიმეს ბევ-რად მატულობს. ეს იმის ნიშანია, რომ წყალი შეუსვავს. ჩვენ შეგვიძლია განვაშოროთ ეს წყალი და სიმძიმეც მო-აკლდება.

ასე რომ აბრეშუმის ნაკლ-ღირსებათა შეგნება და სიმართლით დაფასება ისე ძნელია, რომ ყველა კაცს ის არ შეუძლია. ამისათვის საჭიროა მანქანები და აპარატე-ბი, საჭიროა მათემატიკის, ფიზიკის და ქიმიის ცოდნა, სა-ჭიროა პატიოსანი პირნი, ერთი სიტყვით საჭიროა სარ-წმუნო და სპეციალური დაწესებულებანი, სადაც შეიძლე-ბოდეს გამოიცნონ აბრეშუმი, განწვლილონ, შეიგნონ მისი ცუდი და კარგი მხარენი,მისცენ გარდაწყვეტილი ტიტრი

და მით არც მყიდველი დაჩაგრონ და არც გამყიდველი. მართლაც ევროპის მრავალ ქალაქებში უკვე დააარსეს ამ-გვარი დაწესებულებანი და უწოდეს კონდისიონ-დე-სუა, ე. ი. აბრეშუმის ღირსებათა შემტყობი. ამ .დაწესებულებათ დიდი სარგემლობა მოუტანეს ევროპის მეაბრეშუმობას და კერძოდ აბრეშუმის ინდუსტრიას: ანთავისუფლებენ სამჩნევად მსოფლიო ბაზარს აბრეშუმის ფალსიფიკაციიდან, უწყვეტენ ყოველ წლობით დადგენილ ფასს აყენებენ მისს ვაჭრობას პატიოსან ნიადაგზედ. ერთ ანგარიშიდან ვგებულობთ, რომ მარტო ლიონის კონდისიონს 1805 –

1877 წლამდე მოუტანია აბრეშუმის ვაჭრობისათვის 1341 მილიონი ფრანგი სარგებლობა, თითონ კი შრომის ქირად წაუღია მხოლოდ 14 მილიონი ფრანკი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამწუხაროდ ჩვენში ვერ ვამჩნევთ ამგვარ რამეს. სასურველი კია, რომ მთავ-რობამ მოიწადინოს და დააარსოს კავკასიაში ერთი კონ-დოსიონი მაინც (შეიძლება დაარსდეს თბილისში (მუშტა-იდში) სააბრეშუმო სადგურთან), მით მისცეს ყოველ წლო-ბით ჩვენს აბრეშუმს გარდაწყვეტილი ფასები და ალაგმოს ჩარჩები და უსინიდისო ვაჭრები, რომ ერთი მხრით იხსნან ჩვენი საბრალო მწარმოებელნი მათ ხრიკებიდან და მეორე მხრით აუმაღლონ სახელი და ფასი. კავკასიის აბრეშუმს მსოფლიო ბაზარზედ, სადაც ჩარჩების წყალობით ჩვენი აბრეშუმის ღირსება და სახელი ძლიერ დაცემულია. მე დარწმუნებული ვარ, რომ, როგორც ევროპაში, ისე ჩვენ-შიაც ამგვარი დაწესებულება მოიტანს აურაცხელს სარ-გებლობას.

პირველად კონდისიონი დაარსდა იტალიაში (ქ. ტუ-რინში) 1750 წელს. 1779 წელს როსტ-მოპამ დააარსა ლიონში (საფრანგეთში) მეორე კერძო კონდისიონი. მათ წაბაძეს სხვა სახელმწიფოებმა და ქალაქებმა. საფრანგეთში გამრავლდა კონდისიონები და, ვინაიდგან მათ ჰქონდათ კერძო ხასიათი, წასძლიათ სულმა, ანგართ-მოყვარებამ და იწყეს სიცრუე-მაცდურობა, რომ მით მეტი ფული ეღოთ. ამის შესახებ ლიონის შამბრ-დე-კომერსმა (ე. ი. სოვდა-გართა საზოგადოებამ) 1803 წელს იშუამდგომლა მთავ-რობის წინაშე, რათა მას მიეღო თავის თავზედ ყველა კონდისიონები, ჩაეყენებია მცოდნე, სინდისიერი პირნი და მით აელაგმა თავხედი ვაჟბატონები. მთავრობამ შეი-წყნარა ეს თხოვნა და გახდა პატრონი კონდისიონებისა,

რომელნიც მის შემდეგ დაადგენ პატიოსან და სამართლიან გზას. ამ ჟამად არსებობს:

საფრანგეთში .	14	კონდისიონი.
იტალიაში .	11	„
გერმანიაში .	2	„
შვეიცარიაში .	2	„
ავსტრიაში .	1	„
ინგლისში .	1	„
სულ	31	„

ყველა ამ ქონდისიონების მოდელად შეიქნა ლიონის კონდისიონი, რომელიც თავის სიდიდით და მოწყობილობით სჭარბობს ყველას და რომელშიაც ყოველ წლობით ისინჯება 5 – 6 მილიონი კილოგრამი აბრეშუმი ანუ ერთი მესამედი მთლად იმისა, რაც მთელს ევროპაში. ევროპაში გაყიდული აბრეშუმი თითქმის ორჯელ გაივლის ხოლმე კონდისიონში, ასე რომ, როგორც ვიცით, ევროპაში ყოველ წლობით იყიდება 10-11 მილიონი კილოგრამი აბრეშუმი, კონდისიონში კი ისინჯება 15-16 მილიონი კილოგრამი. მოგვყავს აქ ევროპის უმთავრეს კონდისიონებში გასინჯულ აბრეშუმის რიცხვი:

	1887 წ.	1888 წ.
ლიონი (საფრანგეთი)	4.817.587 კ-მი	5.183.520 კ-მი
სანტ-ეტიენი (საფრანგ.)	1.043.390 „	1.319.518 „
კრეფელდი (გერმანია)	467.868 „	581.525 „
ელბერფელდი (გერმანია)	258.721 „	296.349 „
მილანი (იტალია)	3.830.250 „	4.538.305 „
ტურინ-ი (იტალია)	608.025 „	617.839 „
ციურიხი (შვეიცარია)	1.004.790 „	1.152.284 „
ბაალი (შვეიცარია)	448.663 „	545.162 „
სულ	14.129.8026 „	16.054.205 „

	1887 წ.	1888 წ.
ამ რიცხვში ნედლ შულო		
ძაფად გაუსინჯავთ	6.853.045 კ-მი	8.018.273 კ-მი
და დამზადებულ-დამუშავე-		
ბული ძაფი კი	7.276.757 „	8.025.932 „ [1])

აი, რა რიგად უმატნია ლიონის კონდისიონში აბრე-

შუმის გასინჯვას:

წლები.	კილოგრამი.	
1805	422.676	დამზად. აბრეშუმი
1825	566.020	„
1850	2.066.662	ნედლი და დამზ. აბრ.
1860	2.896.483	„
1867	3.222.805	„
1877	3.399.711	„
1888	5.183.520	„ [2])

აქვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ გარეშე აბრეშუმის რიცხვს ძლიერ უმატნია საფრანგეთში.

მაგ. 1842 წ.	(შემოს.)	15.44% 1	868 წ.	(შემ.)	75.66%
1850 წ.	„	25.64%	1877 წ.	„	86.05%
1860 წ.	„	56.10%	1888 წ.	„	87.30% [3])

ახლა ვიკითხოთ, თუ რაში მდგომარეს კონდისიონში გასინჯვა აბრეშუმისა? პირველად ოკვლევენ სინესტეს, ე. ი. თუ რამდენი წყალი შეუსვავს აბრეშუმს, შემდეგ აბრეშუმის ნამდვილ სიმძიმეს; შემდეგ ხარშვენ აბრეშუმს და იგებენ, თუ რამდენი წებო ჰქონებია; მასთან აც-

---

[1]) 1იხ. L. Vignon: „La soie“, 1890. p. 352.

[2]) Ibid. p. 350.

[3]) Ibid. p. 351.

ლiან საპნით ქურდულად მიმატებულ სხვა და სხვა ორგანიულ ნივთიერებას. მას შემდეგ უშვრებიან ქიმიურ ანალიზს და იგებენ, თუ რა მინერალური ნივთიერებანი მიუმატებიათ აბრეშუმისათვის. ბოლოს არის ტიტრაჟი, ე. ი. შეტყობა ძაფის თანასწორობისა, სიმაგრის, სიმსხო-სიწმინდისა სინაზე-სიელვარისა და სხ. და სხ.

უმჯობესია შევაღოთ კონდისიონის კარები და ვნახოთ, თუ რა ხდება შიგნით. პირველად დაგხვდებათ ფრიად ვრცელი საწყობები, რომლებიც სავსეა გასაშინჯად მოტანილ აბრეშუმით; ახვალთ ზეით და ვეებერთელა შენობა სავსეა ქალით და კაცით, ე. ი. მოხელე-სპეციალისტებით, რომელნიც მუშაობენ გამალებით. ერთ განყოფილებაში აწყვია რამდენიმე დესსiკaტორები (სახმობი, ანუ საშრობი

მანქანები) Dessiccateur Tabalot-Persot-Rogeat), რომ-
ლებშიაც აშრობენ აბრეშუმს და იკვლევენ შესმულ წყლის
რაოდენობას. მეორე განყოფილებაში შვრებიან დეგრესაჟს,
ე. ი. ხარშვენ და აცლიან აბრეშუმს წებოს და ქურდულად
მიმატებულ ორგანიულ ნივთიერებათ, ამ რიგად ტყობი-
ლობენ ძაფის ნამდვილ წონას. მესამეში უშვრებიან აბრე-
შუმს ქიმიურ ანალიზს ან სწვავენ და ნაცრით გებულობენ
მიმატებულ მინერალურ ნივთიერებით, ან რეცხენ ალკო-
ჰოლით (სპირტით), ბენზინით, ეთერით, ან გოგირდ-მა-
ნახშირით და გებულობენ სხვადასხვა მიმატებულ ნივ-
თიერებათ. მეოთხე, მეხუთე და მეექვსე განყოფილებებში
შვრებიან ტიტრაჟს, ე. ი. იგებენ აბრეშუმის სიმსხოს, სი-
მაგრეს, თანასწორობას და სიმსახრეს. ყველა ამაებისათვის
არსებობს რამდენიმე აპარატები და მანქანები. მაგ., ძაფის
სიმაგრეს და სიმსახრეს იგებენ სერიმეტრით (sérimètre),
დართულ-დაგრებილ აბრეშუმის გრეხილის რიცხვს იგებენ
კონტერ-დაპტერით (compteur d'appêts), დაკიდაჟი, მუ-

ლინაჟით და მათემატიკურ ანგარიშით იკვლევენ ძაფის სის-
ხოს, თანასწორობას და სხ. ამ რიგად შეიტყობენ თავი-
დან ბოლომდე აბრეშუმის ყოველივე ნაკლსა და ღირსე-
ბას. [1])

---

[1]) ლიონში ყოფნის დროს, (სადაც დავჰყავით ერთი წელიწადი),
ჩვენ მოგვეცა შემთხვევა დაგვეთვალიერებია ლიონის კონდისიონი,
რომელიც უპირველესია მთელს ქვეყანაზედ. მისმა დირექტორმა მეტად
თავაზიანად მიგვიღო ხუთი მოსწავლე ქართველი. აგვიხსნა დაწვრი-
ლებით კონდისიონის მნიშვნელობა, აბრეშუმის თვისებანი და შემ-
დეგ თითონვე დაგვატარა ყველა განყოფილებანი და აგვიხსნა თვალ-
და-თვალ ყოველი აპარატ-მანქანის მნიშვნელობა. სხვათა შორის
გვაჩვენა შვენიერი მუზეუმი, რომელშიაც თვალად იხილავს ადამიანი
ყველა გვარ აბრეშუმის ჭიის ბიოლოგიას და სადაც მოგროვილია
ყოველი ქვეყნის აბრეშუმის და ყვითელი ჯიშის პარკების ნიმუშები;
სხვათა შორის პატივცემულმა დირექტორმა გადმოგვიღო და გვაჩვე-
ნა ვითომც ქართულ აბრეშუმის ჯიშის პარკები, რომლებიც გაეგზავ-
ნა ერთ სომეხს; მაგრამ ქართულ ჯიშის ნაცვლად ჭიქაში ეყარა
ბაღდადის ჯიშის დაჭყლეტილი ცუდი პარკები. ჩვენ ეს შევნიშნეთ,
რაზედაც დირექტორმა ძლიერ გვთხოვა ქართული ჯიშის პარკები.
რადგან ჩვენ ამ ჟამად ვიმყოფებით ევროპაში და არ გვაქვს საშუა-
ლება შევასრულოთ დირექტორის თხოვნა, ამიტომ სასურველია
ძლიერ, რომ რომელიმე ჩვენი მეაბრეშუმეთა ამხანაგობა ან კერძო

პირი დაგვდებდეს პატივს და გამოგვიგზავნიდეს დირექტორის გადასაცემელად (ან პირდაპირ გაგზავნიდეს ლიონში ამ ადრესით: France, Lyon, Conditions de soie à M-r le Direcreur) პაწია შულო კარგად ამოღებულ აბრეშუმს და ჭიქით ერთ-ორ გირვანქის ოდენას ქართულ ჯიშის კარგ პარკებს. ჩვენი ადრესი: France, Montpellier (Ha-Rault) rue Marioge, 4. Simon Kveriani.

VIII

აბრეშუმის ინდუსტრია.

1. მულინაჟი ანუ უკრეზონი, ე. ი. აბრეშუმის დართვა-დაგრეხა. მულინაჟი შეადგენს განსაკუთრებით დარგს აბრეშუმის ინდუსტრიაში და აქვს თავის საკუთარი ქარხნები და მანქანები. იგი არის ერთი უუმთავრესი საჭიროება აბრეშუმის მრეწველობაში. უიმისოდ ძაფი იქნებოდა ბევრად სუსტი, უღონო და მრავალ კეთილ თვისებებს მოკლებული. მულინაჟი ართავს, გრეხს აბრეშუმის ძაფს და მით აძლევს მას დიდ სიმაგრეს და გამძლეობას, სწმენდს და მით მოსავს ელვარებით. ამის-და მიხევით მულინაჟი იყოფა ოთხ ნაწილად (ოპერაციად).

1) დევიდაჟი ე. ი. ლოტრებზედ დახვევა შულო ძაფისა და დასართავად დამზადება.

2) დართვა სათითაო ძაფისა.

3) ერთად დართვა-შეგრეხა ორ უკვე დართულ დაგრეხილ ძაფისა და მათი ლოტრებზედ დახვევა.

4) რაოდენიმე დართულ ან დურთველ ძაფების ერთად დართვა-შეგრეხა, ლოტრებზედ დახვევა, ანუ ისევ შულოდ გარდაქმნა.

ერთს ძაფს მარტოდ დართულ-დაგრეხილს ჰქვიან პუალი (ბეწვი). მას ხმარობენ თხელ წმინდა ფარჩეულის საქსოვად. ორს ან რამდენიმე ძაფს ერთად დართულ-შეგრეხილს ჰქვიან ტრამი. (ე. ი. ჩასაქსოვი ძაფი), და ცალ-ცალკე დართულ-დაგრეხილს ძაფს კი, რომელთა შორის შემდეგ კიდევ ორს ან რამდენიმეს ერთად ართავენ და

გრეხენ, ეწოდება ორგანსენი (ქსელის ძაფი). მას ხმარობენ მხოლოდ ქსელისათვის და ღირს ყველაზედ ძვირად.

დიდი ხანია წავიდა ის დრო ევროპაში, ძვირფასო მკითხველო, როცა ჩვენებური ტრადიციული ჯარა, ფირფიტა, თითისტარი იყვნენ ერთად ერთი სულის ჩამდგმელი მანქანები მულინაჟისა. დღეს მათი ხსენებაც აღარ არის.

დღეს მათ მაგიერ ორთქლით, გაზით ან ელექტრონით ტრიალებენ საოცარის სისწრაფით რგვალი ან წოწოლა სართავი და საგრეხი მანქანები (moulin rond ou ovale) თითო მათგანი დაყოფილია სართულებად, ართავს, გრეხს და ახვევს ერთ დროს რამდენიმე ასს შულოს ან ლოტრა ძაფს.

ძაფის სახვეწი და სახვევი მანქანები კიდევ ცალკეა. როგორც ვსთქვით, პუალს ხმარობენ წმინდა, სუბუქ ნაქსოვთათვის, ტრამს ყოველ ქსელის ჩასაქსოვად, ორგანსენს-კი ქსელად. ქსელის ძაფი მუდამ საუკეთესო უნდა იყვეს, უკეთესი ღირსების, უკეთ დართული, უკეთ დაგრეხილი, დახვეწილი და სხვა, რადგან მხოლოდ იგი სჩანს ნაქსოვის ზედა-პირზედ. და მართლაც ორგანსენს განსაკუთრებითი ყურადღება აქვს მიქცეული, მისი ოპერაცია რთულია და ნაზი. მასთან ყოველგვარ ნაქსოვს ეჭირვება თავ-თავის შესაფერი ორგანსენი. ე. ი. გლახებს უნდათ ერთგვარი ორგანსენი, ატლასებს მეორე გვარი, ხავერდს მესამე გვარი და სხვ. ერთს ეჭირვება ძლიერ შეგრეხილი, მეორეს კი უფრო ფამფო, და სწორედ ამისდა მიხედვით ამზადებენ ორგანსენებს მულინაჟში.

2) ტეინტური ანუ ძაფის გამოხარშვა და შეღებვა.

ტეინტური შეიცავს ფრიად რთულს და ერთ უმთავრეს ნაწილს აბრეშუმის ინდუსტრიაში (la soirie) თუ ტისსაჟი აძლევს აბრეშუმეულს ფორმას, სამაგიეროდ ტეინ-

ტური იძლევა აურაცხელ ფეროვნებას და აკუთვნებს აბრეშუმს ბრწყინვალებას, სინაზეს, სიმაგრეს და სიმსახრესინარნარეს. მართლაც დღეს ქიმიურ და ტეხნიკურ მეცნიერების წყალობით თითქმის არც ერთი ნაწილი ინდუსტრიისა არაა ეგრე განვითარებული, როგორც ტეინტური. განვიხილოთ იგი მოკლედ.

ტეინტური იყოფა ორ დიდ ნაწილად: 1. ძაფის გამოხარშვა და 2. მაფის შეღებვა. თვით ძაფის გამოხარშვა არის სამ გვარი: ა) მონედლო მაფი, ანუ ოდნავ გამოხარშული (sioe crue):, 2) მსახრე ძაფი ანუ საშუაოლოდ გამოხარშული (soie scuple) და გ) სრულიად გამოხარშული მაფი (soie cuite). თვითო ამათგანს აქვს თავთავის ხასიათი, რომელსაც იგინი ათვისებენ ნაქსოვს. მაგ., ოდნავ გამოხარშული ძაფი იძლევა ხმელს, მოტლანქოს და მტკიცე ფარჩეულს; საშუალოდ გამოხარშული ძაფი ჰქმნის საკმაოდ ბრწყინვალე და ნაზ ფარჩეულს, რომელსაც აძლევს აგრეთვე სისქეს და

სიმტკიცეს; სრულიად გამოხარშული ძაფი კი იძლევა უფრო ლბილს, ელვარეს და მსახრე აბრეშუმეულს, რომელიც მასთან მეტად ნაზია და წმინდა.

ახლა ვიკითხოთ თუ რაში მდგომარეობს ძაფის გამოხარშვა. როგორც უკვე ვსთქვით წინად, აბრეშუმის ძაფში იმყოფება 25-30%-დე წებო, რომელიც ეცლება ცხელი წყლით და საპნით. ვინაიდგან ჩვენ კარგა ხანს დავრჩით ლიონში, ამ ევროპის უუმთავრეს სააბრეშუმო ცენტრში და გვქონდა ბევრჯერ შემთხვევა გვენახა და დაწვრილებით დაგვეთვალიერებია, როგორც საქსოვი-ქარხნები, წვრილი საფეიქრონი, მულინაჟი, ურდისაჟი და სხვა, ეგრეთვე ტეინტური ე. ი. საღებავი ქარხნები, ამიტომ გვეძლევა საშუალება ვაუწყოთ მკითხველს ის, რაც თვალით ვნახეთ, რა და რა მანქანები და რა და რა საშუ-

ალებანი არიან ხმარებაში ტისსაჟში, მულინაჟში და ტეინტურში. შევჩერდეთ ტეინტურზედ.

ძაფის გამოსახარშად საღებავ ქარხნებში ხმარობენ გძელ აუზებს ანუ საწნახლებს ხისას ან სპილენძისას, სადაც წყალს ათბობენ ხშირად ორთქლით, რომელიც მილითაა გამოყვანილი ყოველ აუზში. შიგ ჩაჰკიდებენ ძაფს ჯოხით და აბრუნებენ ხელით ან მანქანით. თუ ჰსურთ გააკეთონ ოდნავ გამოხარშული ძაფი, მაშინ წყალში ურევენ 6-8% სოდას და სითბოც არ უნდა იყვეს 40^0 (ცელსიით) მეტი. ამ ძაფს გააჩანჩხალებენ შიგ რამდენჯერმე, რომ მოაშორონ ცოტაოდენი წებო და ჭუჭყი. შემდეგ ამოიღებენ, გაწურვენ ერთგვარ მანქანის საშუალებით, რომელსაც ჰქვია ესორეზი ანუ წყლის მწურავი (essoreuse ou hydro-extracteur) და გაჰკიდებენ გასაშრობად სპეციალურ ოთახში, რომელსაც ჰქვია საშრობი-ოთახი (სეშუარ – séchoir).

თავად ჯაფარა ჯაფარაშვილის წერილი თ-დ როსტომ ერისთავისადმი მინაწერი.

(წარმოდგენილი სიკო კანდელაკის მიერ).

როსტომ ერისთავმა, რომელსაც დიდმა მეფე სოლომონმა თვალები დასთხარა შვიდის თავისის შვილებით, ბევრი ცუდი საქმერ ჩაიდინა, მოინდომა მეფობა იმერეთისა და ისრე მოაწყო საქმე, კიკიანის ფაშის შემწეობით ხვანთქართან, რომ იმერეთში გვარი ბაგრატიონისა მოესპოთ, და მეფობა მისთვის და ლევან აბაშიძისათვის უნდა მიეცათ, და მათ ორ სამეფოდ უნდა გაეყოთ, ესე იგი ოსეთის სამზღვრიდან ვიდრე დადიანისა და გურიელის სამზღვრამდე რიონის წყალი დასდეს სამზღვრად – მარჯვნის მხრით იქნებოდა როსტომ ერისთვის და მარცხნის მხრით ლევან აბაშიძისა. ეს ლევან აბაშიძე იყო მეფე სოლომონის დედის ძმა, რომელიც მოჰკლა გეგელაშვილმა ხრესილის ომში, მეფის და თათრების ბრძოლაში.ეს ორი დიდებული თავადები, უკეთუ გამეფდაებოდენ, სამაგიეროდ ჰპირდებოდენ ხვანთქარს, რომ იმერეთში მაჰმადიანობა უნდა გაევრცელებინათ.

– 2 –

როსტომ ერისთავს ჰყავდა ცოლად კაცია დადიანის ქალი. ჯვარის დაწერის შემდეგ მან ნახა რაჭის თავადის ივანე იაშვილის ცოლი, წულუკიძის ქალი, დიდათ მოეწონა; ნახვისათანავე გადასწყვიტა დადიანის ქალის გაშვება და მისი შერთვა და კიდევაც წაართვა და დაიწერა ჯვარი. დადიანს თავისი შვილი გაუგზავნა, შეუთვალა: უშვილო შეიქმნა და რად მინდაო? ეს სულ განზრახ იყო, ამბობდნენ ვითომ, მას ჰქონდა იმისთანა ბეჭდები, რომ დადიანის ქალი გააუშვილა, რადგან იაშვილის ცოლის შერთვა ჰსურდაო.

როსტომ ერისთავმა დაიჭირა რაჭის თავადი ჯაფარა ჯაფარაშვილი, მოსთხარა თვალები და წაართვა უწერას მჟავე და სხვაი საკალმახე წყლები, იქვე ვაკე ადგილები, ჭაობიანი ლაშეები, მთები.

ამასთანავე წაართვა ონის ციხე და პატარა ქალაქი, რომელიც მისი იყო; ამასთანავე წაართვა მთელი სოფელი გლეხნი გროლისა.

წერეთლებს მიუხტა საჩხერეში, რაოდენიმე ასი უღელი ხარებით და ხვადაბუნებში თავ-ნაყარი პურები დაუფარცხა, თან უძახოდა: თქვენ რა ხელი გაქვსთ, საჩხერე ჩემი წინაპარის კახაბერის ერისთვის იყოო.

სანამ წერეთლები ჯარს შეჰკრებდენ საომრად მან
კიდევაც გადაფარცხა მრთელი ხვადაბუნები და წა-
ვიდა.

ოდესაც მას შვიდის თვისის შვილებით მეფემ
თვალები დასთხარა ვაკე იმერეთში, სოფელს გეგუთში,
თავად ლევან იაშვილის ოჯახში, მაშინ მეფემ ერის-
თავი პაპუნა წერეთელს აჩუქა, რაც გინდა ის უყა-
ვიო.

– 3 –

პაპუნამ რასაკვირველია დრო იხელთა, შესვა ვირ-
ზედ როსტომ და საჩხერეს გაგზავნა წერეთლების ცი-
ხეში, რომელიც სახელწოდებული იყო მოდანახეს ცი-
ხედ. დაამწყვდია შიგ, სასმელ-საჭმელი, ქვეშსაგებელი,
როგორც ეკადრებოდა როსტომ ერისთავს ისრე მიუჩინა
და ერთი თვისი ფარეშიც ამსახურა. ეკკლესიაზედ გა-
მოჰყავდათ თვით პაპუნას სასახლეში. განვლო ზამთარმა,
მოაღწია აღდგომის კვირემ, ესე იგი ბზობის დღეს
ნაწირვებს უთხრა პაპუნამ როსტომ ერისთავს: შინ გა-
გიშვებ, მაგრამ მეშინია, ხვადუბუნები რომ დაფარცხოო.
როსტომმა უთხრა: პაპუნა, რაც ვქენი, ის ვქენი და
ამასაც არ დავფარავ, რომ დრო შემრჩენოდა, მეტიც
მინდოდა. პაპუნამ იმავე დღეს თავის ცხენზე შესვა,
ათი პირველი აზნაურები აახლო და გაუშვა თავის
ოჯახში, რაჭას.

შეიტყო როსტომისაგან თვალებ-დათხრილმა თა-
ვადმა ჯაფარა ჯაფარაშვილმა როსტომის ბარაკონში
მისვლა, მიულოცა აღდგომის დღე და შანის მოგებით
შემდეგი მისწერა:

სწორედ წესი არს ბრმისათვის: კაცნი ჯოხით
წინ უძღოდენ,
ვეღარ ნახავ იმ დიდებას, შენთან უხვად ყმანი რბო-
დენ!
მე მომთხარე თვალი, მაგრამ შენც მოგეგო ესეოდენ,
მეც წამახდინე, შენც წახდი, ქრისტე აღსდგა, გიხა-
როდენ!

–

– 4 –

შენ მოგენიჭა, რაც გქონდა სესხი და განავა-

ლები,
მე ერთს მომთხარე, მაგრამე შენ რვას დაგთხარეს თვა-
ლები,
ჩაგიტყდა ხიდის კარები და გაგიუქმნდა ხმალები,
ვახ, საყვარელო, მიხარის, ვიმღერ და არ მებრალები!

–

დაგექცა ციხე ბარაკონს, კოშკები ხიდის კა-
რისა,
დაგექცა ციხე სევისა, საქროლი ქვენა ქარისა,
დაგექცა ამბრალაურის კოშკები ციხის გვარისა,
აწ ხელთ იპყარი ჯოხი და ტომარი სათხოვარისა!

–

სულ გაგიწყვიტყს ყველაი, რაც გყავდა ჯოგი
ირმები,
აღარ გყავს მხნენი ხუთასი, მარად თავს მდგომნი გმი-
რები;
სულ გაგიუქმდა ყველაზედ ბრძანება დანაპირები,
სრულად გაგიქრა მოლხენა და ტკბილი ძილის პი-
რები.

–

გაგიქრა უდაბნოები მწირველ-მლოცველი ბე-
რები,
გაგიქრა ყმანი მებეგრე, რიცხვით ორ-სამჯელ ბევ-
რები,

დაგიფშვნეს ბეღელ-მარნები ათასიანი ქვევრები,
გასწყვიტეს ჯოგი ძაღლისა ნაგაზ-მეძებარ-წევრები.

–

გაგიქრა გულის წადილი, ჩვეულებრივი ქვე-
ლობა,
წაგართვეს ჯოგი ოცს ადგილს, ვერ იტევს მთა და
ველობა,
გაგიქრა აზრი მაღალი, შორით გაჭვრეტა, გველობა,
გაგიქრა ქვეყნის დანახვა, ცოლ-შვილი'ს შემხედვე-
ლობა.

–

ცოლი გითრიეს ფეხითა, შვილები აგიწივლესო,
სამოცი გამდელ-მოახლე აგიჩხივლ-აგიკივლესო,
ვერავინ ნახვენ შენმიერს ნაბოძებ-დანაპირებსო,
ასრე გაგიქრა დიდება, მამალიც ვერ იყივლებსო!

–

ეხლა ვერ იზამ ვერასფერს რომ აკრაჭუნო კბი-
ლები,
არ გყავს იარაღთ-ჩამჯდარი, მარად თავს მდგომნი გმი-
რები,
აღარ გყავს ასი ულაყი ძვა-შეღებილი, დიდები,
ესენი ყველა წაგართვეს და დაგიმტვრიეს ხვირები.

–

მიგცეს სარდალსა წერეთელს, შინ წაგიყვანა ვი-
რითა,
შენი ლები და საბანი წაგაღებია ტვირთითა,

ჰფიქრობდი შენსა წასრულს დროს, მაგრამ ვერ თქმი-
დი პირითა,
ვახ, საყვარელო, შანს გიგებ, ვცეკვავ და ვზივარ ლხი-
თა!..

–

ონისა ციხე წამართვი და ზედ პატარა ქალაქი,
წამართვი გლეხნი გროლაშიდ, ხურო, დურგალი და-
ლაქი,
მაგრამე შეგრჩა ყველაი, რომ მომერიე ძალათი,
აწ ბრმა ხარ, სოფლად ითხოვე, მკლავს წამოიცვი კა-
ლათი.

–

უწერას წყლები წამართვი, ვაკით, ჭაობით, მთე-
ბითა,
ცა ქუდად, მიწა ქალამნად, იყავთ და ვერ იქნებითა!
დიდო როსტომო, შეგძახდენ, ვეღარ გაძეხი ქებითა,
ამდენს ხანს როგორ ცოცხალხართ, მიკვირს, რომ აღარ
კვდებითა!

–

წერეთლებს სოფლად მიუხთი, და დაუფარცხე
პურები,
შესძახდი, თქვენ რა ხელი გაქვსთ, ჩემი არს ხვადა-
ბუნები!
ბოლოს მათ ხელში შთავარდი, მოძალე, მონამდუ-
რები,
და დაგამწყვდიეს ციხეში, იყავი კარ-დაგდულები.

–

იაშვილს ცოლი წაართვი, მისი კეკლუცი თა-
მარი,
ტანს ეცვა სტავარ-დიბისა და წელსა ოქროს ქამარი,
ედემს აღზრდილი, ნარნარი, ყოვლის შვენებით საკ-
მარი,
ცოცხლაღ წარწყმიდე თამარი და გაუთხარე სამარი.

–

დადიანს შვილი დაუგდე, რით დაუწუნე ქა-
ლობა!
იაშვილს ცოლი წაართვი, ჰქმენ სჯულის გარდა-
მავლობა,
იგი ატირე,შენ გქონდა მაყრული და სხვა გალობა,
მაგრამე შეგრჩა ძალითა, გქონდა მძლე განმავალობა.

–

შენს ფრინველებს უნდებოდა შესაჭმელად დღეში
ხარი,
შენს ეზოში ზენა-ქვენას გააჩენდა მათი მხარი,
გახსოვს, თვალი რომ დამთხარე, ძალადობით შემი-
პყარი,
შენც ღმერთმა არ შეგარჩინა, რომ წამართვი მთა და
ბარი!

–

ლაღი, ამაყი, შენც იყავ, ვით გოლიათი მგრგვი-
ნავი,
არ ხარ და ვეღარც იქმნები ვეღარა რასი მხილავი,

დღე-ღამეს ვეღარ განარჩევ, მწუხრ იყოს თუ სახმი-
ლავი,
ყველა შენთვისა ფუჭე არს ხილული და უხილავი!

–

რად არ დასჯერდი, რომ იყავ დიდი დიდების
მფლობელი?
არა დასჯერდი,შეიქმენ სამეფოს შვა გამყოფელი,
მაჰმადის სჯულის ერთგული და ჩვენის სჯულის მგმო-
ბელი,
ეხლა კი დარჩი ყველასგან საქიქელ-საბასრობელი!

–

მე მომთხარე თვალი, მაგრამ
შენც მოგეგო ესეოდენ,
მეც წამახდინე, შენც წახდი,

ქრისტე აღსდგა, გიხაროდენ!

ამ დღის მოხარული თავადი ჯაფარა ჯაფარა-
შვილი.

მ ა ს ა ლ ე ბ ი

ქრისტისნობის დაცემის და ისლამის სარწმუნოების გავრ-ცელების ისტორიისა დასავლეთ საქართველოში

გაგრძელება *)

სიკვდილის წინად ძნელაძემ შვილები დაიბარა და უთხრა:

– ეს არის, ვთავდები, ვჰკვდები, აქ ბევრი ვეწვალე, ბევრი ვიტანჯე, ჩემის სულის გულისათვის დავჰკარგე ყველაფერი, ჩემი მამა-პაპის მამული ოსმალებმა წამართვეს შარებით და მისცეს იმათ, ვინც ადვილად გამაჰმადიანდენ. მე თქვენ ყელები დამჭერით, ცალიერი გამიშვით, ჩემის გულისათვის ოსმალებმა თქვენც არაფერი მოგცეს, რად-განაც ჩემი ჯავრი სჭირდათ. ეხლა მე ვჰკვდები, ვჰკვდები დილის მწუხარებით და ჩემის მამა-პაპის სჯულზე, რომე-ლიც მე დიდის ტანჯვით შევინახე. ეხლა ჩემი მწუხარება ის არის, რომ ჩემის სიკვდილის შემდეგ ჩემი დამარხვა, ვაი თუ ქრისტიანულის წესით არ მოხდეს! თქვენ გამაჰ-მადიანებული ხართ და მაჰმადიანურად დამმარხავთო. სიკვდილისას ბევრი იტირა ამან, ბევრი ეხვეწა თავის ნა-

---

*) იხ. კრებული № VI, 1899 წ.

თესავებს, რომ ქრისტიანულად დამმარხეთო, ამათ ფიცი მისცეს, რომ მღვდელს მოვიყვანთ და ისე დაგმარხავთო. ამ დაპირების შემდეგ ძნელაძე გარდაიცვალა.

მიცვალებულის ძნელაძის ნათესავები წავიდნენ ართვინში და იქიდან მღვდელი მოიყვანეს. მღვდელმა უწიმრ-ულოცა და როცა მიცვალებული წაიღეს, მაშინ ზოგიერთმა ახალ გამაჰმადიანებულმა უყვირეს:

– მღვდელო, უნათე, მღვდელო, უნათეო და სხვანი ანასუნი იმის მამას, ქოფაკს. წაიღეს და აი, ამ პატარა ეკკლესიაში დამარხეს. რა უჭირდა, ბატონო, რომ გამაჰმადიანებულიიყო? ან ჩვენ რაზე დაგვღუპა და იმოდენა მამულები რაზე დაჰკარგა, ჩვენ რად ჩაგვაგდო ამ დღეში და ან თვით რას იტანჯებოდა? ხომ ნახა, რომ გამჩენელ ღმერთის ბრძანებას ვერას უზამდა! ის არ გათათრდა,მინამ ცოცხალი იყო, აქა იქ თითო-ოროლა კაცს კიდევ ეკავა ქრისტიანის სჯული და ის რომ მოკვდა, მის შემდეგ-კი მაჭახელში ერთი კაციც აღარ დარჩენილა, ყველა გამაჰმადიანებულა და საქმეც დაწყნარებულა და მორჩენილა.

ზედა აჭარის გამაჰმადიანება

(ნაამბობი ს. ნიგაზეულში ყად ნუსი ეფენდი ბერიძის მიერ და სხვათა მაჰმადიანთ ქართველთა, სულეიმან გელაძის გურჯ-ოღლის მიერ).

ქვედა აჭარაში თათრობა უფრო ადრე შემოსულა, ვიდრე ზედა აჭარაში. ახალციხის მხარეში-კი უფრო ადრე მოფენილა მაჰმადის სჯული, ვინემ ზედა აჭარაში, სხალტის ხეობაზედ, ტბეთის ხეობაზედ, შავშეთამდის. ახალციხიდან თათრობა უფრო არდანუჯისკენ და არტაანისკენ გაუვრცელებიათ; მცირე ხნის შემდეგ შავშეთსა და იმერხევშიაც შემოუტანიათ და ამას აქეთა მხარე აღმოსავლეთის აჭარის ნაწილი-კი დარჩენილა ქრისტიანობაში. ამათ კარგა ხანს შეუნახავთ თავი ქრისტიანობით, მაგრამ ბოლოს საქმე გასჭირვებიათ, რადგანაც ესენი შუაში ყოფილან მომწყვდეული და გარშემო-კი სულ ახლად გამაჰმადიანებული ქართველები ჰყოლიათ შემორტყმული. ამათი საქმე მაშინ გაჭირვებულა, როცა ქვედა აჭარის ერთი ნაწილიც გამაჰმადიანებულა და აქედან ნელ-ნელა ზედა აჭარის ზოგიერთ სოფლებშიაც შეუპარებიათ. ყველაზედ მაგრად ქრისტიანობაზედ ს. დანდალოს ხალხი მდგარა, მაგრამ მალე აქაც შეუტანიათ ძალადობით. დანდალოდან წასულა აღმოსავლით და სხალტის სოფლებს მიახლოვებია, მაგრამ სხალტის გარშემო და ხულის ხეობაში კი ეს ადვილად ვერ შეუტანიათ. აქ ხალხი მეტად გამაგრებულა. აქ ისე გამაგრებულან, რომ ოსმალოს ჯარს გარდა ამათ თვით ახალ გამაჰმადიანებულის ქართველების წინააღმდეგაც დაუწყიათ ბრძოლა. ამ ბრძოლაში დიდის გმირობით უბრძოლიათ დანდალოს ხალხსა და ხულისას. დანდალოში ოსმალოს ჯარიც ყოფილა,

ამათ დაუქცევიათ დანდალოს ეკკლესია. დანდალოს ეკ-
ლესიის დაქცევა ძლიერ სჯავრებია ხულის ხეობის ხალხს
და ამიტომ ამათ ოსმალოსთვის არამც თუ მარტო მუს-
ლიმანობის გულისთვის გამოუცხადებიათ წინააღმდეგობა,
არამედ თვით იმ ოსმალოს მფლობელობისათვისაც, რომ
ჩვენ თქვენი მორჩილება არ გვინდაო.

ოსმალთ, რა უნახავთ საქმის გაჭირვება, ამათ ხუ-
ლის ხეობისთვის თავი დაუნებებიათ და მიუმართავთ სხალ-
ტისა და ტბეთის მხრის სოფლებისათვის: აქ ამათ მოწი-
ნააღმდეგენი არავინ აღმოუჩენიათ. ორივ ამ მხრის ხალხს
ოსმალოსთვის ძლიერ მალე დაუკრავს თავი. ტბეთის

ეკლესია მალე გაუქმებულა, სამღვდელონი აქ აღარ
ყოფილან და საეკკლესიო ნივთები. აქ გამაგრებული
ოსმალონი სხალტისკენ წასულან, აქ შეუსყიდნიათ სხალ-
ტის მოწინავე კაცები და მათის დახმარებით შესულან
ხულოში; ამ მხრის ხალხისათვის დამდგარა დიდი განკითხ-
ვის დღე, მაგრამ მაინც ესენი ომს არ შეშინებიან. ამათ
დაუწყიათ ომი და ოსმალოს ჯარისათვის ბევრიც უვნიათ,
მაგრამ ბოლოს მაინც დაჰმორჩილებულან ოსმალთ. მა-
შინათვე დაუწყიათ აქ სჯულის გამოცვლის შესახებ ლა-
პარაკი და უთქვამთ ასე: – თუ სჯულს გამოიცვლით, ხომ
კარგი, თუ არა და იცოდეთ, რომ ჩვენ თქვენ აქ აღარ
დაგაყენებთ, თქვენს მოწინავე პირებს თავებს დავსჭრით
და დანარჩენს ხალხს კიდევ შამასკენ გადაგრეკავთო.
ბევრი მაინც მაგრად მდგარა, ბევრს შეშინებია და ბრძა-
ნებას დამორჩილებიან კიდეც. აქაც მოფენილა თათრო-
ბა და ამის გაძლიერებისათვის დიდად ცდილან ოსმალო-
ნი. ამათ მალე დაუქცევიათ ხულის მშვენიერი დიდი
ეკკლესია ნახევრობაზედ და ხალხისათვის აღუკრძალავთ
კიდევ, რომ ვინც აქ ილოცებს, იმათ ჩვენ, თუ შევუტყეთ
ეს ამბავი, იცოდნენ, რომ სასტიკად დავსჯითო. ხალხს
დროებით მიუტოვებია ლოცვები, ოსმალთა დასამშვიდებ-
ლად, და საქმე დაწყნარებულა. დღეს ხულის ეკკლესიის
საძირკველებზედ გაკეთებულია ხულის დიდი ჯამე; ეკ-
კლესიის საძირკველის სიპი ქვები დღევანდლამდე ეტყო-
ბა. ეს ამბავი ბევრმა მოხუცებულებმა იციან. ხულიდან
ოსმალნი წასულან აჭარისკენ და საცა რამ ეკკლესიები
შეხვედრიათ, სულ უქცევ-უნგრევიათ. ნახევრობაზედ
დაუქცევიათ იმ დროს აგარაში გაკეთებული ძველი მშვე-
ნიერი ეკკლესია. მთელს მხარეში მაჰმადიანობა მოფენი-

ლა და ოსმალოს მოლა-ხოჯებს ხალხისთვის ლოცვების

შესწავლა დაუწყებინებიათ და მალე დარწმუნებულან ქართველთა ნამდვილს მაჰმადიანობაზედ.

მაჰმადიანობის დროსაც ესენი თურმე არ სტოვებ-დნენ ქრისტიანულს წესებს და ყოველს საქრისტიანო დღესასწაულებსაც დღესასწაულობდნენ. მაგალითად აქ აღდგომას ღებავდნენ წითელს კვერცხებს და წაიღებდნენ ხოლმე სხალტის ეკკლესიაზედ და შესწირავდნენ, ხულის ეკკლესიის ნანგრევებთან, აგარის და სხვათა მხრის ეკ-კლესიებთან. ეს ჩვეულება ხულის ხეობაში დღევანდლამ-დე არის დაშთენილი და აქ დედაკაცები დღესაც შეღე-ბენ ხოლმე კვერცხებს და აღდგომა დღეს ზოგიერთ ეკკლესიის ნანგრევებთან მიიტანენ. ქართველთ ქრისტია-ნულ წესების ამბები მალე იქმნა ოსმალთათვის ცნობი-ლი. ოსმალთა სასულიერო პირნი დიდად აღელვდნენ ამაზედ. მათ მოუწერეს ხონთქრის რისხვა სელიმ-ფაშა ხიმშვიაშვილის მამას აბდულ ბეგს, რომ მაგ მხარეში ყველა ეკკლესიები უნდა დაიქცეს და ხალხს აღეკრძა-ლოს ნანგრევებთან სიარული და ლოცვაო, აბდულ-ბეგი ოსმალოს ჯარით დაეცა მთელს ამ მხარის სოფლების ეკკლესიებს და სულ მთლად პირქვე დასცა, დაანგრია; გადარჩა მხოლოდ სხარტა და ტბეთის ტაძარი. ესენი იმ აზრით არ დაუქცევია აბდულ-ბეგს, რადგანაც ამ ეკკლესიის ჯამეთ გადაკეთება ჰსურვებია. ეს ტაძრები მალე ჯამეთაც გადაუკეთებიათ, მაგრამ სხვადასხვა მიზე-ზების გამო ეს ტაძრები ჯამეთ დიდხანს არ დარჩენილან, ხალხს თურმე ცუდი სიზმრები ესიზმრებოდა ამაზე და ამიტომ აქ სალოცავად არ დადიოდნენ. მალე ჯამეები მოიშალა აქ და დატოვებულ იქმნენ. ამ დროებაშიაც აქა-იქ საიდუმლოდ ქრისტიანობდა ხალხი, ერთს და იმავე დროს ესენი მაჰმადიანურს ლოცვებსაც ასრულებ-

დნენ და ქრისტიანულსაც. ეს ამბები ერთმა ოსმალო-დან მოსულმა ქართველმა ხოჯამ შეამჩნია. ამან დაიწყო ჩუმ ქრისტიანებთან მეგობრობა და თავისს თავს საიდუმ-ლო ქრისტიანად აღიარებდა, ესეც სიამოვნებით მიიღეს ჩუმ ქრისტიანებმა და ყველა საიდუმლო ქრისტიანები გააცნეს მას, გააცნეს ჩუმი სამღვდელო პირნიც, რომელ-

ნიც ერის კაცის ტანთსაცმელით იყვნენ მოსილნი. მოლა კარგად დაუმეგობრდა ამათ, თავს ნამდვილ ქრისტიანად აჩვენებდა. ასეთის მოტყუებით მოლამ ჩუმ ქრისტიანების შესახებ ძლიერ ბევრი ცნობები შეჰკრიბა. ამან შენიშნა, რომ ზედა აჭარაში ყველა სოფელში თითქმის საიდუმ-ლოდ ყველა ასრულებს ქრისტიანულს წესებსაო. თუ ვინ იყვნენ აქ ქრისტიანული წესების მფარველნი და მღაღა-დებელნი, ამათი ცნობებიც კარგა სარწმუნოდ შეჰკრიბა, და ბოლოს ეს საიდუმლო ქრისტიანი გადგა თავისს მოძმე ქართველ ჩუმ ქრისტიანებისაგან და ოსმალოს მთავრო-ბას მისცა ყველა ამათზედ დაბეზღება. ამ ამბავმა დიდად გააკვირვა ოსმალნი. დაბეზღებულს მაშინათვე საჩუქარი მისცეს და ხალხის შესაშინებლად და ქრისტიანულის წე-სების მოსასპობად ამათ შემოიტანეს კაცის თავის მოჭრა, კლდიდგან გადაგდება, დარჩობა, დაკუწვა და ათასი სხვანი; მაგრამ ეს ვერ დაინახეს სასარგებლოდ, რადგანაც ყველა ჩუმი ქრისტიანი რომ მოეკლათ, მაშინ მთელი მხრის ორი ნაწილი ხალხი გაწყდებოდა. ამიტომ ესენი სხვა გზას დაადგნენ.

– 15 –

ჭანის ხეობის გამაჰმადიანება.

(ჭვანელის გვათუასაგან ნაამბობი).

სამეგრელოში გვათუამ რაღაც დააშავა. სამეგრელოს მთავარი მას სასტიკად დაემუქრა. გვათუა სამეგრელო-დგან ზეგანში გამოიქცა, სოფელს ჭვანში მოვიდა, დასა-ხლდა, მალე თათრობაც მიიღო. შემდეგ წავიდა სამე-გრელოში, მოტყუებით წამოიყვანა თავისი ცოლ-შვილი და მოყვანისათანავე ყველა ესენი ჭვანში გაათათრა. შემდეგ ამისა გვათუამ საქართველოს გოგო-ბიჭის ტაციაო-ბა გაიხადა საქმედ და ამით ვაჭრობდა თითქმის. ეს დიდს დახმარებას აძლევდა ოსმალთ, რომ ამათ სამეგრე-ლოში მაჰმადის სჯული შეეტანათ და გაევრცე-ლებიათ. უკანასკნელ გვათუები საშინლად წახდნენ და ომის შემდეგ ოსმალეთში გადასახლდნენ. დღეს მხოლოდ ერთი მოხუცი-ღა სცხოვრებს ქვანაში და ესეც გადამეტი მტერი ქართველთა, და დიდათ მოწადინე ქაბაში წასვლი-

სა. ამან მითხრა ასე:

– მე ძლიერ მებრალები, რომ შენ, მაგეთი წმინდა ოსტატი კაცი, სიკვდილის შემდეგ უნდა წაწყმდე. ცოდო არა ხარ შენა, რომ ჯოჯოხეთში წახვიდე? გამაჰმადიანდი, რომ შენი სული სიკვდილის შემდეგ სამოთხეში წავიდეს; გთხოვ, რომ მექაში წამოხვიდე. – გვათუების მეოხებით ბევრი მეგრელი გამაჰმადიანებულა. ესენი თურმე მეამბოხე მეგრელს სამეგრელოდგან თვისკენ იხმობდნენ, ზეგანში ასახლებდნენ და მერე ამაჰმადიანებდნენ. 1790 წლებში ამათ მიუმხრიათ 30 მეგრელი და მალე ყველა ესენი გაუმაჰ-მადიანებიათ, ამათ იქ ცოლები შეურთავთ და მერე სამეგრელოზედ გათარეშება უწყიათ და ტყვეების ტაციობა და ოსმალში გაყიდვა.

– 16 –

(დევრიშბეგ ებჟანიძის ნაამბობი)

სოფელს „ვაიოს" ქართველების გამაჰმადიანებამდე სხვა სახელი ჰრქმევია. ეს სახელი ამ სოფელს შემდეგ დროებში დარქმევია. აი როგორ: „ვაიოს" გაღმა მხრის ქართველნი გამაჰმადიანდნენ. სოფელ „ვაიოს" მხრის სოფლის ქართველნი ხალხნი-კი ქრისტიანად დაშთნენ. გამაჰმადიანებულნი მიეცნენ თათრულს ცხოვრებასა, ზნესა და ჩვეულებას. ქალებმა პირზედ პირ-ბადე ჩამოი-ფარეს, ქრისტიან და გამაჰმადიანებულ ქართველებთან მორიდება დაიწყეს, აღარ ვის ეხვეწებოდნენ. ქრისტიან ქართველი ქალები-კი ყოველთვის პირ-ბადე ახდილნი იყვნენ და ყველას თავისუფლად ეჩვენებოდნენ. ახალ გამაჰმადიანებულ ქართველებს თათრების ყველაფერი მოსწონდათ, გარდა ქართველებისაგან პირის დამალვისა. ამათ ძლიერ ენატრებოდნენ ახალ გამაჰმადიანებული ქალები, რომ ქრისტიან ქართველ ქალებივით პირახდილნი ყოფილიყვნენ. მაგრამ რას იზამდნენ! ახალ გამაჰმადია-ნებულნი ძლიერ ეტრფოდნენ ქრისტიან ქართველ ქალებს.

ერთი გამაჰმადიანებული ქართველი გადაეკიდა ერთ ქრისტიან ქართველის გოგოს, მაგრამ გოგო არ მიჰყვებოდა ამას ცოლად, რადგანაც ეს ეუბნებოდა მას, რომ შენ მაჰმადიანი ხარო. ისევ გაქრისტიანდი და მე მაშინ შეგირთა-ვო. საქმე დიდხანს განეგრძო. ბიჭმა თვალ-თვალება დაუწყო გოგოს. ერთხელ გოგო თავის მშობლებმა წისქვილში გაგზავნეს და თან ხორბალი გაატანეს. გოგო წისქვილში მიმავალმა ბიჭმა დაინახა. გოგოს წისქვილში მისვლისას

რამდენიმე კაცით თავზედ დაეცა და მოიტაცა. ამ მოტა-
ცების დროს გოგომ მორთო ყვირილი, „ვაი, ვაიო!“
მაგრამ მშველელი არავინ გაჩნდა. გოგო გაიყვანეს

გაღმა, ახალ გამაჰმადიანებულ ქართველებში, ძალით
გაამაჰმადიანეს და ბიჭზედ ახტი უქნეს (აქორწილეს).
ზემოხსენებულს სოფელს ამ შემთხვევის გამო დაერქვა
სახელად „ვაი-ვაიო“.

II

სოფ. ვაიოზედ ბევრნი კიდევ სხვა ამბებს ლაპარა-
კობენ. ვაიოში ქრისტიანობის დროს ერთი დიდი მშვე-
ნიერი ეკკლესია ყოფილა, – ერთიც პატარა. დიდი ეკ-
ლესია დაუქცევიათ ახმედ ფაშის დროს და პატარა-კი
დაუტოვებიათ. პატარა ეკკლესიის კედლები დღევანდ-
ლამდის სდგას. ზოგნი ამბობენ, რომ „ვაიო“ მიტომ
დაერქვა იმას, რადგანაც გამაჰმადიანების დროს ხალხი
სულ „ვაის“ ჰყვიროდაო; ზოგნი ამბობენ: ამ სოფელს
ყიზილბაშები დაეცნენ და როცა აოხრებდნენ,
მაშინ ხალხი „ვაის“ ჰყვიროდაო და ამიტომ დაერქვა.
ზოგნი ამბობენ, რომ როცა ქართველებს ამაჰმადია-
ნებდნენ, მაშინ ბევრნი არ გამაჰმადიანდნენ და მოწი-
ნააღმდეგეთ სიკვდილით სჯიდნენო, და ამათი ნა-
თესავები-კი, რომლებიც გამაჰმადიანდნენ და ცოცხალნი
დარჩნენ, თავიანთს ნათესავებს ჰგლოვდნენ და ტი-
როდნენ და ჰყვიროდნენ, „ვაიო, ვაიო", და ამიტომ
დაერქვაო. ზოგნი კიდევ სხვა ნაირად ამბობენ.

და ამის შემდეგ ქრისტიანობისათვის დიდი ტანჯვა
და ვაება სოფ. ვაიოს ხალხს გამოუცდიაო.

დანდალოს გამაჰმადიანება.

(ქართველ მაჰმადიანთ ავალიანთ გვარში დარჩენილი სოფ. დანდალოში)

გლეხნი დასახლებულან, ცხოვრებისთვის მიუყვიათ

ხელი და, როცა კარგა მაგრა დამკვიდრებულან და ფეხი გაუმაგრებიათ სოფელში, მერე თევდორე ავალიანს გამოუცხადებია, რომ სულთანის ბრძანება არის, რომ ჩვენ ყველანი უნდა გავმაჰმადიანდეთო. ხალხს არ უქნია. დიდი მწუხარება ჩამოვარდნილა მოხუცებულებში, ტირილი, ვაება; ზოგს საქართველოში გამოქცევა დაუპირებია, მაგრამ ეს ვეღარ მოუხერხებიათ და ბოლოს ასეთი პირობა დაუდვიათ: ჩვენ მოხუცებულნი ჩვენს სჯულზე დავრჩეთ, დავიხოცებით და დღეის შემდეგ რაც შვილები მოგვეცემიან, ისინი სულ მაჰმადიანის წესით იქმნენ მიღებულნიო. ავალიანი დასთანხმებია. ეს სულთანისათვის უცნობებია, სულთანს ამისთვის დანდალოს ბეგიობა მიუცია. იმ დროიდგან ზემოხსენებულს ხალხში ვინც დაბადებულა, ყველა გაუმაჰმადიანებიათ და თვით მოხუცებულნი-კი ძველის სჯულით დარჩენილან, მაგრამ ამათთვის მოუსპიათ მღვდელი; დანდალოს დიდი ეკკლესიაც დაუქცევიათ. ხალხი დიდს მწუხარებაში ყოფილა ამის გამო ჩავარდნილი, მაგრამ კიდევ მადლობელნი იყვნენ მასზე რომ ჩვენ მოხუცებულნი მაინც დაგვტოვეს ჩვენს სჯულზეო. რამდენიმე ხნის განმავლობაში მოხუცებულნი მთლად მოსპობილან და ახალგაზრდები ვინც ყოფილან, ყველანი მაჰმადიანები და მასთანვე მოყვარენი მაჰმადიანებისა გამხდარან.

ავალიანები დღეს თევდორ-ოღლებად იწოდებიან.

სცხოვრებენ ძლიერ ღარიბად, ზოგნი ამათგანი ოსმალში არიან გადასახლებულნი.

ასეთი საშუალებანი რომ არ ეხმარათ დანდალოს ხალხის გასამაჰმადიანებლად, მაშინ ოსმალნი ამათ წინააღმდეგ ვერას გააწყობდნენ, რადგანაც ეს ხალხი აქ ცხოვრებით და მუშაობით საკმარისად დამდიდრდენ და ყოველ ოსმალის მოხელეს ფულით ათამაშებდნენ, როგორც უნდოდათ. ამათში ქალი, კაცი და პატარა ყოველთვის თავგანწირულად მუშაობდნენ ყანაში, ვენახში და არაფერს ერიდებოდნენ. ახალ გამაჰმადიანებული ქალები კი საქმეს ახლოსაც არ მიეკარებოდენ, რადგანაც ხოჯეზის სიტყვით მათ ქალის მუშაობა მიუტევებელ ცოდვად მიაჩნდათ.

(სოფ. მერისელის ფარან-ოღლი ერისთავის ნაამბობი).

ძალით გამაჰმადიანებული ქრისტიანები თურმე ჩუ-
მად დიდხანს ქრისტიანობდნენ და ესენი საიდუმლოდ
ღორის ხორცსაც სჭამდნენ. იგინი გარეულ ღორებს
ხოცავდნენ თურმე ტყეში, ატყავებდნენ, იქ სჭრიდნენ
ხორცს და მერე შინ მიჰქონდათ. ქვედა მარადიდში ერთ-
ხელ ასეთი შემთხვევა მოხდა: ხოჯას დაუჭერია ხალხი
ღორის ხორცის ჭამაზედ. ამაზედ დიდი დავიდარაბა ამ-
ტყდარა. ხალხი სამართალში მიუციათ და ბოლოს აღმო-
ჩენილა, რომ ესენი ჩუმად ქრისტიანები ყოფილან. მათ
თავიანთი მღვდელიც ჰყოლიათ. მღვდელი ერის კაცის
ტანთ-საცმელით ყოფილა; ამათ ღორის ხორციც უჭა-
მიათ, ღვინოც უწურავთ ხოლმე და მით ზიარებულან
კიდევაც. ამ ამბების შეტყობის შემდეგ მთელი ეს ხალხი
მიურეკიათ ჭოროხის ნაპირზედ, ამათში ქალებიც ყოფი-

ლან ბევრნი; უკან ხმალ ამოღებული ოსმალები დასდგო-
მიან და მოლებს დაუყვირნიათ:

– სთქვით, რომ დღეიდან თათრები ხართ, ქრის-
ტიანობაზე ხელს იღებთ და ღორის ხორცს აღარ სჭამთო.

– არ შეგვიძლიანო, დაუყვირნიათ ერთად ყველას.
ოსმალებს მიუგიათ:

– რაკი არ შეგიძლიათ, მაშ შედით მაგ ჭოროხში
და ვინც შიგ გაცურდება, გაღმა გავა, ის დარჩება ქრის-
ტიანად, ვინც არ შევა, იმას ხმალი დახვდება უკან. ამაზე
ბევრნი შეშინებულან და განუცხადებიათ, რომ დღეიდ-
გან ნამდვილი მაჰმადიანები ვიქნებით და ყველაფერს ბრძა-
ნებას შევასრულებთო. ვინც წინააღმდეგნი ყოფილან,
ისინი სულ შესულან ჭოროხში; ჭოროსი ამ დროს დიდი
ყოფილია და ყველა ეს საბრალოები შიგ დამხრჩვა-
ლან და ერთიც არ გასულა გაღმა. ამ დროს
ქვედა მარადიდი 50კომლი იყო და ყველა ესენი
ჭოროხში ისე დაიღუპნენ ქრისტიანობის გულისათვის,
რომ სოფელში 5 კომლიღა დარჩაო და აი ამ მიზეზით
მოისპნენ ამ სოფლის მცხოვრებნიო. შემდეგ თურმე დას-
ცინოდნენ მათი შთამომავალნი, რომ ჩვენმა ძველებმა
ღორის ხორცის ჭამის გულისათვის თავები ჭოროხში
დაიხრჩვესო. ამ შემთხვევის შემდეგ-კი მარადიდელნი მთლად
გაუმაჰმადიანებიათ და მათი სოფლის ეკკლესიების ქცე-
ვა-ნგრევაც დაუწყიათო.

აჭარის გამაჰმადიანება.

(სოფ. დერეხოხნაში ნაამბობი ქართველ მაჰმადიანის მოხუცის დეზმა მხოცვაძის მიერ).

მე რომ შვიდის წლისა ვიყავი, კარგად მახსოვს, რომ მაშინ სოფ. დერეხოხნის ნახევარი ხალხი ქრისტიანები იყვნენ და ესენი ჩუმად ინახავდნენ ქრისტიანობას. ესენი ღამე შეიყრებოდნენ ხოლმე ერთს სახლში, ერთ ჭრაქს დაანთებდნენ, იქ მღვდელი იდგა ხოლმე და ჩუმად ლოცულობდა და ხალხს ალოცებდა. მღვდელს ვერავინ რას შეატყობდა, რადგანაც ის ვაჟკაცურად (ერის კაცად) იყო ჩაცმული, ეს ჩუმი ქრისტიანები მაჰმადიანობასაც ასრულებდნენ, პარასკეობით ჯამეზედაც მოდიოდნენ და ლოცულობდნენ. ასე და ამ გვარად დიდხანს ინახეს ამათ თავი, მაგრამ ბოლოს შეუტყეს ეს საქმეები, ყველანი დაიჭირეს და გარდაწყვეტით გამოუცხადეს, რომ, თუ ქრისტიანობას თავს არ გაანებებთ, იცოდეთ, რომ ყველას თავები მოგეჭრებათო.შეშინდნენ ყველანი და გამაჰმადიანდნენ სრულიად. ასე რომ დერეხოხნის ქართველთ გათათრება 100 წელიწადიც არ არის.

II

ამ 60 წლის წინად, მე კარგად მახსოვს, რომ აჭარაში აქა-იქ ჩუმად ღვინოს დასწურავდნენ ხოლმე, ინახავდნენ ჩუმად და ხანდახან დალევდნენ ხოლმე. ხან დედაკაცები ჩარექებით ეკკლესიებში მიიტანდნენ და დააწყობდნენ. აჭარაში ეკკლესიებში სანთლის მიტანაც იცოდნენ, ფულის და ბამბის. ვინმე ავად რომ გახდებოდა, მაშინვე ეკკლესიებს მიუტანდნენ ძველ რამეებს და

იქ დააწყობდნენ, ამის შემდეგ ავადმყოფი მორჩებოდა. ვინმე რომ ყვავილით, ან სხვა რამით გახდებოდა ავად, იმას თქვენებურს ლოცვებს უმღერებდნენ ხოლმე და ავადმყოფები მორჩებოდნენ. ყველა ესენი გადავარდა ამ ოცდაათის წლის წინად და დედაბერს დედაკაცებში თქვენებური ლოცვები დღესაც ბევრმა იცის ზეპირად. მოლებმა და ხოჯებმა ერთს დროს ჩვენებურს ქალებს დაუშალეს თქვენებურ ლოცვების თქმა; ამიტომ როცა

ავად გახდებოდა ვინმე, მაშინ ჩვენიდან წავიდოდნენ
გურიაში კაცები. იქ დაიქირავებდნენ გურულს დედა-
კაცებს, მოიყვანდნენ აქა და ამათ ათქმევინებდნენ ხოლ-
მე ქართულ ლოცვებს და გალობას. მაგრამ ბოლოს
ესეც აკღრძალეს ხოჯა-მოლებმა, რომ ჩვენის კაცისათვის
ქრისტიანის ლოცვა არ შეიძლებაო. თუ გინდათ, ხო-
ჯები წაიყვანეთ და წიგნი და ლოცვები აკითხვინეთო.
ესე დაავიწყდა ხალხსა და მას შემდეგ ჩვენში ავადმყოფი
რომ შეწუხდება, ამისათვის ხოჯას იხმობენ და ლოცვას
წააკითხებენ რომ ავადმყოფი მორჩესო.

ლაზისტანის გამაჰმადიანება.

(ნაამბობი ს. ჩხალელის ჯანი ხოჯასაგან).

ოსმალები პირველად ლაზისტანში შემოსულან. ლა-
ზისტანი ძლიერ ადვილად გამაჰმადიანებულა. ამათ მალე
მიუციათ ოსმალთათვის დახმარება. ოსმალნი მოსულან
მაქრიალაში. მაქრიალას ციხეში ფეხი გაუმაგრებიათ. აქ
დაუწყიათ ტყავზედ ფულის მოჭრა და ამ ფულებით
შეისყიდდენ ხოლმე ქართველებსა და თავიანთკენ მიიმხ-
რობდნენო. ტყავის ფულებით მათ ბევრი ქართველი

შეისყიდეს, ბევრი გაამაჰმადიანეს ადვილადაო. როცა
ქართველი მაჰმადიანები გამრავლდნენ, მერე მათის დახ-
მარებით და ლაზების შემწეობით ლივანაში იწყეს მაჰ-
მადის სჯულის გავრცელება. ბევრი ჩხუბი მოხდა ლივა-
ნაში, ბევრი სისხლი დაიღვარა ქართველებისა, მაგრამ
ბოლოს მაინც ოსმალთ დაიმორჩილეს და ყველანი გაამაჰ-
მადიანეს. ვინც არ გამაჰმადიანდა და წინააღმდეგობდნენ,
ისინი დაიჭირეს და მაქრიალის ციხეში სულთან სელიმს
მოჰგვარეს. სულთან სელიმმა იმათ ჰკითხა:

– რატომ არ მაჰმადიანდებით თქვენა, რატომ არ
გინდათ, რომ ჩვენი წმინდა სჯული მიიღოთ? ხალხმა უა-
რი განუცხადა:

– ვერა, ვერ მივიღებთ! ჩვენ ქართველები ვართ,
ქრისტიანები და ასეც უნდა დავიხოცნეთ; სხვა რაც
გენებოთ, ის გვთხოვეთ, ერთგული მონობა და სხვანი,
მაგრამ სჯულს ვერ გამოვიცვლით.

– მაშ ყველას თავები მოგეჭრებათ, – უთხრა სულ-
თანმა.

– ნება თქვენი გახლდეს. მიუგო ხალხმა. სულთან
სელიმმა საჩქაროდ ბრძანება გასცა, მოვიდნენ ჯალათები
და მტკიცე ქართველი ქრისტიანები მიიყვანეს მაქრია-
ლის ციხის თავ-საკვეთთან, ყველას მოსჭრეს თავები და
მერე ტანი ზღვაში გადაჰყარეს და თავებს კიდევ სარებ-
ზედ აგებდნენ და ახმობდნენ სხვადასხვა ადგილებში
შესვლის დროს ქრისტიან ქართველების შესაშინებლად.

– 24 –

აჭარის გამაჰმადიანება.

(ნაამბობი (თევდორეს) ორცველის სააკ-ოღლისაგან.)

აჭარა ყველაზედ გვიან გამაჰმადიანდა. სპარსელთ
საქართველოსთან ომი ჰქონდათ. სპარსელთ ქართველებს
ვერაფერი დააკლეს, მათ მხოლოდ აჭარა დაიჭირეს და
ბევრი შავი დღეებიც დააყენეს. ქართველნი ძლიერ შეწუ-
ხდნენ ამაზედ. მცირე ხნის შემდეგ ესენი დაირაზმნენ
სპარსელთ წინააღმდეგ და ერთს დღეს ომი განუცხადეს:
აჭარელთ დაეხმარნენ სხვა ქართველნიც, ამათ
დაიწყეს ომი და სპარსელნი აჭარიდან განდევნეს
და თავიანთი ქვეყანა განათავისუფლეს. რამდენიმე ხნის
შემდეგ ოსმალნი ჭანეთის გონიამდის მოვიდნენ და გო-
ნიათში გაიმაგრეს ფეხი. გონიის ციხიდამ ამათ დაიბა-
რეს აჭარის მოწინავე პირები და გამოუცხადეს ამათ,
რომ ოსმალნი გარეკეთ. ბევრი წვა-დაგვა მოგადგათ,
ახლა ჩვენ გვინდა აჭარაში შემოვიდეთ და ძალით თქვე-
ნი ქვეყანა დავიჭიროთო. თუ გინდათ, თქვენ ჩვენ ნებით
დაგვმორჩილდით და თავი დაგვიკარით, თუ არა და
ჩვენ ძალით შემოვალთ აჭარაში, – ომს დავიწყებთ და
ძალით დაგიმორჩილებთო. დაფიქრდნენ ქართველნი,
პასუხი ვერ მისცეს, აჭარაში გაგვიშვით და იქ ჩვენებს
დავეკითხებით და მალე მოგცემთ პასუხსო. ქართველნი
წამოვიდნენ აჭარაში და ყოველისფერი ქართველებს
მოახსენეს, რომ ოსმალნი ასე გვითვლიან და ითქვენ რას
იტყვითო? ერმა მიუგო:

– ჩვენ არ შეგვიძლიან, ოსმალს თავს ვერ დავუკ-
რავთ, მათი თავის დაკვრით ბოლოს ჩვენ გიგვათათრე-

ბენ და დავიღუპებით. ხალხი უარზე დადგა. მოწინავე

პირებმა რჩევა მისცეს, რომ საქმეს წავაგებთო. ისევ ნებით დავუკრათ თავიო. ხალხმაც ნება მისცა და ესენი წავიდნენ და ოსმალთ მოახსენეს, რომ ოღონდ ნუ აგვაოხრებთ და ჩვენ ჩვენის ნებით გემორჩილებითო. ოსმალთ მიიღეს და ყველა მოწინავე პირებს დახმარება მისცეს. საჩუქრები, მიწები დაურიგეს და როგორც თავისის ნებით დამონებულს ერს ხარჯად ათის თავი დაადეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ოსმალთ ამ პირებს აჭარის ადგილების გამგეობა ჩამოართვეს და მის ნაცვლად საჩუქრები დაუნიშნეს. ამის შემდეგ ოსმალთ გამოუცხადეს ქართველებს, რომ თქვენ ოსმალური ენა უნდა შეისწავლოთ, რადგანაც სახელმწიფოსთვის ეს საჭიროაო. მალე სტამბოლიდგან გამოუგზავნეს მასწავლებელი ხოჯები და ქართველ ყმაწვილებს სწავლება დააწყებინეს მხოლოდ თათრულის ენისა და წერა-კითხვის. რომელი ყმაწვილიც-კი დაისწავლიდა თათრულს ანბანს, იმას კარგს საჩუქრებს და საქმეებს აძლევდნენ; ამით წაახალისეს ქართველთ ბავშვები და მათში ააღორძინეს თათრულის ენის სიყვარული. რაკი ეს მოხდა, მერე ხოჯებმა ბავშვებს მცირეოდნად მუსლიმანობაზე ქადაგებაც დაუწყეს და ეს სარწმუნოება ყმაწვილებს შეასწავლეს. ამ დროს აჭარა ისევ ქრისტიანობაში იყო. ოსმალთ დაიწყეს დიდად მეცადინეობა. მალე ოსმალთ მიიხმეს ქართველი მოწინავე პირები, ამათ მისცეს დიდი საჩუქრები, ქრთამები და სთხოვეს, რომ თათრის სჯულის გავრცელებაში თქვენ ჩვენ დაგვეხმარეთო. მოწინავე პირებმა სიტყვა მისცეს და დაიწყეს მაჰმადის სჯულის გავრცელება ქართველ ხალხში. უმეტესად ახალგაზდებში ავრცელებდნენ ამას და მოხუცებულებს ისე სტოვებდნენ, ნამეტურ ქალებს. რამდენიმე ხნის შემდეგ აჭარას გამოღმა

მხრის უმეტესი სოფლები გამაჰმადიანებულ იქმნა. ყველაზედ დიდი ხანი ქრისტიანობით თავი შეინახეს გაღმა მხარში ქედმა და ს. ბორცვამ. აქ ქრისტიანობის სასტიკ მფარველად სოფ. ორცვის მღვდელი კაკაბაძე იყო. ეს მღვდელი იყო დიდად მქადაგებელი, მოაყვარე ქრისტიანობისა და პატივისმცემელი ქართველთა. ეს მღვდე-

ლი დღე და ღამე დადიოდა ხალხში და ხალხს ამაგრებ-
და ქრისტიანობაზედ. ეს ამბები ოსმალთ იცოდნენ და
ბორცვის კაკაბაძე მღვდელს დიდად ემუქრებოდნენ მაგ-
რამ მღვდელი მაინც არ უშინდებოდა მუქარას.

ეს მღვდელი ქედის დიდს ეკკლესიაში დადიოდა, იქ ზარს
რეკავდა, ოთხი-ხუთი სოფლის ხალხს ლოცვაზე იხმობდა.
რამდენიმე ხნის შემდეგ მაჰმადიანობა ქედაშიაც შემოვი-
და; ახალ გამაჰმადიანებულ ქართველთ კაკაბაძე მღვდლისა
ძლიერ ეშინოდათ და მაჰმადიანობას ჩუმად ინახავდნენ.
განვლო რამდენიმე ხანმა და ამათ ჯამეს კეთება მოინდო-
მეს, მაგრამ კეთებას ჯერჯერობით ვერ ჰბედავდნენ,
კაკაბაძე მღვდლის შიში ჰქონდათ.

ბოლოს მაინც ეს ეკკლესიაც დაუქცევიათ თათრებს.
კაკაბაძე მღვდელი რომ მოსულა. შორიდგანვე შეუხედნია
ეკკლესიისაკენ და ეკკლესია დაქცეული უნახავს, ეკკლე-
სიის გვერდით-კი უცბად დადგმული ხის ჯამე. კაკაბაძე
მღვდელს გულს შემოჰყრია, ტირილი დაუწყია და
უთქვამს:

– ვაი მე, ახლა-კი დაეცა აჭარაო!..

ბევრი უწუხნია, ხალხშიაც ბევრს ცდილა, რომ
ქრისტიანობა არ დაცემულიყო, მაგრამ ველარა
მოუხერხებია-რა. ბოლოს საქმე რ იქამდის მისვლია
ამას, რომ სოფ. ორცვადგან გაქცეულა და ჩაქვი-
საკენ წასულა, რადგანაც ჩაქვას იქითა მხარე იმ დროს

საქრთველოს ეკავა და იქ ისევ ქრისტიანი ქართველები
იყვნენო. კაკაბაძეს ცოლ-შვილი-კი ორცვაში დარჩნენ
იდა მღვდელს აღარავინ დაანება. ესენი ოსმალოს მთავრო-
ბამ გამოიკითხა და კაკაბაძე მღვდლის შვილებს ქეშიშ-
ოღლი უწოდეს, და ერთს შვილს თათრული წერა-
კითხვა დაასწავლეს და მალე მოლობაც მისცეს: რადგანაც
მამაშენი ქეშიში (მღვდელი) იყოო, იმის ნიშნად ამ დღის
შემდეგ ამ სოფლის მღვდლობა თქვნი გვარის კაცებს
ჰქონდესთო. მას შემდეგ ასეც არის და ორცვაში ხოჯა-მო-
ლობა ყოველთვის ქეშიშ-ოღლებს უკავიათო. ამ
მღვდლის შემდეგ-კი აჭარაში მაჰმადიანობა ერთობ მალე
წავიდა, მხოლოდ მოხუცებულებს-კი არ ამაჰმადიანებდნენ
და ქართველ ქალებსაც ხმას არა სცემდნენ. ქართველ
ქალებში თათრობა სულ სხვანაირად შეუტანიათო.

გამაჰმადიანების შემდეგ აჭარის ქართველებში მევენახობა
ამოვარდნილაო. ამბობდნენ ხოლმე, რომ მთელი აჭარა

სულ ვენახებად იყო გარდაქცეული და სოფლიდან სოფლამდის სულ ვენახებით იყო დაფარულიო. ზოგნი-კი ამბობენ, რომ ვენახები ვითომც ქართველებში სპარსელებმა მოსპეს და ამათ შემდეგ, რაკი აჭარა ოსმალთ აიღეს, მის შემდეგ აქ ქართველებმა ვაზის გაშენება ვეღარ გაბედეს, რადგანაც ოსმალეთიც უშლიდა ამასაო.

შემდეგ და შემდეგ ოსმალოს ხოჯებმა ქართველებში დაიწყეს ქართულის ენის მოსპობის შესახებ ქადაგება, რომ მუსლიმანი კაცი ქართულს ენაზედ არ უნდა ლაპარაკობდესო. მაგრამ ამათ ენა-კი ვერ მოსპეს და რაც ქართული ძველი წიგნები იყო, ესენი-კი სულ ცეცხლში დააწვევინეს რადგანაც ესენი ხალხს ეუბნებოდნენ, რომ სახლში ქართულის წიგნების შენახვა ჩვენის სჯულის წინააღმდეგიაო. ხალხს არაფერი ესმოდა, მოლებს უჯერებდნენ და ბევრს

ძვირფასს ქაღალდებს სწვავდნენ. ასეთი ქაღალდები თვით ჩვენს ძველებსაც დაუწვავი,წო.

მე მახსოვს, რომ აქეთკენ დიდრონი წიგნების ტყავებისაგან ჩასაცმელ ჩუსტებს აკეთებდნენ, ქალამნებს, ბატარა გუდებს და სხვადასხვა რამეებს აკრავდნენ ზევიდგანაო. ზოგიერთი ისეთი წიგნები ყოფილა აქეთ, რომ თითო წიგნი ნახევარი ფუთი გამოვიდოდაო.

ხოჯებისა და მოლების ასეთი ქადაგების მეოხება იყოო, რომ ამ თხუთმეტის წლის წინად აჭარის ორს სოფელშიაც დაუწვავთ ქართული წიგნები, სახელდობრ: ხერთვისსა და კაპნის თავშიო.

აჭარის გამაჰმადიანება.

(ნაამბობი ქედაში ორცველის ქართველ მაჰმადიანის შავლედ ნაკაშიძის მიერ)

აჭარაში გამაჰმადიანება ლივანიდან შემოუტანიათ. პირველად მაჰმადიანობა აჭარის მარჯვენა მხრის სოფლებისკენ გაუვრცელებიათ, მარცხენა მხრის სოფლებიკი ისე დაუტოვებიათ. მარჯვენა მხრის სოფლები გავამაჰმადიანოთ და მარცხენა მხრის ხალხი თვითონ მოგვყვებაო. გამაჰმადიანებულთ და ქრისტიანთ შორის ყოველნაირი მეგობრობა მოსპობილა.

ერთხელ ერთი ქრისტიანი ქართველთაგანი გასულა

მაჰმადიან ქართველ სოფლებში. ეს რამდენსამე დღეს ერთს სოფელში დარჩენილა, თავისს ნათესავებში. აქ ეს ბიჭი ბევრის დარიგების და თანხების მეოხებით გაუმაჰ-მადიანებიათ. გამაჰმადიანების შემდეგ ბიჭი გასულა გაღმა. ქრისტიან ქართველებს უნახავთ და უკითხავთ:

– ბიჭო, ამდენს ხანს რას აკეთებდი იმ თათრებშიო? ამან მიუგო:

– გამამაჰმადიანეს, ალი დამარქვეს სახელადაო. ქარ-თველნი გაოცდნენ და უთხრეს:

– ბიჭო, მიტომ გახველი თათარში, რომ გატიალდი? აი შეგირცხვეს კაცობა!

ეს ბიჭი სულ მთლად მოიძულეს ქართველებმა. მეტ სახელად გახტიალდი უწოდეს. შემდეგ ცოლი შეირთო ამან, შვილებიც გაამაჰმადიანა, გვარად გახტიალდი დაერქვათ; დღესაც ასე იწოდებიან. ბოლოს მარცხენა მხარეც გამაჰმადიანდა. ვინც არ ინდომა გამაჰმადიანება ისინი სოფელს საღორეთში წავიდნენ და იქაურ ციხიდ-გან იბრძოდნენ ოსმალთ წინააღმდეგ.

II

ნაკაშიძეები გურულები ყოფილან. გურიაში რაღაც საქმე ჩაუდენიათ. ამათ სხვა თავადიშვილები დახოცეს; ამის გამო ამათ გადაეკიდა გურიელი. მაშინ ნაკაშიძენი სამნი ძმანი ყოფილან. ერთი ძმა ბაღდადში გაქცეულა და იქ გამაჰმადიანებულა. მეორე ძმა სტამბოლში გაქ-ცეულა და იქ გამაჰმადიანებულა; ამისათვის მალე ფა-შობაც მიუციათ. მესამე ძმა აჭარაში მოსულა სოფ. ორცვაში დასახლებულა. მერე ცოლ-შვილიც მოუყვანია აქ. რამდენიმე ხნის შემდეგ ესენიც გამაჰმადიანებულან. ერთხელ ნაკაშიძე თავისს გამაჰმადიანებულ შვილებით სადღაც ერთ მთაზედ წასულა. მთიდგან ძირს წადუხედიათ და ერთი უშველებელი ტყე უნახავთ, რომელიც ხილით ყოფილა სავსე. ნაკაშიძემ რომ დაინახა ბევრი ხილი, დაიყვირა, ეს რა ბევრი კაკა არისო. ამის გამო იმ ალაგს კაკა დარქმევია; მერე იქ სოფელი გაშენებულა და სოფ-

ლისთვისაც კაკა უწოდებიათ; თვით მას შემდეგ კაკაძე დარქ-

მევია და ახლა კი კაკა-ოღლი არიან. სოფ. ორცოვაში ნაკაშიძეებს დიდათ უმეცადინიათ ხალხის გამაჰმადიანებაზედ.

III

მერისის ხეობას მიტომ დაერქვა ეს სახელიო, რადგანაც, როცა აჭარას ამაჰმადიანებდნენ, ბეგები ამბობდნენ:

– ჯერ აჭარა გავამაჰმადიანოთ, ჯერ ამას მოვრჩეთ და მერე ისი, ანუ მერეისიო და ამისაგან დაერქვა აჭარისაგან ამ მოცილებულს ხეობას მერისიო.

IV

ქედას ზევით, ვაიოს პირდაპირ, არის ერთი მთა, რომელსაც სახელად „ქალო ჯვარას“ უწოდებენ. ეს სახელი მას ამ შემთხვევის გამო დარქმევია: ვაიოს მხრის ქართველი ქრისტიანები გამაჰმადიანდნენ, დარჩნენ გაღმა მხრისა. გაღმა მხრის ქალი ერთხელ ვაიოსკენ გავიდა; იქ ეს გამაჰმადიანდა და ერთ ახალ გამაჰმადიანებულ კაცზედ დაინიშნა. დანიშვნის შემდეგ ეს თავიანთსა დაბრუნდა და შინ გამოუცხადა, მე გავმაჰმადიანდიო. ამაზედ მთელი სოფლის ხალხი გაოცდა, რადგანაც აქედ ყველაზედ ძნელად უფრო ქალები მაჰმადიანდებოდნენ ხოლმე. ქალმა შინ რამდენიმე დღე დაჰყო და თავისი ბარგი მოაგროვა და ვაჟიანთას აპირებდა წასვლას. დედ-მამა არ უშვებდა. ესენი ეუბნებოდნენ:

– ქალო, ჯვარი დაიწერე, ქალო, ჯვარი დაიწერე, რა შენი საქმეა მაჰმადიანი. ქალო, პირჯვარი! – სირცხვილიაო. დედ-მამამ და ნათესავებმა საქვეყნოდ შეარცხვინეს ქალი და ყვიროდნენ, რომ ქალო, ჯვარი დაიწერეო და

აი ამ ადგილსაც მიტომ დარქმევია „ქალო-ჯვარა“, რადგანაც ეს ამბები აქ, ამ მთაზედ მომხდარა.

ლივანას გამაჰმადიანება.

(დევესქელის ხეობაში საამბობი სოფ. პეტრულის მამასახლისისაგან).

ლივანაში, ბორჩხის ზემოდ, ჩხალის ხეობაში ძველად ქალების მონასტერი ყოფილა. გამაჰმადიანების დროს თათრებს მონოზნებისთვის ხმა არ გაუციათ. მღვდლე-

ბი და ბერები-კი სულ გამოურეკიათ. რამდენიმე დღის შემდეგ ამ მონასტერს დასცემიან თათრები და მონასტერი მთლად გაუძარცვავთ და მონოზნებიც სულ მოუტაცნიათ; ერთი მოხუცი დედა მონაზონი-კი დაუტოვებიათ. მოტაცებული მონოზნები ტრაპიზონში გაურეკიათ და ზოგი იქ დაუყიდნიათ თათრებს და ზოგი სხვაგან მონასტერში დარჩენილი მოხუცი მონოზანი მონასტერს არ შორდებოდა; იმან დიდი გაჭირვება გამოიარა, ხშირად თავ-დასხმა და გაძარცვაც, მაგრამ მაინც აქაურობას არ შორდებოდა. ნაცვლად ამისა, იგი ოჯახებში დადიოდა და ახალ გამაჰმადიანებულ ქართველ ქალებს ქრისტიანობაზედ დარიგებას აძლევდა.

ერთ აღდგომა დღეს მონაზონმა წითელი კვერცხები შეღება. სხვა რამეები კიდევ და აღდგომა დღეს ახალ გამაჰმადიანებული ქართველი ქალები დაჰპატიჟა. ქრისტიანულად მიულოცა; მათაც ქრისტიანულად მიუგეს პასუხი, რადგანაც ახლად-გამაჰმადიანებულნი იყვნენ და ქრისტიანული ლოცვებისა ბევრი რამ ახსოვდათ.

ეს ამბები ლივანას ბეგმა შეიტყო. ამან მონაზონს განუცხადა, რომ მაგ ალაგს თავი დაანებე, თორემ მოგკვლენო. მონაზონმა შეუთვალა:

– სიკვდილი ყველგან დამხვდება, მე აქედგან არსად წავალ, ამ ეკკლესიას უნდა ვუპატრონოო.

რამდენიმე დღის შემდეგ ამ ქალების მონასტერს ოსმალები დაეცნენ. მოხუცი მონაზონი მოჰკლეს და თუ რამე ჰქონდა, ისიც ყველაფერი მოსტაცეს. ამ დროს ქალებში ჩუმი ქრისტიანები კიდევ ყოფილან და ამათ ძალიან უგლოვნიათ მოკლული მონაზონი და თვით ამ ქალებსავე დაუმარხავთ მიცვალებული. ამ მონაზონის მოკვლის შემდეგ ლივანაში აღარაფერი დარჩენილა ქრისტიან ქართველთა.

ლივანაში ყველა ლაპარაკობდა ამ 30 წლის წინად, რომ მარადიდში, ბორჩხაში და ამის ზევით თავსაკვეთი კოშკები იყო გამართული და იქ თავებს სჭრიდნენ, არჩობდნენ იმ ქრისტიან ქართველებს, რომლებიც არ მაჰმადიანდებოდნენო. აქ ბევრი ქალებიც დაურჩვიათ და თავი მოუჭრიათ ხოლმე და ტანი ჭოროხში ჩაუყრიათ. უწყიან, რომ ერთხელ წითურელას კოშკსაც-კი ხმარობდნენ საპატიმროდ და თავსაკვეთად.

ამის შესახები ამბები ძლიერ ბევრი რამ იციან

ართვინისა და არდანუჯის კათოლიკეთა მოხუცებულებმაც.

ზ. ჭ.

სოფ. ჯუმი, ზუგდიდის მაზრა.

(სამეგრელო).

ს. ჯუმი მდებარეობს ზუგდიდიდან აღმოსავლეთის მხრით სამი ვერსის მანძილზე. სოფლის სიგძე-განი დაახლოვებით ოთხი ვერსი იქნება; მრავალი ვაკე სახნავ-სათესი ადგილი უჭირავს ორივე მდინარეს ნაპირებს.

ფერდოები მარტო ორია „ლეაბშილე" და „ლაკარდა", რომელიც ყულიწყლის ნაპირზე აღმოსავლეთის მხრით მუდმივ სიგრძით გადაწოლილია.

ს. ჯუმის და ყულიწყლის სათავე იწყება სოფელ ჯვარის ეწერში, „ზღვაია"-ს ჭაობიდან ერთი-მეორის სამი ვერსის სიახლოვეზე, მაგრამ ს. ჯუმში ერთიმეორეს ერთვიან, სადაც შემდეგ შეერთებისა ყულიწყალს სახელი ეკარგვის და სულ ჯუმს უძახიან, სანამ მდინარე ენგურს არ შეერთვის. ჯუმი და ყულიწყალი საშუალ მდინარეს შეადგენენ ორივე, თევზები მრავალ ნაირი იცის გარდა კალმახისა; უფრო გემრიელი თევზი ყულიწყლისაა.

ს. ჯუმს შუაზე გაუვლის ზუგდიდიდან დამოკიდებული სანარაზენო *) შარა, (ასეთ ფართო გზას მეგრუ-

---

*) „ნარაზენი“ სოფელია.

ლად „თემის შარას" ეძახიან და ერთი მეორესთან სამეზობლოდ მისასვლელ მყოფ ვიწრო გზას, „შუკას", რომელიც ხშირია სოფელში).

ს. ჯუმი ნოტიო ადგილია, რის გამო ზაფხულობით ციებ-ცხელებაა ხშირი; გადამდები სენი ამ სოფელში ძვირად იჩენს თავს. ზამთარში სიცივე ზომიერია, ყინვები მაგარი არ იცის; ზოგჯერ მთელი ზამთარი ისე გაივლის, რომ თოვლის ნიშან-წყალსაც არ ვნახავთ. და შეგვხდომია ზამთარი, 1½ ადლი თოვლიც დაედვას. გაზაფხულ შემოდგომაზე მუდმივი წვიმიანობა იცის; ქარი აქ ნაკლებად იცის. თუ ზენამ დაჰბერა სამს ანუ ორს

დღეს გასტანს, და თუ ქვენამ – დილიდან საღამომდე. ნაკლები ქარის მიზეზით ბევრჯერ წამხდარა სიმინდი ნოტიოს გამო. აქ ზამთრის სიცივისათვის და წვიმისათვის მარტო ნაბადს ყიდულობენ გლეხები, საზაფხულო ტანისამოსის გარდა.

ამ სოფელში სამას კომლამდე ირიცხება გლეხები: ჯაბუა, დარასელია, ქანდარია, ჯიქია, როგაა, კილასონია, ფონია, შეროზია, ჯონჯუა, ხურცილა, ჭაჭუა, ქარდაა, არჩაია, ლაგვილა, აბშილა, მოსია, შონია, გამსონია, ყურდგელია, გაბუნია, ჟიშქარიანი და გერგედა.

აზნაურები: ხვიტია, ხაბურზანია, ჩიჩუებია, მაგრამ სოფლის სამზღვარზე არიან.

ამოდენი კომლი მცხოვრებნი ერთ მთავარ-ანგელოზის სახელზე აგებულ ხის ნაშენ ეკკლესიის მრევლნი არიან. ეკკლესიის მორთულობა მდიდრულს არასფერს დაგვისურათებს; შესანიშნავი ძველი ნივთები არაფერია მასში.

სახნავ-სათესი, სამოსახლო და საბალახო ადგილი ყველა გლეხისა სადადიანოა: სამეგრელოს მფლობელ

თავად დადიანს აძლევენ სიმინდისას და სხვა შამოსავლისას მესამედ-მეოთხედ ნაწილს და ეზოს ფულს ყოველ წლობით სამ მანეთს.

მათი ცხოვრების უმთავრესს სახსარს შეადგენს ხვნა-თესვა; ითესება: სიმინდი ღომი, ფატი (ფეტვი), ლობიო, ჭვავი, კიფი (კანაფი), ხაჯი (ცერცვი), ხვანჯკოლა, ბამბა, მზეს უჭვრიტა და თუთუნი; ღვინო მარტო იზაბელა მოუდისთ, თუ სხვა არ მოაშენეს; ყურძნის ჭაჭისა და სხვა ხილებისაგან არაყს აკეთებენ თავიანთ ოჯახში სახმარებლად. აქაურ სახნავ-სათესს მიწას ნახევარ არშინის სიღრმეს შავი მიწა აქვს. სიმინდი უკანასკნელ გლეხს სარჩოზე მეტი ორმოც-სამოც ფუთამდე მოუვა. და არიან ისეთებიც, რომ ორას ფუთამდე გაჰყიდიან სიმინდს. ეს მიწის და მუშის რაოდენობაზე და შეძლებაზეა დამოკიდებული, და რიგიანად მუყაითად რომ იმუშაონ, ერთი ორად მეტიც მოუვათ, სარჩოზე მეტი. სიმინდის ფასით იკმაყოფილებენ მტერ-მოყვარესთან ჩვეულების მოთხოვნილებას, ტანისამოსს, და სახელმწიფო გარდასახადს. სახელმწიფო გარდასახადი თითო კომლი გლეხისა ყოველ წლიური ოცდა რვა მანეთამდეა.

გარდა ნამუშევრის გაყიდვისა, აქ ურემ-კამბეჩით

მუშაობა იციან და მით შოულობენ ფულს თავიანთ საჭიროებისათვის. ფუტკრის მოშენებას არ არიან ჩვეულნი. ყანის შემუშვება, ყურძნის მოკრება, შეშის ჭრა, ზამთრობით მომზადება, ძროხა, ცხენი, კამბეჩი, ღორი, ცხვარი, თხა – ამათი მოვლა კაცების მოვალეობად ითვლება. კაცები, შინაური ფრინველები ერთად რომ გაწყდეს,

*) ამ სოფელში ორი წისქვილია, ერთი მ. „ჯუმზე“ და მეორე „ყულიწყალზე“.

საკენკს არ დაუყრიან და არც აკვანში მწოლარე ბალღს დაანძრევენ მისაძინებლად (არ არწევენ).

ქალების მოვალეობაა: შვილის ზრდა, ოჯახის მიწყობ-მოწყობა, საჭმელის მომზადება, შინაურ ფრინველთა მოვლა-მოშენება და ბოსტნეულის დამუშავება; ბოსტნეული იციან: პრასა, ნიორი, მაკინდოლი, ქინძი, პიტნა, ზაფრანა, ბადრიჯანი, მდოგვი, ნიახური, კამა, ბოლოკი, სტაფილო, კომბოსტო, წიწმატი, ხახვი, დიხა-შუშქურა, (მიწავაშლა), მსხალი, სოტელია (წითელი ფხალი) ჭარხალი და სალათა. ბოსტნის შეღობვა და პირველად მიწის დაბარვა კაცთა მოვალეობაა, და შემდეგ მიწის დამზადება, დათესვა, გამარგლვა და საზოგადოდ მოვლა, ყველა ქალების საქმეა.

მასთან ქალები ქსოვენ შალეულს, აბრეშუმეულს, და ბამბეულს, თავიანთ ოჯახში სახმარებლად და გასასყიდად. გაზაფხულში ქალები მუშაობენ ყაჭს. ისეთი ოჯახი არ იქნება, თუ რიგიანად დაიმუშავა, ყაჭის პარკიდან ოციდან ორმოც მანეთამდე არ აიღონ და ზოგმა მეტიც.

მოსახლობა მეზობლისა შორი შორია; მეზობლიდან მეზობლამდე ასი საჯენი მაინც იქნება, და ზოგან მეტიც. სახლებს აშენებენ სხვა და სხვა ფიცრებისას, ვისაც როგორი შეძლება აქვს; ხმარობენ ჭყონს, ჭუბურს, თელას და კოპიტსაც.

სახლი უდგიათ: 1. სასტუმრო, 2. სამზადი, (სამზარეულო), 3. მარანი, 4. საბძელი, 5. ბეღელი, 6. ფარეხი, ცხვრისა და თხის ბინა, 7. საქათმე, 8. საღორე, 9. გომური, კიმბეჩის, ცხენის და ძროხის ბინა. სასტუმრო სახლი ზოგს ორ თვალიანი უდგიათ და ზოგს ოთხ თვალიანი; ზოგან ისლითაა დახურული და ზოგან ყავრით,

შეძლებისა-და-გვარად; დანარჩენი, გარდა სასტუმრო სახ-
ლისა ყველა ისლითაა დახურული.

ლოგინის მორთულობა იციან: ორხუუ, ფარდაგი,
ბუმბული, ლეიბი, საბანი, (შქართუნი), ბალიში, მუთაქა
და ზეწარი; ბუმბულს და ბალიშს ექნება ქათმის და ბა-
ტის ღინღლი, ლეიბს და საბანს ბამბა. ესენი იციან
სუფთა; ვინც უნდა ესტუმროსთ, სუფთად მოასვენებენ.
სტუმრის მიღება შეძლების გვარად კარგი იციან. ღვ-
თის მოშიშნი და მარხვის შემნახავნი არიან. ზოგნი ყო-
ველ ოთხშაბათ-პარასკეობით მარხულობენ; სამარხოდ
ხმარობენ: ყოველგვარ ბოსტნეულს, მწვანილეულს, ეკა-
ლას, სოკოს, ლობიოს, ხაჯს, თევზეულს, კიბოებს და
ზოგნი კიბორჩხალსაც (ცხრაფეხა) სჭამენ. ხსნილში ხორ-
ცეული იხმარება: ძროხის, ღორის, ცხვრის, თხის. უფრო
ხშირად ქათმის, იხვის, და ინდოურის; თუმცა შინაური
ბატებიც ჰყავთ, მაგრამ საჭმელად არ ხმარობენ, მარტო
ბუმბულისთვის ინახვენ. არიან ისეთნი, რომ ბატის
ხორცს არ ეკარებიან, როგორც ურია ღორის ხორცსს.
ყველი, კვერცხი, მაწონი, ხაჭო და რძე ამ სოფელშიაც
კეთდება და იხმარება, როგორც სხვაგან. უპირველესი და
უგემრიელესი ყველი, სულუგუნი აქ კეთდება. ტანისამო-
სი იციან: ჩოხა, ახალოხი, შალვარი, ჩაბალახი, წუღა,
მესტი და პაჭიჭი. ესენი იციან ვიწრო და ტანზე კოხ-
ტად შეკერილი; სარტყელი ვერცხლის და ანუ რკინისა
ვერცხლს ზარნიშით ნაჭერ-ნაჭრებად ღვედზე გაწყობი-
ლი; ჩოხაში წინ მკერდზედ მასრებს ანუ ქილებს იკე-
თებენ ვერცხლისას, ირმის რქისას, და უბრალო ძვლი-
სას. ცხენი, უნაგერი, ხანჯალი, ლევორვერი, თოფი და
ნაბადი, ყველა ოჯახში აუცილებელია, სადაც ორი ანუ
ერთი ვაჟკაცი იმყოფება.

უფრო მეტი მარცხი აქ ხანჯლისა და რევოლვე-
რასაგან ხდება. გადადგმენ თუ არა ოჯახიდგან ფეხს,
უსათუოდ ხანჯალი და ანუ რევოლვერი უნდა იქონიონ;
თუ მაყრად მიდიან, რევოლვერს და დამბაჩასაც დაიკიდე-
ბენ და თუ არა აქვთ, სხვაგან იშოვნიან.

აქ ზოგიერთთა დამღუპველი ხელობა ქურდობაა,
რომელიც უწინ უფრო მეტად იყო გახშირებული, მაგ-
რამ ახლა ცოტ-ცოტად მიწყნარდა, რადგანაც ბოროტ-

განმზრახველთ სასარგებლოდ არ წარმოუდგათ თავიანთი საზიზღარი ხელობა. ჩვენ ვფიქრობთ სამერმისოდ მთლადაც მოისპოს, თუ ძველთაგანი ანდაზა რომ არის, „დაუჩვეველს ნუ დააჩვევ, დაჩვეულსა ნუ დამიშლიო“, ამას არ მიჰბაძეს.

ძველთაგან ძველი ჩვეულება და დღეობანი ს. ჯუმში და ცრუ-მორწმუნეობა

ჯუმში მცხოვრებ გლეხთა შორის უთანხმოება ხშირია, მრავალჯერ კაცის კვლაც მომხდარა ერთი მეორის მოუთმენლობით! მკვდრისა და დედ-მამის შემგინებელს მოსაკლავადაც გაიმეტებენ ხოლმე და მცირე რამისათვისაც ხშირად ასტყდება შფოთი და ჩხუბი. ჩხუბის დროს გვარეული მომხრეობა იციან; თუ ერთმა გვარმა, მეორის გვარის გალახა ვინმე, მაშინ გალახულის მოძმე-მოგვარენი ერთად ახირდებიან სამაგიეროს გირდასახდელად. ამისათვის სამეზობლოში ჩხუბს ძალიან უბრთხილდებიან.

თუ სხვა სოფლის მტერი და ანუ ქურდი შემოესიათ, ყველა ერთი მეორის მომხრეა, მტერიც და მოყვარეც; აგრეთვე სხვა სოფელში ქორწილში, ანუ ტირილში, მტრებ ერთი მეორეს მოყვრულად ექცევიან და თა-

ვიანთ სოფელში რომ მოვლენ, ისევ მტრებადვე რჩებიან.

ქორწილი აქ ერთ დღე და ღამეს იციან: ჰპატიჟობენ მარტო მოყვრებს და ნათესავებს. დაპატიჟებულნი ფულით ანუ ნივთით ისახელებენ თავს სიძეს მილოცვით; ზოგნი ცხენს, კამბეჩს და ხარს უძღვნიან მექორწილეს ე. ი. სიძეს.

ტირილში მარტო ფულით იციან შემწეობა (გადაბურვა); ტირილში მტერსა და მოყვარეს, ყველას იწვევენ, მკვდარს, მტერიც მოვა და გულმწუხარედ იტირებს, ეხმარება მკვდრის პატრონს ყოველ საქმეში, და როცა დაასაფლავებენ, ისევ მტერი იქნება იმ ოჯახისა; ქორწილში თუ არ დაესწრო დაპატიჟებული, არაფერია, და ტირილში, რაც უნდა უჭირდეს, უნდა დაესწროს, თუ იმ სოფელში იმყოფება.

ზაფხულობით ყოველ დღესასწაულებში და კვირა უქმეებში იციან „ოსხაპუე“ (ოსხაპუე მეგრულად საჯარო სათამაშო ადგილია). გამოარჩევენ შუა სოფელში წმინდა,

ვაკე და თავისუფალს მინდორს, სადაც საჩრდილოდ ხეე-
ბიც იდგომება, ნაშუადღევს შეგროვდებიან იქ და გამართ-
ვენ სხვა და სხვა გასართობ თამაშს; პირველად დაირას „ჰარი-
რააა“ და ტაშის კვრით ცეკვას,მერე „ძაბრალე ჰაი ძაბ-
რას“ მეგრული ლექსებით, შემდეგ რჩეულნი მომღერალ-
ნი დასხდებიან ჩრდილოვან ხის ძირში და იმღერებენ:
„ფერხულს“, ხელხვავს, შავ-შავს, მაყრულს, კუჩხაბედ-
ნიერს და სხვა. მერე ოცი, ოცდაათი კაცი ერთი მეო-
რეს აიჩემებენ, დანარჩენები „აა, ააჰა-ჰა ჰა�ა“თ ბანს ეტ-
ყვიან, მოლექსენი მეგრული წყობილი ლექსით ერთი-
მეორეს ხან აქებენ და ხან ლანძღვენ, მაგრამ საწყენად
არც ერთს პირსაც არ დაურჩება.

– 40 –

ბოლოს მიდგება საქმე ცხენოსნებზე; ცხენოსნებიც
დიდხანს ითამაშებენ. ცხენით თამაში ზაფხულ-ზამთარში
ყოველ დღესასწაულებში იციან წირვის გამოსვლის
დროს, ეკკლესიის წინა მახლობელ მუედანზე.*)

საეროდ ყველა ჯუმის მცხოვრებლებმა უწინ იცოდ-
ნენ ყოველ მესამე წლობით, 23 აპრილს დღეობა, რო-
მელსაც „თემის ხვამა" ერქვა, (საერთო საერო ლოცვაა).

ეს დღეობა გვარად ჯაბუებისაგან იყო დაარსებული
და მიტომ ჯაბუების თემის ხვამას ეძახდნენ; მოადგებოდა
თუ არა ეს დღეობა, სოფელში არჩეული პირები მო-
ბოჭდნენ თითო კომლ მცხოვრებისაგან ორ-ორ აბაზს
და იყიდდენ ხარებს, დაჰკლავდნენ იმ დღეს, როცა თე-
მის ხვამა იქნებოდა და რამოდენი კომლიც იქნებოდა
სოფელში, იმოდენ ნაწილად დასჭრიდნენ ხორცებს, და
დიდ ხის კეტზე წამოცმულს კერძებს ჩაარჭობდნენ ეკ-
კლესიის მახლობელ მინდორში; ამ დროს ნაწირვებს მღვ-
დელი გამოასვენებდა ეკკლესიიდან მთავარ-ანგელოზის
ხატს და ლოცვა-კურთხევით მივიდოდა იმ ადგილს
სადაც ხის კეტზე ხორცები იქნებოდა წამოცმული მინდორ-
ში. დააჩოქებდა ყველას, ილოცავდა მღვდელი, შემდეგ
ერთად ამინს ეტყოდნენ მღვდელს, ხატს ემთხვეოდნენ,
და თითო ოჯახის კაცი თითო კეტზე წამოცმულს ხორცს
წამოიღებდა თავიანთ სახლში და გაიმართებოდა სმა
და ქეიფი. მრავალნი სხვა სოფლებიდანაც დაპატიჟებდნენ
მოყვარე ნათესავებს.

მაგრამ ახლა მეხუთე წელიწადია, რაც ეს დღეობა
ჯუმში მცხოვრებლებმა მოსპეს და უარ ჰყვეს. მხოლოდ,

---

*) უწინ ჯირითი სცოდნიათ, მოგვითხრობენ მოხუცებულები, მაგრამ ახლანდელი ცხენოსნების ჯირითობა არ გვინახავს.

მარტო გვარად ჯაბუებმა, როგორც თავიანთ დაარსებული დღეობა ისე განაგრძეს, და ახლაც ასრულებენ, როგორც ზემორეთ ვსთქვით, ყოველ წლობით 23 აპრილს ცოტად გადასხვაფერებით.

ხარების მაგივრად ვაცებს ჰკლავენ, ხატს არ გამოასვენებენ ეკკლესიიდან და როცა თემის ხვამაა, მარტოდ მღვდელს წაიყვანენ იმ მინდორში, სადაც ხორცები იქნება დაცმული. მღვდლის ლოცვის შემდეგ ერთი თავიანთი გვარისა უფროსად ჰყავსთ ამორჩეული, ის დააჩოქებს ყველას, თითო კომლის კაცს, თითო კაპეიკს ფულს და ღერ წმინდა სანთელს თავზე გადაავლებს, შემდეგ ყველანი ადგებიან და თავიანთ სახლში დაიშლებიან. ეს შესაწირავი ფული და სანთელი ებარება იმ უფროსად არჩეულს და ყოველ მესამე წელში მიაქვთ სვანეთში, სოფელ მესთიანში, ლეჩხუმის მაზრაში წმინდა გიორგი ჯგეგეს შესაწირავად. (წმინდა გიორგი ჯგეგე ძლიერ ხატად არის ცნობილი).

ის უფროსად არჩეული მოგვითხრობს: „თურმე ჯაბუები ყარაჩათა ჩამომავალნი ყოფილან, უმცროსი ძმა ყარაჩაში დღესაც „ჯაბუა-“აო, საშუალი, რომელიც ჯუმში დასახლებულა, იმის ჩამომავალნი ჯაბუაო და უფროსი, რომელიც სოფელ მესთიანში, სვანეთში დასახლებულა, იმის ჩამომავალნი ჯაფარიძეებიაო, იმ უფროს ძმას გაჰყოლია ხატი წმინდა გიორგი ჯგეგესი, რომელსაც დღეს ჯაბუები შესაწირავს უგზავნიან და თავის ძირითად ხატად სთვლიანო“.

ამ სოფელში სალოცავები იციან საღმრთო (კრავით), სამიქელგაბრიელო (ხბოთი), ოდუდია და სადაბადო (ზოგმა ქათმით და ზოგმა ხბოთი), ოკაპუნე (ღორით) (ოკაპუნე ხორცით აღების კვირის ხუთშაბათს არ ასცილდება;

ვინც ღორს არ დაჰკლავს, თავს იყიდის ღორისას და იმითი შეასრულებს) და თევდორობა; თევდორობა ვნების კვირის 'შაბათს არ ასცილდება პირველ დიდ მარხვის დასაწყისში; თევდორობა ღამეს მჭვავის ფქვილისაგან'გამოქნიან კვარებს, ცხენი, უნაგირი, აბჟანდი, ლაგამი, თო-

ქალთო, სამკერდე, ფაყარი, ესე იგი ყველა ცხენისა და უნაგირის მოსაწყობს ნალ-ლურსმებიანათ და გამომცხვარს დააწყობენ ღვინო-დასხმულ ხის ბარქაშზედ (გობია); ბარქაშს ნაპირზე მიასობენ სამ ღერ წმინდა სანთელს ანთებულს; მაშინ მივა ერთი უფროსთაგანი, პირველად ღმერთს ადიდებს, მერე ილოცავს ცხენისა და სხვა პირუტყვების გამრავლებაზე და მოიკაკვება მუხლმოდრეკით, აიღებს ერთ კვარს ტუჩით ბარქაშიდგან, ხელ-მოუხმარებლად, მივა სახლის წინა კარებთან და ხვიხვინით დაუწყებს კარს წიხლის ცემას, შემდეგ ყველანი შეასრულებენ ამ ჩვეულებას, გარდა ქალებისა.

ოცს ივლისს წმინდა „ილიაობა“ იციან, საღამოს მოსჭრიან მცენარე იელს, დაასობენ სახლის წინ და იტყვიან: „როგორც ეს გახმება და არ იხარებს, ისემც ნუ გაუხარებია გლახა თვალისა და მავნე სულსაო“.

თოთხმეტ მარიამობის თვის ღამეს „ჭეჭეთობას" ეძახიან. ამ საღამოსთვის ყველა ოჯახში გააკეთებენ უბრალო ხის ჯვარებს, ჯვარს დატანებული ექნება ეკალი და ქვა, ერთს დაასობს სახლის წინ, მეორეს და დანარჩენს ყანებში, დასმის დროს იტყვიან „ჯვარი აქა, ჯვარი იქა, შენი სვი და შენი სჭამე, ჩემს კი ჯვარი დამიწერეო“.

ყველა, დიდი და პატარა მზის ჩასვლის დროს, წმინდა სანთელს მიიწებებენ თმაში, აგრეთვე ცხენს, კამბეჩს და ხარებსაც უკეთებენ სანთელს, ვითომ კუდიანი არ მიეპაროსო.

ამ სოფელში „მესეფობა“-ს ეძახიან: ზოგიერთ თვის დასაწყისში და ბოლოში სამ-სამი დღეა, ამ დროს ხანდისხან კოკის-პირული წვიმები იცის, და ზოგჯერ ქარი და ცვალებადი ჰაერი. როცა წვიმიანობაა, კაცი იქნება მესეფთაგანი, და როცა ცვალებადი ჰაერი, ქალიო იტყვიან, ვიღაცაა ის მესეფები, ზღვიდან ამოვლენ, მთელს ხმელეთს დაივლიან, ვითომ მაჩხიბად, ბარაქას წაართმევენ ყოვლისფერს და ისევ ზღვაში ჩავლენო.

ამ დროს საბძელში, მარანში და ბეღელში რკინას შეაგდებენ, გარედგანაც მიასობენ ლურსმანს ანუ ნამგალს, რასაც რკინა ახლავს არასფერს დააკლებს მაჩხიბებიო, (მესეფები). აქაური გაგონილით თურმე ხმელეთიდან დაბრუნებული მესეფები მიდიოდნენ ზღვაში ძვირფას განძეულით დატვირთულნი. როცა ზღვის პირს მისულან, ქვა უკუ უსროლიათ, გადაიდაროსო, და რაც ნაშოვნი

ჰქონდათ, ყველა ხალიჩაზე დაუწევიათ გასასინჯავად. ამ დროს მიჰპარვია მებადური და ხალიჩაზე სადგისი დაურ-ჭვია: მესეფები მაშინათვე ხელცარიელნი გაპარულან, რად-განაც სადგისი (რკინა) დაარჭო მებადურმა, ვერასფრის წაღება ვერ შეიძლეს, და ესდენი სიმდიდრე მებადურს დარჩენია. ამ ძველთაგან ძველი არაკის მიბაძვით დღესაც რკინას ხმარობენ მესეფეობის დროს ამ სოფელში ყველა ოჯახში .

წრომმა (ჭოტი) თუ ეზოში დაიყივლა, საწყენია.

სკვინჩამ თუ მარცხნით დასძახა, ზარალს ელიან, თუ მარჯვნით და მოგებას.

მერცხლის პირველ დანახვაზე სამჯერ ზურგით გა-დაგორ-გადმოგორდებიან, მერე უცაბედათ წელი არ გაგვიწყდებაო.

ყვავი თუ ახლო ეზოში ჩამოჯდა ხეზე და დახში-რებით იყივლა, პირუტყვის ზარალს ელიან.

ბუმ თუ დაიყივლა ახლო, კუდიანი ახლო მოადგაო, იტყვიან; ზოგიერთი მივა, იმ ხის ძირში, რომელზედაც ბუ ჩამომჯდარა და ნახშირით ჯვარს მიახატავს.

საქმის გასაკეთებლად სახლიდან წამოსულს გზაში თუ კურდღელი შეხვდა, უკან დაბრუნდებიან, *) ცუდი ფეხის არისო, და თუ ტურა შეხვდათ, დიდი სასიხარულოა.

შაბათ საღამოს გამოცდილი ქურდები ფეხს არ გა-დადგმენ რაიმეს მოსაპარავად, იტყვიან, არ დაიმალება, და არც შეგვრჩება შაბათ ღამის მოპარულიო.

დიდი აღების ღამეს ყველა ოჯახში, შემდეგ ვახშ-მისა, თავ თავის წილიდან მოსტეხენ ჭადის, ღომის, ყვე-ლის, კვერცხის და თევზის ნაჭერს, შეურევენ ერთი მეო-რეში, დააკვარკვალიტებენ და მეორე დილას უდარაჯე-ბენ ყვავს: დაინახვენ თუ არა, შორიდან იყოს გინდ ახ-ლოდან, ყვავისკენ გაისვრიან ამ ნაჭერს და მიაძახებენ: „ყვავო, მიჯობნია, მიჯობნიაო“. თუ ყვავმა იძლია და ადრე დაიყივლა, იმ წელს თავის ტკივილი არ ასცილ-დება ძლეულსო.

ნაკალანდევ (ნაახალწლევ) ხბოს, კვიცს, თიკანს, კრავს და გოჭს სძლევენ შემდეგის თქმით: „გაიზარდე გაიზარ-დეო“, მეგრულად „მირდი მირდიო“, წიწილს და გუ-გულს, პურის ნაჭამი უნდა იყონ დილაზე, – არასფერს ეტყვიან.

თუ ქაცარმა (თიკანი) იძლია, ენა ეგების უნებურად

წაგვცდესო; თუ გოჭმა მოგზაურობის დროს ტა-

*) თუმც უკან არ დაბრუნდებიან, მაგრამ მაინც დიდ საწყენად ურჩებათ და რა საქმეზედაც მიდიან, უიმედოდ ხდებიან.

ლახით ვისვრებოდეთ იქნებაო, თუ წიწილმა – გულის სისუსტე ეცოდინებაო და სხვანი.

კრუხი რომ წიწილებს გამოსჩეკს, ოჯახის ქალი თითო-თითოდ ბუდიდან ამოიყვანს და დანაზე დასვამს, ეტყვის ამის ბედის შეიქენიო; ეს ვითომ ქორმა არ მოიტაცოს – იმის ნიშანია.

ქათამს და ანუ დანით რამე საკლავს ქალები არ ჰკლავენ; თუ სახლში კაცი არ შეხვდათ, მეზობლისას წაიყვანენ დასაკლავად.

ახალწელს მეკვლეობა, შობას „ალილო“ მშვენიერი კილოთი და სხვა დღესასწაულების ჩვეულება აქაც ჩვეულებრივია.

გარეული მხეცები:

მგელი, მელა, ტურა, ფოცხვერი, ყურდგელი, თრითინა და ზღარბი.

ქვეწარმავალნი, ქვემძრომნი:

გველი, შველა, ხვლიკი ბაყაყი, ფუღუ, ჭიები და მწერები სხვა და სხვა, ესენი ზაფხულობით იცის, მაგრამ ნაკლებად.

გარეული ფრინველები:

ქორი, ძერა, ყვავი, ბუ, მიმინო, კოდარა, ბეღურა, სკვინჩა, გულწითელა, გულყვითელა, შაშვი, ბულბული, ჩხიკვი, გვრიტი, ოფოფი (ცუდ ფეხისად მიაჩნიათ) გუგული, მალაღური, შოშია, წრომი (ჭოტი), ტყის ქათამი, ლაინი და მწყერი, აგრეთვე წერო, ყანჩო, გარეული იხვი და ბატი ხშირია.

ხეები და ხეხილები:

ნიგოზი, თხილი, ჭუბური, თხმელა, ცხიმური, წიფელი, ცხმუტური (ზღმარტლი), ტირიფი, მსხალი, მრავალ-

ნაირი ვაშლი, ატამი, ბია, ლეღვი, ალუჩა, ქლიავი, ტყე-
მალი, ბალი, ალუბალი, თუთის ხე, ჭყონი, აკაცია, ჭანდა-
რი, იფნა, კოპიტი, ალვისხე, თელა, მეხკალი, ლუკუფხა,
ხურმა, ბროწეული, იელი და ვარდები სხვა და სხვა აქ
ხე-ტყე საკმაოა სოფლისათვის.

ბალახები

მრავალ ძარღვა (ჯ. წ.), ბურჩხა, ქინჯილოჯა, ჭყორ-
ტოტი, მელკუდა, ჯამფაზია, სამყურა, (სამყურა ბორკილს
რომ დაადვა გაიხსნებაო), ლურის გუდა *) (მცუანა ბა-
ლახი), გვიმრა, ლაგვიმორია, ისიროტა, ინჯირი (ანწლი),
ჭინჭარი, ძირ-მწარე მამლი-ყვერა, სანდრაკა, ქამენია,
ბაია, იაია, ტკვარჩელია, სურო, კოინდარი და ისლიმი.
მრავალი სხვა და სხვაცაა, მაგრამ სახელი ვერ შევიტყეთ.

ეს აღწერილობა სოფელ ჯუმს ეკუთნის და ნამდვი-
ლად ასეა.

არიან სხვა სოფლებიც სამეგრელოში, სადაც სხვა
და სხვა ჩვეულებები არსებობს, მაგრამ ჩვენ მარტო
ჯუმის მკვიდრი და ჩვმულება ავწერეთ.

უმთავრესი ნაკლი სოფლის მკვიდრთათვის უსწავ-
ლელობაა; ამოდენ კომლ მცხოვრებში, დიდი იქნება,
ოთხი ანუ ხუთი ერიოს რომ ორ კლასიანი ნორმალური
სასწავლებელი დაემთავრებიოს; თუმც ამ ბოლოს დროს ცო-

*) ლურის გუდაა ამ ბალახის სახელი მეგრულად, და არა „ლურსის გუდა;“ ნამდვილი ქართულადაც ლურის გუდაა.

ტად გამოფხიზლდნენ, შვილებს სასწავლებელში აძლევენ,
მაგრამ ნამეტანი მცირე ხნით; ბავშვი ისწავლის წერა-კითხვას
ანუ ერთ კლასს დაამთავრებს, და ეს საკმაოდ მიაჩნიათ,
ასე ჰგონიათ თავიანთი შვილი, ერთ კლასიანი, „აბლაკა-
ტად" გამოდგება. ეს სიღარიბის მიზეზით არა სჭირსთ,
ეს სასწავლელობის და დაუდევრობის ბრალია. ძალიან
სამწუხაროა სწორედ, ერთი ისეთი არავინ გამოჩნდა,
რომ ეს უსწავლელი გლეხკაცობა ჭკუაზედ მოიყვანოს,
სწავლისაკენ მიუთითოს და აუხსნას, თუ რა მნიშვნე-
ლობა აქვს სწავლას.

თუმც არიან ზოგიერთები, რომლებიც მდიდრად,
და პირველად ითვლებიან, მაგრამ სწავლის თაობაზე ყურ-
საც არ იბერტყენ და არც შესთხოვენ ვინმეს შველას.

ასეთნი პირნი, ჩვენდა საუბედუროდ, თავიანთ ქებას და
სხვის ძაგებას უნდებიან. უცხო ვინმე თავისით არ ჩამო-
ბრძანდა ჩვენს სოფელში და ხალხი ისევ იმ მშრალზეა
დარჩენილი, რომლის თაობაზე შემდეგი ლექსი თქმულა:

ვინ უნდა იყოს, სად უნდა იყოს, კაცი სიმართლით
სოფლად მავალი,
რომ დაცემულის თავის მოძმისა განიზიაროს ტანჯვა
მრავალი?!.
ბაქვით თვით თავი არ აიმაღლოს, საქვეყნოდ გულში
ედვას სხვა ვალი:
ტანჯვით გაჰკვალოს და შრომით გასჭრას გზა უძლურ-
თათვის სწორად სავალი.

–

ვინ უნდა იყოს, სად უნდა იყოს, კაცი თვის ენის
შემნახველიო,
თავი არ იქოს, სხვა არ აძაგოს, სიკეთის იყოს ყველგან
მქნელიო!

ქრთამს არ იღებდეს, ძმას არა ჰყიდდეს, მშობლურად
მოძმეს უწყოს ხელიო,
და თვის ნათქვამი სიტყვა სისწორით სრულ ჰყოს და
მტკიცე უეჭველიო?!

–

ვინ უნდა გამოჩნდეს ჩვენთვის ექიმი, რომ ჰქონდეს
ჩვენი სიბრალულით,
რომ უსწავლელად დატანჯულ გლეხთა მან განგვიკურ-
ნოს გული-წყლულიო,
იმედი მოგვცეს, წამოგვაყენოს, უიმედობით დაჩაგრულიო,
ღა თან საეროდ ძმობა-ერთობის გულში უდუღდეს სიყ-
ვარულიო!

ანტონ ქანდარია